ბარე ძალამ აფხაზ ხალხს პირველი არჩევანი უღირსად ჩაუთვალა A2 | "თქვენი აფხაზეთი" A8 | ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი, 2004 წელი. №291 (840)

ფასი 50 თეთრი

# პარტიული ზავი



ზაზა ბეგაშვილისთვის დილით დიქტატორი და ფეოდალი მერი საღამოს თანაგუნდელად იქცა.

ვახო ბესელიას ფოტო

გუშინ თბილისის პრემიერმა უკვე ოფიციალურად დაადასტურა ისედაც ყველასათვის ცნობილი ინფორმაცია თანამდებობიდან წასვლის შესახებ. მისი მომავალი კარიერის თაობაზე რამდენიმე ვერსია ვრცელდება - როგორც ამბობენ, იგი ან ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული იქნება, ან უშიშროების საბჭოს წევრი, ან სახელმწიფო მინისტრი.

ნებისმიერ შემთხვევაში, ბიძინა ბრეგაძე დედაქალაქის მმართველობას უკვე ჩამოსცილდა. შესაბამისად, მისი და ქალაქის მერის დაპირისპირებამ უკვე აქტუალობა დაკარგა. ბიძინა ბრეგაძის ადგილს კი თემურ ქურხული დაიკავებს, რომელსაც, როგორც ამბობენ, ქალაქის მერთან ნორმალური ურთიერთობები აქვს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ამერიკული „წითელი ხაზი"


A3

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში 5-დღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა შეხვედრა კონდოლიზა რაისთან (რომელიც "გარდამავალ პერიოდში", სანამ ქვეყანას მოქმედი სახელმწიფო მდივანი ჰყავს, უცხოელ სტუმრებს არ ხვდება, მაგრამ საქართველოსთვის გამონაკლისი დაუშვა).

# ჩვენი სიმღერით კიდევ ბევრს "მოვწამლავთ"


B1

ანსამბლი ანსამბლია, მაგრამ ის პიროვნებებისგან შედგება და ჩვენი ურთიერთობაც ამაზეა დამოკიდებული.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

## უცხოეთი

### არჩევანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის




კოლინ პაუელი: "ჩვენ არც ვეჯიბრებით და არც ვიბრძვით პოსტსაბჭოთა ტერიტორიებისთვის. ჩვენ არ ვთხოვთ მათ, გააკეთონ არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

A5

## საზოგადოება

### ტრანსპორტში ყველაფერს ველური ბაზარი „არეგულირებს"



A6

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

## ამინდი

| | 8/12 | 9/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | 9 |
| ქუთაისი | 11 | 11 |
| ბათუმი | 12 | 14 |
| სოხუმი | 9 | 7 |
| ფოთი | 12 | 12 |
| თელავი | 8 | 8 |
| ზუგდიდი | 11 | 10 |
| გორი | 5 | 6 |
| ახმეტა | 8 | 8 |
| ჭიათურა | 7 | 7 |
| გაგრა | 6 | 4 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.4196 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5026 |
| რუბლი | 0.0646 |

# მერიაში სკამების გადანაწილება გრძელდება

თამარ დვალი

*მერიაში არსებული დაპირისპირება თანდათან დასასრულს უახლოვდება. შეიძლება ითქვას, რომ "ბრძოლა" ქალაქის მერის გამარჯვებით დასრულდა. საქალაქო სამსახურის ორი მაღალჩინოსნის ბედს, ამიერიდან ყველა საქალაქო სამსახურის უფროსი გაიზიარებს. თითოეულ მათგანს განცხადების დაწერა და თანამდებობიდან გადადგომა მოუწევს.*

ძირს დიქტატორი და ფეოდალი მერი!

ჩვენ გვინდა ქალაქის მერი და არა - ქალაქის მტერი! - ასეთი შემართებით დაიწყო და დამთავრდა გუშინ საკრებულოს სხდომათა დარბაზში გამართული შეხვედრა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე უძღვებოდა. თითოეული გამომსვლელის შემდეგ, დარბაზში მქუხარე ტაში და შეძახილები ისმოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# კომპრომისების ხელოვნება თუ ხელოვნური კომპრომისები?

## საგადასახადო კოდექსის განხილვა

გიორგი ასანიშვილი

*საგადასახადო კოდექსის პროექტს მეორე მოსმენით, სავარაუდოდ, ხვალ ეყრება კენჭი. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით მთავრობასა და პარლამენტს შორის უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა აღარ არსებობს. უბრალოდ, გადაწყდა, რომ კენჭი კოდექსის შეთანხმებულ ნაწილს ეყაროს, სადავო მუხლების შეჯერება კი მესამე მოსმენამდე გაგრძელდეს.*

ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება შეიძლება ძალიან გაჭიანურდეს. ამისთვის მთავრობას, როგორც ჩანს, თადარიგი უკვე

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბოროტების პროვინცია

სემიონ ნოვოპრუდსკი
მთავარი რედაქტორის მოადგილე, გაზეთი „ვრემია ნოვოსტეი"

რუსეთმა უკრაინა იმიტომ დაკარგა, რომ თავისი თავი ვერ იპოვა. იმის გამო, რომ რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, პრეზიდენტიდან დაწყებული და სანტექნიკოსით დამთავრებული, ყველა ფიქრობს, რომ რუსეთი სიკეთის დიდი იმპერიაა. ამ გაუგებრობის გამო ეს ქვეყანა ბოროტების იმპერიად იქცა, თუმცა, შეეძლო გამხდარიყო ჩვეულებრივი დიდი სახელმწიფო, ისეთი, როგორიც, მაგალითად, კანადაა.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება ასეთი გიგანტური სახელმწიფოების კონგლომერატების დაშლის შემდეგ. მეტროპოლიას "ლომკები" დაეწყო. როდესაც 1991 წელს საბჭოთა კავშირი საბოლოოდ დაიშალა, მძაფრი კამათი დაიწყო იმის თაობაზე, თუ რა იყო დიდი სახელმწიფოს დაღუპვის მიზეზი. ამ კამათს მხოლოდ და მხოლოდ ორ სიტყვამდე მივყავდით, ჭკვიანი ხალხი ამბობდა - საბჭოთა კავშირის "დაშლა"; სულელები - საბჭოთა კავშირის "დაქცევა". სამწუხაროდ, მეორე აზრმა გაიმარჯვა.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ევროისტორია | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# გარე ძალამ აფხაზ ხალხს პირველი არჩევანი უღირსად ჩაუთვალა

## "ღირსეული არჩევნების" მომზადებას სერგეი ბაბურინი გააკონტროლებს

*აფხაზეთის ხელახალი "ღირსეული საპრეზიდენტო არჩევნები" 13 იანვრისთვისაა დანიშნული, ოღონდ ასარჩევი, ჯერჯერობით, არაფერია...*

სოფო ბუკია

**"აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი დაძლეულია. აფხაზ ხალხს იანვრისთვის დანიშნულ ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ღირსეული არჩევანის გაკეთების საშუალება ექნება,"** – ეს საიმედო დასკვნა გუშინ რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმირ კოლესნიკოვმა გამოიტანა. სწორედ მისი და რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრ ჩეკალინის სოხუმში ვიზიტისა და უშუალო მონაწილეობის წყალობით, აფხაზური ოპოზიციის ლიდერის სერგეი ბაგაფშისა და მისი ოპონენტის რაულ ხაჯიმბას შერიგება მოხერხდა. მიღწეულია შეთანხმება ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის გადადებისა და ხელმეორე არჩევნებში ერთიანი გუნდით გამოსვლის თაობაზე. შეთანხმების შესაბამისად, სერგეი ბაგაფში პრეზიდენტად იყრის კენჭს, ხოლო მისი ყოფილი ოპონენტი ხაჯიმბა - ვიცე-პრეზიდენტობას დასჯერდება.

შეთანხმებას "აფხაზეთში ეროვნული თანხმობის მიღწევის თაობაზე" 6 დეკემბრის ღამეს, სამთავრობო აგარაკზე მოაწერეს ხელი.

**"ვერავითარი გარე ძალა ვერ შეუშლის ხელს აფხაზ ხალხს, ღირსეული ლიდერის არჩევაში,"** – მკაცრად აღნიშნეს კოლესნიკოვმა და ჩეკალინმა გუშინ სოხუმიდან გამგზავრებამდე.

უკვე შერჩეულია "ღირსეული არჩევნების" ჩატარების თარიღიც – 13 იანვარი.

ხოლო იმისათვის, რომ ყოფილმა ოპონენტებმა ძლივს მიღწეული შეთანხმება არ დაარღვიონ, წინასაარჩევნო პროცესის გაკონტროლება რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერს სერგეი ბაბურინს დაევალა.

როგორც ჩანს, შინაური ბაბურინი მოწოდებულია, აფხაზი ხალხი "გარე ძალის ზემოქმედებისგანაც" დაიცვას.

როგორც ბაბურინმა აღნიშნა, გამორიცხული არ არის, ბაგაფშსა და ხაჯიმბას შორის მოლაპარაკებები მოსკოვში გაიმართოს.

რუსი პარლამენტარის თქმით, მიღწეულმა "რთულმა, მაგრამ რეალურმა" კომპრომისმა აფხაზეთი სამოქალაქო ომისგან იხსნა.

**"აფხაზეთის ხელოვნურ ბლოკადაში მოქცევის მიზეზი ბაგაფში იყო - მას აიძულებდნენ, წასულიყო. ბლოკადა კიდევ ერთ მიზანს ემსახურება – აფხაზი ხალხის შუაზე გახლეჩას, რათა შემდეგ ყველას ეთქვა: აი, ხედავთ მათ თბილისის გარეშე არ შეუძლიათ. სწორედ ეს ავიცილეთ ბაგაფშსა და ხაჯიმბას შორის მიღწეული შეთანხმებით,"** – აღნიშნა ბაბურინმა.

მისი თქმით, უახლოეს დღეებში რუსეთსა და აფხაზეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა აღდგება.

მიღწეული შეთანხმებით კმაყოფილია ყუბანის გუბერნატორი ალექსანდრ ტკაჩოვიც, რომელიც ბაგაფშს უკვე აღარ მიიჩნევს **"კრიმინალად და ანტირუსული ძალების მიერ მართულად"**.

**"ჩემი მკაცრი განცხადება, სადაც მე აფხაზეთს საზღვრის გადაკეტვით და სარკინიგზო მიმოსვლის შეჩერებით ვემუქრებოდი, სწორედ იმისკენ იყო გამიზნული, რომ აფხაზეთის მოსახლეობა გამომეცოცხლებინა. საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება. რუსეთის გარეშე აფხაზეთს მომავალი არა აქვს. საფრთხის ქვეშ იდგა ჩვენი ორი ძმური ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. ჩვენ შეშფოთებით ვადევნებდით თვალს მეზობელ აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, იქ სამოქალაქო ომის რეალური საფრთხე იყო. საბედნიეროდ, გონიერებამ გაიმარჯვა. ვთვლი, რომ კონფლიქტი ამოწურულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის, კრასნოდარის მხარის და რუსეთის მეგობრობას, თანამშრომლობას და დიალოგს წინ არაფერი უდგას,"** – ეს ფარისევლურად გულისამაჩუყებელი განცხადება ბატონმა ტკაჩოვმა გუშინ გააკეთა.

აფხაზეთში უკვე პოლიტიკური კრიზისის შედეგებს აჯამებენ. როგორც გუშინ აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა ნოდარ ხაშბამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის დროს რესპუბლიკამ 5-6 მილიონი აშშ დოლარით იზარალა.

როგორც აფხაზური საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესი" იუწყება, სოხუმში ცხოვრება "ნელ-ნელა ჩვეულ რიტმს უბრუნდება". ბაგაფშის მომხრეებმა გუშინ დაკავებული ადმინისტრაციული და სამთავრობო შენობები გაათავისუფლეს. ოპოზიციამ დატოვა ასევე აფხაზეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის შენობაც.

სოხუმი პრეზიდენტობის ორივე კანდიდატის შეიარაღებულმა მხარდამჭერებმაც გაათავისუფლეს.

აფხაზეთის მოვლენების კომენტირებას ჩქარობენ რუსი ექსპერტები.

დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის წევრი, პოლიტოლოგი მიხაილ ალექსანდროვი მიიჩნევს, რომ ბაგაფშის და ხაჯიმბას გაერთიანება, "ეს სწორედ ისაა, რაც რუსეთს უნდა".

**"აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისი დაძლეულია. ხაჯიმბა ვიცე-პრეზიდენტი იქნება, რომელიც ძალოვან სტრუქტურებს გააკონტროლებს და აფხაზეთის საგარეო კურსს განსაზღვრავს. ხაჯიმბა იქნება იმის გარანტი, რომ აფხაზეთში დაცული იქნება რუსეთის ინტერესები. ბაგაფში აფხაზეთის ეკონომიკურ ბლოკს მიხედავს და ფინანსებს ისე განკარგავს, რომ მისი გუნდის წევრებს მეტი ერგოს, რადგან არჩევნების დროს მისი გუნდი დისკრიმინირებული იყო. მოკლედ, ყველა ძალის ინტერესი დაკმაყოფილდება. ჩვენი, რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში ასეთი უნდა იყოს: ცხვრები ცოცხლები უნდა იყვნენ, მგლები - მაძღრები,"** – აცხადებს კონსტანტინ ზატულინის გუნდის წევრი ალექსადროვი.

მოსკოვში არსებული, კარნეგის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი ალექსეი მალაშენკო მიიჩნევს, რომ ბაგაფში ბოლოს და ბოლოს მაინც მიამწყვდიეს კუთხეში. **"ცხადია, რომ ხაჯიმბასთან კავშირი ბაგაფშს თავს ძალით მოახვიეს. ეს მას სრულიად არ სჭირდებოდა, მან ხომ არჩევნებში გაიმარჯვა. მაგრამ ბაგაფშმა ვერ გაუძლო ზეწოლას. ბაგაფში საზღვრის გადაკეტვითაც დასაჯეს, მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ჩემი აზრით, მსგავსი სახის პოლიტტექნოლოგიები დიდხანს ვერ იმუშავებს. მოსკოვმა უკვე წააგო და წააგო ყველაზე მთავარი – აფხაზი მოსახლეობის ნდობა რუსეთის მიმართ,"** – აცხადებს რუსი ექსპერტი.

საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი ალა იაზიკოვას აზრით, ამგვარი ჩარევა აფხაზეთის საქმეებში რუსეთს ვერც კარგ სახელს მოუხვეჭს და ვერც სხვა რაიმე პოზიტიურ შედეგს მოუტანს.

**"აფხაზეთის შიდა საქმეებში ჩარევით რუსეთი საბოლოოდ ძალიან ბევრ რამეს დაკარგავს. ბაგაფშის და ხაჯიმბას კავშირი კი სხვა არაფერია, თუ არა რუსი პოლიტტექნოლოგების მორიგი გამოგონება,"** – აღნიშნა იაზიკოვამ.

ბაგაფშისა და ხაჯიმბას შერიგების ამბავი პუტინმა ანკარაში შეიტყო და მოკლე კომენტარიც არ დაიზარა: **"არ მინდა, ბაგაფშისა და ხაჯიმბას გაერთიანება დამსახურებად რუსეთს ჩავუთვალო. ეს დამსახურებაა აფხაზი ხალხის და - პრეზიდენტობის კანდიდატების, რომელთაც ხალხის ნება გაითვალისწინეს. მოლაპარაკებების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. საბოლოო სიტყვას, რა თქმა უნდა, აფხაზი ხალხი იტყვის,"** – მოკრძალებით აღნიშნა პუტინმა.

13 იანვრისთვის აფხაზეთი კიდევ ერთი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მოემზადება, ოღონდ ასარჩევი ჯერჯერობით არაფერია. თუ ვინ გაუწევს ოპონირებას კრემლის პოლიტიკურ ლაბორატორიაში გენური ინჟინერიით გამოყვანილ უცნაურ, ორთავიან კანდიდატს, ჯერ არ დასახელებულა... დასახელდა მხოლოდ ის, რომ არჩევნები "ღირსეული" იქნება და რომ "ბოლო სიტყვას" (იმედია, არა უკანასკნელს) აფხაზი ხალხი იტყვის...

# კომპრომისების ხელოვნება თუ ხელოვნური კომპრომისები?



*რომან გოცირიძე გარკვეულ პუნქტებში მზადაა მთავრობასთან კომპრომისისთვის.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

დაჭერილი აქვს და პარლამენტს სთავაზობს, რომ იგი 1 იანვრის ნაცვლად, 1 თებერვლიდან შევიდეს ძალაში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს კოდექსის "მშობიარობის გადადება" დაუშვებლად მიაჩნია და მიიჩნევს, რომ ეს ძალიან ბევრ პრობლემას წარმოშობს. კანონის 1 იანვრიდან ამოქმედების სანაცვლოდ, გოცირიძე მზად არის, უკან დაიხიოს და დათანხმდეს მთავრობის წინადადებას, რომელიც 18-პროცენტიანი დღგ-ს შემოღების 6 თვით გადავადებას (ანუ, 2005 წლის 1 ივლისიდან ამოქმედებას) ითვალისწინებს.

სამაგიეროდ, რომან გოცირიძე შეუვალია ავტომობილების იმპორტის დაბეგვრის საკითხში. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მტკიცებით, დაბეგვრის ამჟამინდელი რეჟიმი საკმაოდ გამჭვირვალე და არაკორუფციულია, რადგან ავტომობილების მოტორის სიმძლავრისა და გამოშვების წლის გაყალბება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. გოცირიძე მოითხოვს, რომ ახალმა საგადასახადო კოდექსმა ნახმარი მანქანების ფასის გაზრდა არ გამოიწვიოს, რადგან ეს მოსახლეობის დაბალ და საშუალო ფენებს ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. არადა, ეს გარდაუვალი იქნება, თუ მთავრობა თავის ვარიანტს გაიტანს, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი იმპორტირებული ავტომობილი 18-პროცენტიანი დღგ-ით, პლუს 7-პროცენტიანი სააქციზო გადასახადით დაიბეგრება.

პარლამენტი და მთავრობა ვერც ფიზიკური პირების ქონების გადასახადის საკითხში თანხმდებიან. ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ითხოვს, რომ ქონების გადასახადი გადაიხადონ იმ მოქალაქეებმა, რომელთა წლიური შემოსავალი 60 ათას ლარს აღემატება, საგადასახადო განაკვეთი კი 0,5-დან ერთ პროცენტამდე იყოს. ალმასრულებელი ხელისუფლების ამ მოთხოვნას რომან გოცირიძე ეწინააღმდეგება, თუმცა, არც ისე კატეგორიულად.

ნოღაიდელი-გოცირიძის "დუელი" გუშინ პლენარული სხდომიდან საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის კაბინეტში გაგრძელდა. დახურულ კარს მიღმა მიმდინარე მოლაპარაკებებით გოცირიძე კმაყოფილია და აცხადებს, რომ მინისტრთან შეთანხმება თითქმის მიღწეულია.

**"ნოღაიდელი დათანხმდა ავტომობილების დაბეგვრას მათი ძრავის სიმძლავრისა და გამოშვების წლის მიხედვით, ოღონდ ითხოვს, რომ კომპრომისებზე წავიდეთ ქონების დაბეგვრის საკითხში, რაც დასაშვებად მიმაჩნია,"** - აღნიშნავს რომან გოცირიძე. მისი კომპრომისული ვარიანტი ასეთია: ქონების გადასახადი უნდა გადაიხადონ იმ პირებმა, ვისი წლიური შემოსავალიც 70 ათას ლარზე მეტია. ამასთან, ფიზიკურმა პირმა დეკლარაცია უნდა წარადგინოს იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შემოსავალი 50 ათას ლარს აღემატება (მთავრობისეულ ვარიანტში, ეს ციფრი 30 ათასის ტოლია).

მთავრობასა და პარლამენტს შორის სადავო საკითხების ჩამონათვალი ამით არ ამოიწურება: საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, საკამათოა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბეგვრის საკითხიც. გარდა ამისა, ალტერნატიული წინადადებები აქვთ ფრაქცია "მაჟორიტარებს" და "მემარჯვენე ოპოზიციას" (ბეჭდვითი პრესის და ეკლესიის დაბეგვრის სფეროში).

მიუხედავად იმისა, რომ ახალი საგადასახდო კოდექსის პროექტის მიმართ ჯერ კიდევ არსებობს ბევრი კითხვის ნიშანი, ამ დოკუმენტს პარლამენტში მეხოტბენი მაინც არ აკლია. რომან გოცირიძე განსაკუთრებით აქებს კოდექსის ადმინისტრაციულ ნაწილს და მას პოსტსაბჭოთა სივრცეში საუკეთესოდ მიიჩნევს.

**"ძველი საგადასახადო კოდექსი რომ დაგვეტოვებინა, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 300 მილიონი ლარით გაიზრდებოდა, მაგრამ ამ მსხვერპლზე წავედით, რათა მთლიანი საგადასახადო და ბიზნესგარემო გაგვეუმჯობესებინა,"** - ეს შეფასება კი პარლამენტის ვიცე-სპიკერს მიხეილ მაჭავარიანს ეკუთვნის.

# „ოსეთში სააკაშვილის გათვლები მცდარი აღმოჩნდა"

## საერთაშორისო კრიზის-ჯგუფის შეფასება

*"საქართველოს პრეზიდენტს გააჩნდა ლეგიტიმური ინტერესი ქვეყნის ერთიანობის აღდგენისა, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია: საქართველოს მთავრობამ არასწორად გაიგო კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. რამდენიმე ადამიანს მთავრობაში სწამდა, რომ ოსეთის კონფლიქტი შეიძლებოდა, აჭარის ანალოგიურად მოგვარებულიყო... პრეზიდენტ სააკაშვილის გათვლები მცდარი აღმოჩნდა," - ასე აფასებს არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო კრიზის-ჯგუფი" კონფლიქტის ზონაში სააკაშვილის მიერ წარმოებულ პოლიტიკას.*

ვერიკო თევზაძე

კრიზის-ჯგუფი სააკაშვილის და მისი მთავრობის მცდარ გათვლებში გულისხმობს მათ მიერ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების არასწორ შეფასებას. კავკასიაში საერთაშორისო კრიზის-ჯგუფის ხელმძღვანელის, საბინა ფრაიზერის განმარტებით, კონფლიქტის საფუძვლად ეკონომიკური ფაქტორის მიჩნევა სერიოზული შეცდომა იყო. ქალბატონი ფრაიზერი შენიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გამოიყენა კოკოითის მთავრობასა და ოს მოსახლეობას შორის არსებული დაძაბული ვითარება, ჰუმანიტარულ დახმარებას კი კრახი მოჰყვა. **"ოსი მოსახლეობის ყველაზე კეთილგანწყობილმა ნაწილმაც კი დაიჯერა, რომ ეს ჰუმანიტარული დახმარება მიზნად ისახავდა საქართველოს ხელისუფლების იერიშს ოსი მოსახლეობის წინააღმდეგ,"** - დასძენს ფრაიზერი.

საერთაშორისო კრიზის-ჯგუფს სიტუაციის გამოსასწორებლად სამი ძირითადი გზა ესახება. **პირველი, ეს არის ქართველ და ოს ხალხებს შორის ურთიერთნდობის აღდგენა. მეორე გზა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას და მათთვის ნორმალური პირობების შექმნას გულისხმობს. მესამე ეტაპის ამოცანად ქართული და ოსური მხარეების მიერ სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა არის მიჩნეული.**

არასამთავრობო ორგანიზაციამ ოსეთის საკითხზე მოამზადა სპეციალური ანგარიში, რომელსაც უახლოეს პერიოდში წარუდგენს საქართველოს ხელისუფლებას და, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით გაავრცელებს.

ანგარიშის პირველ ნაწილში საუბარია კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე და ასეთად დასახელებულია გეოპოლიტიკური და სამართლებრივი ფაქტორები. მეორე ნაწილი არის შეფასება იმ მოვლენებისა, რომელიც მაისის თვიდან კონფლიქტის ზონაში განვითარდა. მესამე ნაწილი მოიცავს თვალსაზრისს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს კონფლიქტის მოსაგვარებლად.

"24 საათის" კითხვაზე - **"საუკეთესო ვარიანტში, რა დროში შეიძლება მოაგვაროს საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი?"** – საბინა ფრაიზერმა უპასუხა: **"ჩვენი რეკომენდაციების განხორციელებას, მინიმუმ, ხუთი წელი სჭირდება."**

საერთაშორისო კრიზის-ჯგუფის წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გადაადგილებულ პირთა დაბრუნება რთული და შრომატევადი პროცესია. იგი, მრავალ სხვა ღონისძიებათა შორის, გულისხმობს რესტიტუციის შესახებ კანონის მიღებას. ასევე აუცილებელია, ჩამოყალიბდეს სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს საკითხებს იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონების რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ.

საერთაშორისო კრიზის-ჯგუფის ერთ-ერთი ანალიტიკოსის ინფორმაციით, ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში ჩამოსახლებული ხუთი დევნილი ოჯახიდან უმრავლესობა უკან დაბრუნდა. **"ეს ფაქტი ცხადყოფს,** - შენიშნავს ანალიტიკოსი, **- რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან დევნილთა დასაბრუნებლად მათთვის მხოლოდ სახლების აშენება არ კმარა. ამ ადამიანებს უამრავი პრობლემა ექმნებათ, მათ შორის, მოქალაქეობასთან დაკავშირებული სირთულეები, იურიდიული პრობლემები."** ანალიტიკოსის განმარტებით, საქართველოს მთავრობამ სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატაროს, რათა სამშობლოში დაბრუნებული დევნილების ქართულ საზოგადოებაში რეინტეგრაცია მოხდეს.




### მოკლედ

#### რეზერვისტთა შერჩევა დაიწყო

"სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების" ახალი, ქართულ-ამერიკული პროგრამისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა 7 დეკემბრიდან რეზერვისტთა შერჩევა დაიწყო. სულ უნდა შეირჩეს 550 რეზერვისტი, რომლებსაც ამერიკელი საზღვაო ქვეითები ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად მოამზადებენ.

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში, "კრწანისის" სასწავლო ცენტრში, ქუთაისის 21-ე ბრიგადაში და ახალციხის 22-ე ბრიგადაში უკვე მუშაობენ სპეციალური საინფორმაციო-მიმღები კომისიები, რომლებიც პირველ ეტაპზე საერთო-საჯარისო სპეციალობის მქონე 30 წლამდე ასაკის 800 რეზერვისტს შეარჩევენ.

აღნიშნული პირები 25 დეკემბრამდე კრწანისის სასწავლო ცენტრში სამკვირიან შესარჩევ შეკრებას გაივლიან. აქ მათ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო ტესტირება ჩაუტარდებათ და, საბოლოოდ, 550-600 რეზერვისტი შეირჩევა. შერჩეულ რეზერვისტებს ამერიკული პროგრამის დაწყებამდე, 5-26 იანვარს ქართველი სამხედრო ინსტრუქტორები "კრწანისში" დამატებით მომზადებას ჩაუტარებენ, რის შემდეგაც მათ გაწვრთნას უკვე ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები შეუდგებიან.

წვრთნების ხანგრძლივობა ცხრა კვირით განისაზღვრა.

შესარჩევ ეტაპზე რეზერვისტები მინიმალური - 115-ლარიანი ხელფასით იქნებიან უზრუნველყოფილნი, კონტრაქტების გაფორმების შემდეგ კი მათი ხელფასი, დაახლოებით, 500-600 ლარი იქნება. კონტრაქტები ოთხი წლით გაფორმდება.

**ინტერ-პრესი**

#### "აქტიური მოქალაქე და ანგარიშვალდებული ხელისუფლება"

"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" (ISFED) დაიწყო ახალი პროექტის განხორციელება, რომლის სახელწოდებაა "აქტიური მოქალაქე და ანგარიშვალდებული ხელისუფლება".

ახალი პროექტი მოიცავს სამ უმთავრეს მიმართულებას: გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ხელისუფლება, სამოქალაქო გააქტიურება, საქართველოში საარჩევნო პროცესის მონიტორინგი და გაუმჯობესება.

ყოველ სამ თვეში ერთხელ გამოცემული ანგარიშის და საზოგადოებისა და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს შორის ურთერთობის დამყარების ხელის შეწყობის გზით, ISFED საზოგადოებას გააცნობს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრების მიერ მათ რაიონში განხორციელებულ საქმიანობას.

ამასთან, ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, ISFED კვლავაც მიიღებს მონაწილეობას საქართველოში საარჩევნო პროცესის გაუმჯობესების პროცესში.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე გუშინ უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატის ვიქტორ იუშჩენკოს შტაბის წევრებს და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა. კირკიტაძემ უკრაინელ სტუმრებს საქართველოს პარლამენტის მიერ უკრაინაში განვითარებული მოვლენების მხარდასაჭერად მიღებული პოლიტიკური განცხადება გააცნო.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელთა თქმით, უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაციის "ზნაიუს" წარმომადგენლები თბილისში რევოლუციური გამოცდილების გასაზიარებლად იმყოფებიან და მათ საქართველოში არსებული პოსტრევოლუციური პოლიტიკური ვითარება აინტერესებთ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ში ვიზიტით მყოფი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველს უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა სამხედრო-პოლიტიკური საკითხები განიხილეს. საუბარი "გაყინულ კონფლიქტებს" შეეხო. კონდოლიზა რაისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამერიკა მხარს უჭერს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის კურსს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი გიორგი არველაძე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას მისი თბილისის მერად დანიშნვის თაობაზე. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გიორგი არველაძე საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა არველაძემ განაცხადა, პრეზიდენტთან შეხვედრაზე საკადრო ცვლილებებს საუბარი არ შეჰხებია და გავრცელებული ინფორმაცია მისი ქალაქის მერად დანიშნვის თაობაზე "ჭორია". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი არ ადასტურებს ინფორმაციას ქვეყნის ძალოვან უწყებებში დაგეგმილი საკადრო ცვლილებების თაობაზე. გიორგი არველაძეც უარყოფს ხმებს მისი მერად დანიშვნის შესახებ. ირაკლი ჩუბინიშვილი კატეგორიულად არ ადასტურებს კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას ენერგეტიკის მინისტრად გახდომის შესახებ. **ინტერ- პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ხცისის პოლიგონზე დღეს რეზერვისტთა მორიგი ნაკადის გამოშვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონია გაიმართება, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

„ახალი კოდექსით გათვალისწინებული ავტომობილების დაბეგვრის რეჟიმი დარგს გააკოტრებს"

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4



ხალხის ტრიბუნა ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე

წამყვანი - [illegible]

სტუმარი - [illegible]

[illegible]

# პარტიული ზავი

პირველი გვერდიდან

თუმცა, ერთია პიროვნული სიმპათია ან ანტიპათია, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც დედაქალაქის მმართველ რგოლებში დაპირისპირების საფუძველს თავად კანონმდებლობა ქმნის. დღეს მერიის ირგვლივ ატეხილი ხმაური, ძირითადად, მერსა და პრემიერს შორის არასწორად გადანაწილებული ფუნქციებია. ამას თან ერთვოდა თავად მერსა და პრემიერს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობები, რაც დაპირისპირებას უფრო ამძაფრებდა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პარლამენტში უკვე ფიქრობენ თბილისის შესახებ კანონმდებლობის გადახედვასა და მერისა და პრემიერის უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნაზე.

თუმცა, მანამ, სანამ ეს მოხდება, მერია ნებისმიერ წუთს შეიძლება კვლავ სერიოზული დაპირისპირებების არენად გადაიქცეს. მით უფრო, რომ თბილისის საკრებულოს უმრავლესობა, რომელიც აქტიურად ცდილობს ქალაქის მერიის უფლებამოსილებებში შეჭრას, ყოველთვის მოძებნის საჭირო საბაბს. ამის ნათელი მაგალითი გუშინდელი დღე გახდა, როდესაც საკრებულოს თავმჯდომარემ საჯაროდ განაცხადა, რომ ის, რაც მერიაში ხდება, **"ყოვლად მიუღებელია და საკრებულო მსგავს ფაქტებს აღარ დაუშვებს. "მე, მე"-ს ძახილით საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად ადამიანების ბედით თამაში დაუშვებელია. ჩვენ ბედს ამიერიდან ჩვენ გადავწყვეტთ."**

ისე, საკმაოდ საინტერესოა მთელ ამ ისტორიაში თავად ზაზა ბეგაშვილის როლი, რომელიც დღის პირველ ნახევარში ქალაქის მერს "ფეოდალს" ეძახდა, დღის მეორე ნახევარში კი ზურაბ ჭიაბერაშვილთან და ბიძინა ბრეგაძესთან ერთად, პრესკონფერენციაც კი გამართა.

ეჭვგარეშეა, რომ იგი თავისი ინიციატივით პოზიციას არ შეიცვლიდა. ჩვენთვის დანამდვილებით ცნობილია, რომ სახელმწიფო კანცელარიიდან მას პირდაპირ მიანიშნეს, "საკმაოდ ბევრი მოგივიდაო". ამ დატუქსვამ კი საკრებულოს წევრი "ლეიბორისტები" ერთობ გაახარა, რადგან ყოფილი "ლეიბორისტის," ამჟამად კი "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტის ზაზა ბეგაშვილის მიმართ მათ სერიოზული პრეტენზიები აქვთ.

აქედან გამომდინარე, დეკლარირებულად ოპოზიციონერმა "ლეიბორისტებმა" გუშინ არა მხოლოდ მერსა და პრემიერს გამოუცხადეს უნდობლობა, არამედ საკრებულოს თავმჯდომარესაც. ამაში გასაკვირი ნამდვილად არაფერია. მით უფრო, რომ ყოფილ თანაპარტიელებს ბეგაშვილი, როგორც იტყვიან, არ ცნობს, ხოლო საკრებულოს უმრავლესობა, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მათ აზრს არად აგდებს.

ამავე დროს, საკმაოდ გაუგებარი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ იგივე "ლეიბორისტები," რომლებიც ყოველთვის საკმაოდ უარყოფითად აფასებდნენ ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსის დავით ოქიტაშვილის საქმიანობას, უცებ მისი ქომაგები გახდნენ. ამ ფაქტს თავად "ლეიბორისტები" საკმაოდ ბუნდოვნად ხსნიან. მათი თქმით, საქმე ოქიტაშვილში კი არა, მერისა და პრემიერის მიერ გატარებულ არასწორ პოლიტიკაშია.

თუმცა, "ახალი მემარჯვენეების" თქმით, "ლეიბორისტები" ამით "პლანკას იწევენ". ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათთვის გაცილებით მომგებიანია არა ერთი კონკრეტული სამსახურის უფროსის, არამედ თავად მერის წინააღმდეგ გალაშქრება. მით უფრო, რომ სკანდალი აშკარად გასცდა მერიის ფარგლებს. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ბიძინა ბრეგაძესა და ზურაბ ჭიაბერაშვილს შორის არსებული კონფლიქტის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ორივენი პრეზიდენტის გარემოცვის სხვადასხვა ფრთის სიმპათიებით სარგებლობდნენ. ამ სიტუაციაში, "ლეიბორისტებმა" ბიძინა ბრეგაძის და მისი გუნდის გულის მოგება სცადეს.

როგორც "მემარჯვენეები" აცხადებენ, "ლეიბორისტებმა" შესანიშნავად იცოდნენ, რომ ბრეგაძე თანამდებობიდან მიდიოდა და, შესაბამისად, მისი გადაყენების მოთხოვნით გამოსვლა სულ რამდენიმე დღეში აზრს დაკარგავდა. სხვა საქმე იყო ქალაქის მერი, რომელიც საკუთარ პოსტზე რჩებოდა. **"ვნახოთ, გადაუხდის თუ არა მადლობას "ლეიბორისტებს" ბრეგაძე და მისი გარემოცვა,"** - ნიშნის მოგებით ამბობენ "ახლები".

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მერიაში სკანდალი ისეთი ზავით დასრულდა, რომლის პირობები ყველა დაპირისპირებული მხარისათვის მეტ-ნაკლებად მისაღებია, "ლეიბორისტები" მადლობას ნამდვილად არ უნდა ელოდნენ.

*24 საათი*

# მერიაში სკამების განაწილება გრძელდება

პირველი გვერდიდან

**“ჩვენ არ გვჭირდება მონები საქალაქო სამსახურში. დამთავრდა ის დრო, როდესაც ვიღაცეები ჩვენს ბედს ჩვენს გარეშე წყვეტდნენ. ოქიტაშვილის წინააღმდეგ ჯერ შევარდნაძე იბრძოდა, მაგრამ ამ კაცმა შეძლო თავისი უმწიკვლო რეპუტაციის შენარჩუნება. დათო არ არის მშიშარა კაცი, რომ “ვიღაცეების” თქმით განცხადება დაწეროს და წავიდეს,”** – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ, რომელმაც სიტყვა ოქიტაშვილის დასაცავად მოსულ “ბომონდის” წარმომადგენლებს გადასცა.

რეჟისორმა მერაბ თავაძემ საკრებულოს თავმჯდომარეს ულრმესი მადლობა გადაუხადა, რომ ასეთი შემტევი საკრებულო ჰყავს ქალაქს. ქეთი დოლიძემ კი, ქალაქის მერს თავისი უფლება მოვალეობები შეახსენა და ერთი რჩევაც მისცა: **“ჩვენთან დაპირისპირებას, მერს ურჩევნია დაგვიძახოს და გვკითხოს, თუ როგორ უნდა კულტურის მუშაკებთან მუშაობა, ამას ოქიტაშვილი შესანიშნავად ახერხებს. ქალაქის მერობა მხოლოდ გზების დაგებით არ შემოიფარგლება.”**

გამომსვლელთა რიგებს არც “ლეიბორისტები” გამოჰკლებიან. მათ დრო იხელთეს და მერის იმპიჩმენტის საკითხი კიდევ ერთხელ დააყენეს დღის წესრიგში, რასაც დარბაზში ტაშის გრიალი მოჰყვა. “ახლებმა” სიტუაციას ალღო აუღეს და ხმამაღალ განცხადებებს მოერიდნენ. ფრაქცია “ახლების” ლიდერი გიორგი მოსიძე მიიჩნევს, რომ მერი თავის უფლებამოსილებებს დიდი ხანია, აჭარბებს, თუმცა საკრებულოს წევრებმა რატომღაც ახლა ამოიღეს ხმა. ეს ფაქტი კი პრეზიდენტის გუნდში შექმნილ აშკარა დაპირისპირებაზე მიუთითებს.

შეგახსენებთ, რომ ეს აურზაური მერის მიერ განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელების გათავისუფლების მოთხოვნას მოჰყვა. ქალაქის მერი პირველს ტენდერის უკანონოდ ჩატარებაში ადანაშაულებდა, ხოლო მეორეს ზოგად პლიტიკას უწუნებდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჭიაბერაშვილსა და ოქიტაშვილს შორის მას შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა, რაც საახალწლო ღონისძიებებისთვის მზადება დაიწყო. ამ ფაქტს არც ოქიტაშვილი უარყოფს.

**“326 ათას ლარს, რომელიც ახლა ერთი ღონისძიებებისთვის უნდა დაიხარჯოს, მე სამ წელიწადზე ვანაწილებდი. მერს ვუთხარი, რომ არ იყო საჭირო ამხელა თანხები დახარჯულიყო საახალწლო დღესასწაულისთვის, რადგან ეს საკრებულოს გაღიზიანებას გამოიწვევდა, რაც მოხდა კიდეც. შარშან ნაკლები ღონისძიება გავაკეთეთ? მაშინ 50 ათასი ლარი დაიხარჯა ბიუჯეტიდან, დანარჩენი კი ბიზნესმენებმა დადეს. თბილისობას რაც შეეხება, მე ბიუჯეტში 40 ათასი ლარი მქონდა ჩასმული, მაგრამ აქაც გამოჩნდა ორგანიზაცია, რომელმაც ფესტივალის ჩატარება მოინდომა და 80 ათას ლარს კიდევ 110 ათასი ლარი დაამატეს,”** – განაცხადა “24 საათთან” საუბრისას ოქიტაშვილმა. მისივე თქმით, იგი სამსახურიდან წასვლას ისედაც აპირებდა, რადგანაც კულტურის სამინისტროში თანამდებობას სთავაზობდნენ. ახლა კი იგი მშიშარა ადამიანის როლში გამოსვლას არ აპირებს და ადგილის შესანარჩუნებლად ბოლომდე იბრძოლებს.

ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე ხნის წინათ გამოაქვეყნა ქალაქ თბილისის მერის განკარგულება, სადაც ჭიაბერაშვილი კომპანია “ისთენ პრომოუშენის” წინადადების დაფინანსებას მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურიდან ითხოვდა. საუბარია 326 ათას ლარზე. ამ გადაწყვეტილებით, მერმა ოქიტაშვილს არ მისცა შესაძლებლობა, თავად დაეგეგმა საახალწლო ღონისძიება და გაენაწილებინა ფული, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, რამაც მათ შორის დაპირისპირება წარმოშვა.

რაც შეეხება განათლების სამსახურის უფროსს ნინო ჩაჩავას, იგი მერის მხრიდან შანტაჟსა და ზეწოლაზე საუბრობს. მისი თქმით, ჭიაბერაშვილმა მის სამსახურში ერთდროულად შეუშვა საფინანსო პოლიცია, უშიშროება, გენერალური ინსპექცია და კონტროლის პალატა, თუმცა ამ სამსახურებმა მცირეოდენი დარღვევების გარდა ვერაფერი ნახეს. **“უშიშროების წარმომადგენელმა მერს უთხრა, რომ ამ სამსახურში იყო რაღაც დარღვევები, მაგრამ არა ისეთი, ადამიანების დასჯის საკითხი დამდგარიყო,”** – აცხადებს ჩაჩავა, რომელიც გვიან ღამემდე მის მოადგილესთან, კოტე თევდორაძესთან ერთად, გენერალურ ინსპექციაში დაკითხვაზე იმყოფებოდა.

სანამ საკრებულოში ვნებათაღელვა იყო, ქალაქის მერი შეკეთებული გზების მოსანახულებლად დადიოდა დედაქალაქში. შვებულებაში მყოფი ქალაქის პრემიერი კი მოვლენებს სახლიდან ადევნებდა თვალყურს. საღამოს ხუთ საათზე სხვადასხვა პოზიციებზე მყოფმა მერმა, პრემიერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ერთობლივი ბრიფინგი გამართეს და მოკლე განცხადებები გააკეთეს.

**“მე გადავდივარ სხვა თანამდებობაზე და ვარ ბედნიერი, რომ მომეცა შესაძლებლობა, ჩემი საყვარელი ქალაქისათვის რვა თვის განმავლობაში უამრავი რამე გამეკეთებინა,”** – აღნიშნა ბიძინა ბრეგაძემ.

ამავე ბრიფინგზე, საკრებულოს თავმჯდომარემ დილით გაკეთებული განცხადებები უარყო და პრეზიდენტის ერთიან გუნდზე ალაპარაკდა. **“ჩვენ ვართ ერთიანი საპრეზიდენტო გუნდის წარმომადგენლები. ბატონი ზურაბიც, მეც და მთავრობის პრემიერიც ვალდებულები ვართ, ურთიერთშეთანხმებულად ვიმოქმედოთ. არც ერთ ჩვენგანს არ აქვს უფლება, ამბიციები უფრო ზევით დააყენოს, ვიდრე პრეზიდენტის კურსის ერთგულება. ჩვენ დღეს მერთან ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თბილისის პრემიერის პოსტს თემურ ქურხული დაიკავებს,”** – აღნიშნა ბეგაშვილმა.

როგორც ამბობენ, ქურხულის ადგილს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით იოსელიანი დაიკავებს. ალბათ ამიტომაც, იოსელიანი გუშინ დებატებში მონაწილეობაზე თავს იკავებდა და მერიის კაბინეტსაც ხშირად სტუმრობდა.

# ხანუკა, ანუ სასწაული



*ისრაელიდან სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსულმა მომღერალმა ლიორამ პრეზიდენტს წითელი ვარდი მიართვა.*

ებრაული დღესასწაულის აღსანიშნავად თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.

“ხანუკა” ანუ სასწაული, იმ გამარჯვების აღმნიშვნელი დღეა, რომელიც ებრაელმა ხალხმა ჩ .წ.აღ-მდე 164 წელს მოიპოვა დამპყრობლების წინააღმდეგ. ეს დღე სიმბოლოა ტაძრის დაბრუნებისა და პატარა ერების გამარჯვებისა დიდ ერებზე.

ამ დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში პირველ სანთელს ქვეყნის პირველი პირი ანთებს. გუშინ სანთელი საქართველოს პრეზიდენტმა აანთო. მიხეილ სააკაშვილმა ოპერაში შეკრებილებს და მთელ ებრაელ ხალხს ხანუკას დღესასწაული მიულოცა. მან აღნიშნა, რომ ამაყობს ქართულ-ებრაული ურთიერთობებით და იმედოვნებს, რომ ეს მეგობრობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება და განმტკიცდება.

გუშინ “ხანუკასთან” ერთად საქართველოსა და მსოფლიოს ებრაულ ორგანიზაციებს შორის არსებული თხუთმეტწლიანი ურთიერთობა და სოხნუთის დაარსებიდან 75 წლისთავიც აღნიშნეს.

*24 საათი*

# ამერიკული „წითელი ხაზი"

პირველი გვერდიდან

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში 5-დღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებად იქცა შეხვედრა კონდოლიზა რაისთან (რომელიც “გარდამავალ პერიოდში", სანამ ქვეყანას მოქმედი სახელმწიფო მდივანი ჰყავს, უცხოელ სტუმრებს არ ხვდება, მაგრამ ზურაბ ჟვანიასთვის გამონაკლისი დაუშვა) და საქართველოს დემოკრატიული ძალების ლიდერთათვის ავერელ ჰარიმანის ჯილდოს გადაცემის ცერემონია. ეს ღონისძიება ეროვნულდემოკრატიული ინსტიტუტის ეგიდით გაიმართა.

ამ ცერემონიაზე, ეროვნულდემოკრატიული ინსტიტუტის თავმჯდომარემ, ამერიკის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა, მადლენ ოლბრაიტმა მიხეილ სააკაშვილს, ზურაბ ჟვანიასა და ნინო ბურჯანაძეს “დემოკრატიის ჩემპიონები" უწოდა.

ნიშანდობლივია, რომ მისი თქმით, ის ადამიანები, რომელთაც საქართველოში “ვარდების რევოლუცია" განახორციელეს, წარმატებებს აღწევენ, რაკი უპირველესად არიან “არა მეოცნებენი, არამედ პრაქტიკოსები".

რაც შეეხება კონდოლიზა რაისთან შეხვედრას, უმნიშვნელოვანესი შედეგი, როგორც ჩანს, ამერიკული “წითელი ხაზის" შენარჩუნება იყო. ამერიკის ეროვნული უშიშროების ორგანოს ერთ-ერთი წარმომადგენლის შარშანდელი გამონათქვამი ძალაში რჩება, რომლის თანახმად, “წითელი ხაზი რუსეთისათვის გადის იქ, სადაც იწყება საქართველოს დამოუკიდებლობა".

ამასთან, ქართულმა მედიამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია კიდევ ერთ შეხვედრას, რომელიც ვაშინგტონში გაიმართა: ზურაბ ჟვანია საზეიმო სადილზე მიიწვია ჯერმან მარშალის ფონდმა.

ფორმამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს: სადილი ამერიკაში ცერემონიული ღონისძიებაა და ნებისმიერ შემთხვევაში იმართება: დაწყებული მოდების ჩვენებიდან, დამთავრებული ჯილდოს გადაცემით.

მნიშვნელოვანი საკითხებიც სწორედ ამ ფორმით გამართული შეხვედრების დროს განიხილება. თითქოსდა “მარშალის ფონდში" დღეს ამერიკის მმართველი წრეების წარმომადგენლები არ არიან გაერთიანებულნი, მაგრამ სინამდვილეში ეს ფონდი არანაკლებ გავლენიანია, ვიდრე რონალდ რეიგანისეული “ფონდი მემკვიდრეობა", რომელმაც დასავლეთში გასული საუკუნის 80-იანი წლების “ნეოკონსერვატიულ" რევოლუციას ჩაუყარა საფუძველი.

შეგახსენებთ, რომ ეს ის მარშალია, რომლის სახელი ეწოდა ცნობილ “მარშალი გეგმას", რამაც არა მარტო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, არამედ მთელი დასავლეთ ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფერფლიდან აღადგინა.

ამდენად, არ არის შემთხვევითი ფონდის ოფიციალური სახელწოდებაც: “მარშალის გერმანული ფონდი", თუმცა, ამ ორგანიზაციას თანამედროვე გერმანიასთან უშუალო კავშირი არა აქვს – იგი უფრო ანალიტიკური ცენტრია (ისევე, როგორც ზემოთ ხსენებული “ჰერითიჯ ფაუნდეიშნ"), ოღონდ, უდავოდ, დაკავშირებულია ამერიკის მმართველ წრეებთან.

ამ ფონდში ხდება ახალი პროგრამების დამუშავება, რაც თავისი მასშტაბით “მარშალის გეგმას", რა თქმა უნდა, ჩამოუვარდება, მაგრამ ჩვენი პატარა ქვეყნისათვის, შესაძლოა, არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

არ არის შემთხვევითი, თუ ჟურნალისტებს საუბრის დაფიქსირების საშუალება არ მისცეს. არსებული ინფორმაციით კი, ზოგადად განიხილებოდა საქართველოსათვის მასშტაბური დახმარების საკითხები. თანაც არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მთელი “ევროატლანტიკური გაერთიანების" მიერ.

აქ მთავარია თვით იდეა, თორემ “მარშალის გერმანულ ფონდს" არ გააჩნია, რასაკვირველია, საშუალება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

თუმცა, მას ამ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის უნარი კი ნამდვილად აქვს. არ შეიძლება არ არსებობდეს კავშირი ამ იდეას (დასავლეთში არსებულ განწყობას) და, მაგალითად, იმ გადაწყვეტილებას შორის, რაც ამასწინათ ბრიუსელში დონორთა კონფერენციაზე მიიღეს საქართველოსათვის მილიარდიანი დახმარების შესახებ.

მაშასადამე, ყველაფერთან ერთად, ამერიკა იმითაც საინტერესო ქვეყანაა, რომ შეგვიძლია, უშუალოდ გავადევნოთ თვალი, როგორ ტრანსფორმირდება ისტებლიშმენტში მოარული იდეა კონკრეტულ პოლიტიკურ კონცეფციად, შემდეგ კი მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების გადაწყვეტილებად, პერზიდენტისა თუ ეროვნული უშიშროების საკითხებში მისი მრჩევლის განცხადებებად.

კონდოლიზა რაისმა ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას დაადასტურა, რომ ამერიკა მზად არის, დაიწყოს საქართველოს სამხედრო მხარდაჭერის ახალი პროგრამა, რომელიც აგრეთვე ათეულობით მილიონი დოლარი დაჯდება.

*24 საათი*

# ვინ შექმნის საქართველოს გაზმომარაგების გარანტიას?

*საქართველოს გარანტირებული გაზმომარაგების საკითხებს მიეძღვნება კონფერენცია, რომელიც 9 დეკემბერს სასტუმრო "ქორთიად მარიოტში" გაიმართება. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ხვალ თბილისში გაზის მომპოვებელი და მომწოდებელი ევროპელი და რუსული კომპანიების წარმომადგენლები ჩამოვლენ.*

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სტუმრები ინგლისიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან და რუსეთიდან. ღონისძიების ორგანიზატორი კომპანია "თბილგაზი" და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაა.

როგორც კომპანია "თბილგაზში" განცხადეს, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ხვალ თბილისში ჩამოვლენ გერმანული ფირმა "ZMB"-ის გენერალური დირექტორი ჰანს იოჰიმ გორნიტი, ასევე გერმანული კომპანია "ცენტრექსის" წარმომადგენელი ჯონ სკიმერი, "გაზექსპორტის" გენერალური დირექტორი ალექსანდრ მედვედევი და "გაზინვესტის" გენერალური დირექტორი ვლადიმირ ვოლოტიკინი.

ქართული მხრიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი და ეკონომიკის განვითარების მინისტრი კახა ბენდუქიძე. მომწოდებელი და მომპოვებელი გაზკომპანიების წარმომადგენლები არაოფიციალურ შეხვედრებს გამართავენ საქართველოს ენერგეტიკისა და ეკონომიკის მინისტრებთან.

9 დეკემბერს დაგეგმილია "გაზექსპორტის" გენერალური დირექტორის ალექსანდრ მედვედევის პრესკონფერენცია, რომელიც საქართველოს გაზმომარაგების საკითხებს მიეძღვნება. სავარაუდოდ, ამ პრესკონფერენციაზე მედვედევი დააფიქსირებს კომპანიის პოზიციას, რომლის თანახმად, "გაზექსპორტი" გაზმომარაგებას არა პოლიტიკოსთა დაკვეთით, არამედ გადახდის მაჩვენებლისა და იმ პარტნიორული შეთანხმებების მიხედვით განახორციელებს, რომელიც "გაზპრომსა" და მის მომხმარებელ ქართულ კომპანიას შორის გაფორმდება.

*24 საათი*

# ნავთობიმპორტიორები - საქსტანდარტის წინააღმდეგ

*"ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი" "საქსტანდარტისგან" მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას მოითხოვს. კავშირის თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საწვავის ხარისხის კონტროლი "საქსტანდარტს" ევალება, დღეს სამომხმარებლო ბაზარზე კვლავ დიდი რაოდენობით უხარისხო ნავთობპროდუქტები იყიდება.*

დიანა ჩაჩუა

**"თუ ადრე უხარისხო, ან არალეგალური საწვავის ამოცნობა შედარებით მარტივად, დაბალი ფასის მიხედვით იყო შესაძლებელი, ახლა უკვე ეს ფაქტორი აღარ მუშაობს. ერთადერთი და უტყუარი მეთოდი უხარისხო პროდუქციის გამოსავლენად მისი ლაბორატორიული შემოწმებაა, რაც "საქსტანდარტის" ფუნქციაა და რასაც იგი აშკარად ვერ ასრულებს,"** - განაცხადა "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, საწვავის შესანახ ბაზებსა და თავად ბენზინგასამართ სადგურებში ნავთობპროდუქტების სხვადასხვა სუროგატებით გაზავება ხდება და ამის კონტროლი თვითდინებაზეა მიშვებული.

**"მოტყუებული მომხმარებლის უფლებების დაცვას კი "საქსტანდარტი," მოსამართლის საგანგებო ნებართვის გარეშე, დამოუკიდებლად ვერ, ან არ ახერხებს. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ არის საჭირო საკანონმდებლო ბაზის დარეგულირება, რათა "საქსტანდარტი" რეალურ მაკონტროლებელ ორგანოდ იქცეს და მის ბაზაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რგოლი შეიქმნას,"** - განაცხადა მთვრალაშვილმა. კავშირი უახლოეს მომავალში აღნიშნული საკითხის პარლამენტის წინაშე დასმას აპირებს.

მთვრალაშვილის ინფორმაციით, რეგულარულ ლაბორატორიულ შემოწმებას დღეისათვის მოქმედი შვიდი ლიცენზირებული ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მიერ გამოშვებული დიზელის საწვავი საჭიროებს, რადგან მათი პროდუქცია ხშირად ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის ნორმებს. ამასთანავე, კავშირის ინიციატივით, **"სახელმწიფომ საგანგებოდ უნდა იფიქროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიების შექმნაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საწვავის ხარისხის კონტროლი შეუძლებელი იქნება."**

გუშინდელი შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა კავშირის მიერ მიღწეული გადაწყვეტილება იყო. საქართველოს მთავრობამ "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის" ინიციატივით, ბენზინზე სტანდარტის ახალი ნორმების შემოღება ერთი წლით გადაავადა. ვანო მთვრალაშვილის აზრით, ახალი სტანდარტის მიღებამდე, ქვეყანაში ხარისხის კონტროლის მძლავრი სამსახური უნდა შეიქმნას.

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, ახალი სტანდარტები 2005 წლის პირველი იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა "ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი" ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და მის გადავადებას მოითხოვდა. არგუმენტად კი იგი ამ პროცესის შედეგად საწვავზე გაძვირებულ ფასებს და აზერბაიჯანთან გაფუჭებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ასახელებდა. ცნობისათვის, ამ სტანდარტის შემოღების გადაწყვეტილება წინა მთავრობამ 2003 წლის ზაფხულში მიიღო. კავშირის წარმომადგენლები ამ ფაქტს წინა მთავრობის მიერ დატოვებულ ერთ-ერთ ნაღმს უწოდებენ.

# ახალი კოდექსი ბუნებრივ აირს გააიაფებს

*მომავალი წლიდან თხევადი აირი გაიაფდება - ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ გუშინ პარლამენტში, რის საფუძვლადაც იმას ასახელებენ, რომ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თხევადი გაზის დაბეგვრის რეჟიმები შეიცვალა, რაც აირის მნიშვნელოვან გაიაფებას გამოიწვევს.*

თამარ ივანიძე

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბეჟან ბუცხრიკიძემ გუშინ განაცხადა, რომ ამჟამად თხევადი აირი 60-პროცენტიანი აქციზით და 20-პროცენტიანი დ.ღ.გ-თი იბეგრება, რაც საერთო ჯამში 1000 მ.-ზე 175 ლარის გადასახადს უდრის.

**"ახალი საგადასახადო კოდექსით დაწესდება ფიქსირებული გადასახადი. 1000 მ. თხევად აირზე გადასახადი 120 ლარამდე შემცირდება, რაც მომხმარებლისთვის თხევად გაზს გააიაფებს,"** - განაცხადა ბუცხრიკიძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის აზრით, თხევადი გაზის გაიაფება მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიებაა, რადგან აღნიშნულ გადასახადს საქართველოში, ძირითადად, მზარეულები იხდიან და მათთვის გაზის გაძვირება დაუშვებელია.

ამის პარალელურად, ახალი საგადასახადო კოდექსის გამო უკმაყოფილებას აფიქსირებენ ელექტროენერგეტიკულ სექტორში მოღვაწე სუბიექტები.

ახალი საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ენერგოკომპანიების დაბეგვრის რეჟიმის შეცვლას ენერგეტიკოსები მკვეთრად უარყოფით შეფასებას აძლევენ.

კომპანია "თელასის" ფინანსური დირექტორის ოლეგ უტიომოვის განცხადებით, დაბეგვრის რეჟიმის გამკაცრება და ახალი გადასახადების შემოღება ენერგოკომპანიებს ფინანსურად დააზარალებს და მათ კომპანიების განვითარებისათვის ინვესტიციების განხორციელების საშუალებას მოუსპობს.

**"ახალი კოდექსის მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) დაიბეგრება ენერგოკომპანიის მიერ მომხმარებლისათვის მიწოდებული და არა მომხმარებლის მიერ ანაზღაურებული ელექტროენერგია. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით იმ ენერგოკომპანიებს დააზარალებს, რომელთაც დიდი კომერციული დანაკარგები და მოხმარებული ელექტროენერგიის ამოღების დაბალი მაჩვენებლები აქვთ. ენერგოკომპანიებს აღნიშნული ცვლილებით დღგ-ს გადახდა მოუწევთ მომხმარებლის მიერ მოპარულ ელექტროენერგიაზე. მიუხედავად იმისა, რომ "თელასის'' კომერციული დანაკარგები 25-ს, ხოლო ამოღების მაჩვენებლები 80-85 პროცენტს აღწევს, კომპანიას ამ ცვლილების გამო დამატებით 3,5 მლნ ლარის გადახდა მოუწევს,"** - განაცხადა უტიომოვმა.

მისივე თქმით, ახალ კოდექსში დღგ-ით სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ შეძენილი ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ღირებულებაც დაიბეგრება, რაც ამჟამად მოქმედ კოდექსში გადასახადისაგან გათავისუფლებული იყო.

**"ამიერიდან კომპანიას იმპორტირებულ და საბითუმო ბაზრისაგან შეძენილ ელექტროენერგიაზე და ასევე ბუნებრივ აირზე დღგ-ს გადახდა მოუწევს, რაც დამატებით, თვეში 600 ათასი აშშ დოლარის ხარჯს მოითხოვს. აღნიშნულ თანხებს "თელასი" ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას მოახმარდა, რაც ამჟამად შეუძლებელია,"** - განაცხადა უტიომოვმა.

"თელასის" ფინანსური დირექტორი ენერგოკომპანიებისათვის დამღუპველი საგადასახადო რეჟიმის შეცვლის ერთადერთ საშუალებად ფინანსთა სამინისტროსთან და პარლამენტთან კონსულტაციებს მიიჩნევს, თუმცა აცხადებს, რომ ჯერჯერობით კონსულტაციებს შედეგი არ მოჰყოლია.

# შეჯამდა ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამების მუშაობა

გუშინ "მერიოტში" ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამების BAS\TAM-ის მუშაობა შეაჯამეს. პროგრამის ფარგლებში საქართველოში დახმარება გაეწია 150-ზე მეტ მცირე და 5 დიდ საწარმოს.

**"პროგრამები წარმატებით იქნა განხორციელებული. ძირითადი პრობლემები მოგვარებულია,"** - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პროექტების რეგიონულმა დირექტორმა ბრიგიტა უოტსონმა.

BAS-ის პროგრამამ მუშაობა 2003 წლის აპრილში დაიწყო და ის 2004 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდება. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა 145 პროექტი თანადაფინანსებით, 2 პროექტი - სრული დაფინანსებით. 18 თვის განმავლობაში ზოგიერთმა კომპანიამ რამდენიმე პროგრამაში მიიღო მონაწილეობა. პროექტის საერთო ღირებულება 479 მილიონ ევროს შეადგენდა.

**"დროის უკმარისობის გამო, 6 ათასი ევროს გამოყენება ვერ შევძელით,"** - განაცხადა ბრიგიტა უოტსონმა.

მისი განცხადებით, სამუშაო ადგილების სიმრავლე სახელმწიფოში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა და ამ მიზნით ამდაგვარი პროგრამების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, თბილისის გარეთ. აქედან გამომდინარე, 7 პროექტი განხორციელდა კახეთში, 7 - შიდა ქართლში, 8 - მთიანეთში, 14 - იმერეთში, აგრეთვე, აჭარაში, სამეგრელოში, სვანეთში, გურიაში და სხვა. პროექტების 77 პროცენტი განხორციელდა ისეთ მცირე საწარმოებში, რომელთა თანამშრომლების რაოდენობა 50-ს აღემატებოდა. TAM-ის პროგრამის ფარგლებში პროექტები მხოლოდ 5 დიდ საწარმოში განხორციელდა. ამ პროგრამის განხორციელება 2005 წელსაც გაგრძელდება. **24 საათი**

# ნოღაიდელი "ახლებს" დემაგოგებს უწოდებს, "ახლები" მინისტრს სიცრუეში სდებენ ბრალს

საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია" ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტში რამდენიმე შენიშვნის გათვალისწინებას ითხოვს.

კერძოდ, კოდექსში ჩაიდოს პუნქტი, რომლის თანახმადაც, ეკლესიის კუთვნილი ნებისმიერი ქონება და მიწა, რომელიც არაეკონომიკური მიზნებისათვის გამოიყენება, ყოველგვარი გადასახადისაგან გათავისუფლდეს.

ფრაქციის წევრის დავით საგანელიძის განცხადებით, ეს შეთანხმება დევს საკონსტიტუციო ხელშეკრულებაში, რომელიც სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დაიდო და ეს შეთანხმება კოდექსშიც უნდა აისახოს.

ამასთან, "მემარჯვენე ოპოზიცია" მოითხოვს, შეღავათები დაწესდეს წიგნის გამოცემასა და ბეჭდვით მედიაზე.

ფრაქციის ერთ-ერთი წევრის, მანანა ნაჭყებიას თქმით, წარმოდგენილი კანონპროექტით გადასახადისაგან გათავისუფლებულია მხოლოდ წიგნის ბეჭდვა, ხოლო წიგნის გამოცემა მხოლოდ ბეჭდვა არ არის და, შესაბამისად, წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა, მათ შორის, აკინძვა და სხვა, შეღავათიან პირობებში უნდა მოექცეს.

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, შეთანხმება მიღწეულია და ბეჭდვითი მედია გათავისუფლებულია ყველა გადასახადისაგან, გარდა საშემოსავლო გადასახადისა. ამ უკანასკნელის გაუქმებას კი მთავრობა არ აპირებს.

ფინანსთა მინისტრმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიციის" მისამართით მკვეთრი განცხადებები გააკეთა და ისინი დემაგოგიაში დაადანაშაულა. თავად "მემარჯვენე ოპოზიცია" მინისტრს კორექტულობისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ ფინანსთა მინისტრი ცრუობს, ვინაიდან შეთანხმებები კოდექსში ასახული არ არის.

*24 საათი*


## ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს სხვადასხვა სახის (A3; A4; A5;) ბლანკების ბეჭდვაზე:

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და
შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.

თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 დეკემბერი.



## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**8 დეკემბერს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
გრანელის, ჯაბაურის, დავითაშვილის, დიღომბარის, ლამის, პაატა სააკაძის, პეტრე ბაგრატიონის, არსენალის მთის, ახალი არსენალის I და II ქუჩების, ასპინძის, ბოდავის, სალიას, არაგვისპირელის, გუმათის, ადიგენის, მნათობის, თამარაშენის, ბერიაშვილის, ძეგამის, ახუთის, სიღნაღის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**9 დეკემბერს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
კიკვიძის, ფარავნის, მიჩურინის, თეთნულდის, როსტოვის, ქინქლაძის, ყირიმის, პალიასტომის, ჩიტაიას, ლარეხის, ართვინის, მამარდაშვილის, ჩეჩელაშვილის, უფლისციხის, საქარის, ნორიოს აღმართის, ქვალონის, ცაიშის, ასხინის, სალხინოს, ლებარდეს, სენაკის, რიონის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**9 დეკემბერს, 11.00-დან 16.00 სთ-მდე:**
ლილოს დასახლების II მიკრორაიონის, ლილოს დასახლების IV კვარტლის, საქსოფლმანქანის დასახლების, ჭირნახულის, ორახელაშვილის ქუჩების მაცხოვრებელებს.



## სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეღავათების მქონე პირთა საყურადღებოდ!

გაცნობებთ, რომ ა/წ 1 დეკემბრიდან იწყება თქვენი კუთვნილი შეღავათების
დამადასტურებელი საბუთების ხელახალი რეგისტრაცია.
გთხოვთ 2004 წ-ის 31 დეკემბრამდე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით აბონენტთა მომსახურების ცენტრებში, წარმოადგინოთ შეღავათის და პირადობის დამადასტურებელი საბუთები, წინააღმდეგ შემთხვევაში სს "თელასი" იძულებული გახდება შეაჩეროს თქვენს ბარათზე შეღავათის გატარება 2005წლის 1 იანვრიდან.


# სად შევინახოთ ფული

## ნოვატორული იდეები "პროკრედიტ ბანკისაგან"

ნინო ნარჩემაშვილი

*დეპოზიტი (dipozit) - ლათინური სიტყვაა და ანაბარს ნიშნავს. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დეპოზიტი, ანუ ანაბარი - იგივეა რაც გადადებული, შენახული, შესანახად ბანკებისათვის მინდობილი თანხა ან ფასიანი ქაღალდი. 21-ე საუკუნეში და ცივილურ ქვეყნებში ადამიანები საკუთარ თანხებს ბანკში ინახავენ და ამით მოგებასაც ნახულობენ, მაგრამ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ბანკის საიმედოობა გახლავთ, რომლის განსაზღვრისათვისაც მსოფლიო მასშტაბით არაერთი ინსტიტუტი მუშაობს. ერთ-ერთი მათგანის, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია "ფიტჩ რეიტინგის" (Fitch Rating) მიერ CCC+ ხარისხი, რომელიც ავტომატურად საიმედოობის იმიჯს ქმნის, საქართველოში ჯერჯერობთ მხოლოდ ორ ბანკს - "თიბისი ბანკს" და "პროკრედიტ ბანკს" აქვს მინიჭებული. მაგარამ აქაც არსებობს უპირატესობები...*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*„პროკრედიტ ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე ასმუს როტნე.*

იმისათვის, რომ "პროკრედიტ ბანკის" მეანაბრე გახდეთ, სრულებითაც არ არის საჭირო მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობდეთ. მინიმალური თანხა, რომლითაც ბანკში სადეპოზიტო ანგარიშის გახსნა შეიძლება, სულ რაღაც 40 ლარს (უცხოურ ვალუტაში კი 20 აშშ დოლარს ან 20 ევროს) შეადგენს. და კიდევ, ნოვატორული იდეები მეანაბრეთათვის "პროკრედიტ ბანკისაგან" - 4 ნოემბრიდან დაიწყო აქცია სადეპოზიტო ანგარიშის გახსნის მსურველთათვის - უკვე არსებულ საპროცენტო სარგებელს (წლიური 9,5 პროცენტი) 0,5 პროცენტი დაემატება. ის, ვინც "პროკრედიტ ბანკში" 1 იანვრამდე სადეპოზიტო ანგარიშს გახსნის, წლიური 9,5 პროცენტიანი დანამატის მაგივრად 10 პროცენტით გაზრდილ თანხას მიიღებს. "პროკრედიტ ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილის ასმუს როტნეს განცხადებით **"ეს აქცია ბანკის ცხრამეტივე ფილიალში ხორციელდება".** რაც შეეხება მეანაბრეების პროცენტულ ოდენობას, მისივე თქმით, მათი რიცხვი დედაქალაქში უფრო მეტია, ვიდრე რეგიონებში, სადაც ძირითადი მოთხოვნაა მიკროსესხებზე ("პროკრედიტ ბანკის" ფილიალები საქართველოს ყველა რეგიონშია გახსნილი, ქვეყნის მასშტაბით კი ბანკის 16 ბანკომატი მუშაობს). თუმცა "პროკრედიტ ბანკის" ბათუმის ფილიალში უკანასკნელ პერიოდში მეანაბრეთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და არანაკლებია, ვიდრე თბილისის პროცენტული მაჩვენებელი. და კიდევ ერთი მონაცემი - ბანკში აღნიშნავენ, რომ დეპოზიტზე შესატანი თანხისათვის ყველაზე დიდპროცენტიანი ის ანგარიშებია, რომლებიც ქართულ ეროვნულ ვალუტაში, ლარში იხსნება, თუმცა ასმუს როტნეს თქმით, სამწუხაროდ ძალიან ცოტა ადამინი ინახავს თანხას ლარებში.

### წარმატების საწინდარი

"პროკრედიტ ბანკში" თვლიან, რომ ქართულ საბანკო ბაზარზე მათი ხუთწლიანი მუშაობა ძალზე წარმატებულია. წარმატების მთავარ მიზეზად კი ბანკის საქმიანობის მაქსიმალურ გამჭვირვალობას მიიჩნევენ (რაც საქართველოში საკმაოდ რთულად მისაღწევია და იშვიათობას წარმოადგენს). "პროკრედიტ ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე ასმუს როტნე ამასთან დაკავშირებით ერთ მარტივ ჭეშმარიტებას აღნიშნავს - **"კლიენტი გვანდობს ფულს და მან უნდა იცოდეს, რომ მისი ფული დაცულია და ბანკი არ გაკოტრდება. აქედან გამომდინარე, ყველაზე მთავარი, რაც "პროკრედიტ ბანკს" შეუძლია შესთავაზოს თავის კლიენტს, ეს არის საიმედოობა და სტაბილურობა. თავდაპირველად ბანკი ორიენტირებული იყო მიკროსესხებზე, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში აქტიურად მუშაობს დეპოზიტებზე და ბანკს დღეისათვის საქართველოში 1 500-მდე მეანაბრე ჰყავს. ყველა პროცესი სრულიად გამჭირვალეა, ანუ მეანაბრემ იცის სად მიდის მისი ფული".** ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე თანხების მიზნობრივი ბრუნვის შესახებაც საუბრობს და აღნიშნავს, რომ მეანაბრის მიერ ბანკში შესანახად შეტანილი ფული ისევ მათ თანამემამულეებს ხმარდება - გაიცემა მიკროსესხები, ხდება საქმიანობებისა და ბიზნესის გაფართოება.

### სიახლე

მიმდინარე კვირას, "პროკრედიტ ბანკის" მასტერკარდის და მაესტროს საკრედიტო ბარათები შემოვა ხმარებაში, ამასთან დაკავშირებით 9 დეკემბერს სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სპეციალური პრესკონფერენცია და პრეზენტაცია გაიმართება, რომელზეც "პროკრედიტ ბანკი" მასტერკარდისა და მაესტროს საკრედიტო ბარათების სარეალიზაციო ქსელში ჩაშვების ოფიციალური წარადგენა მოხდება. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, მაესტროს საკრედიტო ბარათი ყველაზე პოპულარული იქნება, რადგან მისი გამოყენება შესაძლებელია ყველაგან (სავაჭრო ქსელში, სამომხმარებლო სისტემაში და სხვა), თანაც ბანკი მაესტროს ბარათებს თავისი კლიენტებისათვის უსასყიდლოდ დაამზადებს.

დაბოლოს. ასმუს როტნეს შეფასებით **"რა თქმა უნდა, ყველა ბანკი თავისი სერვისის გაუმჯობესებასა და მოსახლეობისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზებაზე ზრუნავს, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ "პროკრედიტ ბანკის" მთავარი მესიჯი მოსახლეობისათვის შეთავაზებული სერვისის მაღალი, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისი დონე გახლავთ. ოღონდ იმის მიუხედავად, თუ საზოგადოების რომელ ფენას მიეკუთვნება იგი".**

# მოლაპარაკებათა მესამე რაუნდი

## "კმაყოფილი მხარეები" და გადაუჭრელი პრობლემები

ხათუნა ბაბიევი

საერთაშორისო შუამავლების მონაწილეობით გამართულ მოლაპარაკებათა მესამე რაუნდს, მოლოდინისამებრ, შედეგად ზოგიერთ საკითხზე შეთანხმება მოჰყვა. შეხვედრა საღამოს 8:00 თბილისის დროით საათზე დაიწყო და დაახლოებით 6 საათი მიმდინარეობდა. "მრგვალი მაგიდის" მორიგი შეხვედრა იგივე ფორმატით გაიმართა, როგორიც წინა ორი, მასში მონაწილეობას იღებდნენ უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა, საპრეზიდენტო არჩევნების ორივე კანდიდატი – ვიქტორ იუშენკო და ვიქტორ იანუკოვიჩი, პოლონეთისა და ლიტვის პრეზიდენტები (ალექსანდრ კვასნევსკი და ვალდას ადამკუსი), სპეციალურად ამ შემთხვევისათვის სოფიის ფორუმიდან დაბრუნებული ეუთო-ს გენერალური მდივანი იან კუბიში, უკრაინის უმაღლესი რადას სპიკერი ვლადიმირ ლიტვინი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენელი ბორის გრიზლოვი და ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების საკითხთა კოორდინატორი ხავიერ სოლანა. "მხარეები შეთანხმდნენ, რომ უკრაინის ახალი პრეზიდენტის არჩევნების პროცესის მონაწილენი შეასრულებენ ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულ იქნა ქვეყნის უზენაესი სასამართლოს მიერ," - წაიკითხა მოლაპარაკებების შემდეგ შედგენილი დოკუმენტიდან უკრაინის მოქმედმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ. შეხვედრაში მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე იმაზეც, რომ პრეზიდენტი ვადამდე შეუწყვეტს უფლებამოსილებას ცსკო-ს ამჟამინდელ წევრებს და უმაღლეს რადას ახალი ცსკო-ს შემადგენლობას უმოკლეს ვადებში წარუდგენს. "მიღწეულია შეთანხმება საპრეზიდენტო არჩევნების კანონში ცვლილების შეტანაზეც, რაც გამორიცხავს საარჩევნო პროცესში დარღვევების ალბათობას," - განაცხადა კუჩმამ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების მეტი მობილიზების პირობებში არჩევნებში დამკვირვებლებს არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციები გაგზავნიან. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კანადა უკრაინაში 500 დამკვირვებელს გაგზავნის. მხარეები შეთანხმდნენ ასევე ოპოზიციონერთა მიერ მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მინისტრთა კაბინეტისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის ალყის მოხსნაზე. შეთანხმება ხელმოწერილია ორივე საპრეზიდენტო კანდიდატის მიერ. შეთანხმებას ხელი მოაწერა რადას სპიკერმა ვლადიმირ ლიტვინმაც, თუმცა, ერთი პირობით, რომ აღნიშნული დოკუმენტი ძალაში მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის შემდეგ შევა. ლიტვინის პოზიციას იზიარებს ლეონიდ კუჩმაც, რომელიც საერთაშორისო შუამავლებთან ერთად აწერს ხელს შეთანხმებას. მიუხედავად ზემოჩამოთვლილისა, შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისა და იანუკოვიჩის გადადგომის პარლამენტის მიერ ერთ პაკეტში განხილვასთან დაკავშირებით.



6 საათიანი მოლაპარაკების შედეგები არცთუ მრავალრიცხოვანია.

თუ ევროკავშირის წარმომადგენელი თავშეკავებული იყო შეხვედრის კომენტირებისას, უმაღლესი რადას ვიცე-სპიკერს ალექსანდრ ზინჩენკოს, რომელიც ვიქტორ იუშენკოს ახლდა თან, არ დაუმალავს, რომ "მრგვალი მაგიდის" არც მესამე რაუნდი ყოფილა კონსენსუსისათვის განსაკუთრებული მზადყოფნით გამორჩეული.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჯერჯერობით გადაუჭრელია, განმეორებით საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მოსამზადებლად აუცილებელი მატერიალური სახსრების არქონაა. უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის მიხაილ ოხენდოვსკის თქმით, საპრეზიდენტო არჩევნებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 466 მლნ გრივნა (86.2 მლნ აშშ დოლარი), აქედან 119 მლნ გრივნა (22 მლნ აშშ დოლარი) არჩევნების მეორე ტურისათვის იყო გათვალისწინებული. დღესდღეობით კი ფინანსები მთლიანად ამოწურულია, რაც უკრაინის ამოცანას ნამდვილად არ ამარტივებს.

# ბოროტების პროვინცია

პირველი გვერდიდან

დღეს, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, უკვე თითქმის 15 წელია გასული და ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, მაგრამ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში საბჭოთა ძალაუფლება კვლავაც დომინირებს, გარდა საქართველოსი (ბალტიისპირეთის ქვეყნებს არ ვგულისხმობთ, მათ თავის დროზე შეძლეს და საბჭოურ დიქტატურას თავი დააღწიეს). მხოლოდ საქართველოში არ ამზადებენ საბჭოთა სისტემის კადრებს. ეს კი, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დამსახურებაა. დანარჩენი "მოძმე" ქვეყნების სათავეში კი, საბჭოთა სპეცსამსახურებიდან გამომძვრალი ან სკკპ-ს (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია) აქტივისტები არიან. ყველა ეს მმართველი ერთნაირად მიიჩნევს, რომ ხალხი ხელის შემშლელი მექანიზმია, ხოლო ძალაუფლება - საკუთრება. ყველას ერთნაირად უყვარს ფინანსური წყაროების გაკონტროლება. ყველა მიიჩნევს, რომ ცხოვრება საიდუმლო კაბინეტებში დაწერილ სცენარებს ემორჩილება.

რუსეთში ამ საბჭოთა პოლიტიკურ ტრადიციას იმპერიული სინდრომი ართულებს. შედეგად, რუსი ჩინოვნიკები უკრაინის "აჯანყებას" დასავლეთს აბრალებენ და თვლიან, რომ ყველაფერი, რაც უკრაინაში ხდება, ნიჭიერი რეჟისორის დადგმული სპექტაკლია. თუმცა, ყველამ კარგად იცის, რომ კრემლმა აშკარა ბანდიტს, ვიქტორ იანუკოვიჩს 900 მილიონი დოლარი დაახარჯა, რათა უკრაინის ხელისუფლების სათავეში მოსულიყო და უკრაინის ბედი კრემლისთვის გადაეცა. როგორც ჩანს, მსოფლიო კულუარებში მომხდარი შეთქმულება უფრო ეფექტური გამოდგა, ვიდრე კრემლის შეთქმულება. უბრალოდ, უკრაინა საქართველოს, სერბეთის და პოლონეთის კვალდაკვალ, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც, თავიდან იშორებს საბჭოთა ძალაუფლებას. მსგავსება საქართველოს ნოემბრის რევოლუციასა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს შორის მხოლოდ ერთია - ამ ქვეყნებიდან დაიწყო საბჭოთა იმპერიის რიგით მეორე ნგრევა და ძალაუფლების ახალი სისტემის ფორმირება. არავინ ამბობს, რომ მმართველობის ეს ახალი სისტემა კარგი იქნება, მაგრამ პოლიტიკოსების რიცხვი, რომლებმაც კარიერა სსრკ პერიოდში გაიკეთეს, საგრძნობლად შემცირდება, პოლიტიკოსებთან ერთად კი საბჭოური იდეოლოგიაც ნელ-ნელა გაქრება. გაჩნდება ახალი ნაციონალური ელიტა, რომელიც პოსტსაბჭოური იდეოლოგიის გამტარებელი არ იქნება და მასზე ვერავინ იტყვის, რომ საბჭოური წარმოშობისაა.

რაც შეეხება რუსეთს, მისი ხელისუფლების აშკარა შიზოფრენიული საქციელი აფხაზეთის და უკრაინის მიმართ მწარე სინანულს და ჩუმ სიხარულს იწვევს.

**სინანულს** - რადგან რუსეთი მზად არის, აფხაზი ხალხი აშიმშილოს და საზღვრები ჩაუკეტოს, თუ კრემლის კანდიდატ რაულ ხაჯიმბას აფხაზეთის პრეზიდენტად არ აღიარებენ. რადგან რუსეთი აშკარად ცდილობს, უკრაინა შუაზე გახლიჩოს და მთლიანად თუ ვერა, ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მაინც იქონიოს გავლენა. **სიხარულს** – რადგან, მიუხედავად იმპერიალიზმისკენ რუსეთის ლტოლვისა, ხალხი ხედავს, თუ რაოდენ დიდ შეცდომას სჩადის ხელისუფლება და ხედავს, თუ რაოდენ დამღუპველია ასეთი პოლიტიკა, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის აღდგენა შეუძლებელია. იმპერიები არასოდეს ბრუნდებიან, ყოველ შემთხვევაში, ისტორიას არ ახსოვს არც ერთი ასეთი შემთხვევა. ამერიკის იმპერია თავის დროზე ისევე დაინგრევა, როგორც რომის, ბიზანტიის და თუნდაც რუსეთის იმპერიები დაინგრა. რომი ყოველთვის მარადიული ქალაქი და ევროპის დიდი სახელმწიფოს დედაქალაქი იქნება, ათენი - ევროპის მცირე სახელმწიფოს დედაქალაქი. რა იქნება მოსკოვი? ჯერჯერობით, ეს იმ სახელმწიფოს დედაქალაქია, რომელიც ინფანტილური ჯუჯასავით იქცევა, საყვარელი სათამაშოები რომ დაკარგა და მის გარშემომყოფებზე შურისძიებას ცდილობს.

*მოამზადა*
*სანდრო ნავერიანმა*

# არჩევანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის

## მოსკოვი ეუთო-ს წინააღმდეგ

ნინო გომართელი

*მრავალი წლის თანამშრომლობის შემდეგ, რუსეთსა და ეუთო-ს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მოსკოვმა და ამ ორგანიზაციამ სხვადასხვა პოზიციები დაიკავეს არა მხოლოდ უკრაინაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისთან, არამედ საქართველოსა და მოლდოვაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.*
*მოსკოვს არ სურს, ამ ორგანიზაციას საშუალება მიეცეს, უკრაინაში 26 დეკემბერს დანიშნულ ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებს სრულფასოვნად დააკვირდეს, რადგან შედეგების ფალსიფიცირების მცდელობა აშკარა იქნება. ამას გარდა, სიტყვის გაგებაც არ უნდა ეუთო-ს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების თაობაზე, რაც საქართველოსა და მოლდოვადან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების გაყვანას გულისხმობს.*




*კოლინ პაუელი: "ჩვენ არც ვეჭიბრებით და არც ვიბრძვით პოსტსაბჭოთა ტერიტორიებისთვის. ჩვენ არ ვთხოვთ მათ, გააკეთონ არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ქვეყანას უნდა მიეცეს საშუალება, აირჩიოს საკუთარი მმართველი და მეგობარი სახელმწიფოები.".*

ორი დღის განმავლობაში, სოფიაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი მიმდინარეობდა, რომლის მთავარ თემებს უკრაინაში ამ ორგანიზაციის მიერ ხელახალ საპრეზიდენტო არჩევნებზე 2 ათასი დამკვირვებლის გაგზავნის საკითხი, ასევე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის მიერ ეუთო-ს რეფორმირების აუცილებლობის შესახებ წამოყენებული ინიციატივა წარმოადგენდა.

მინისტრების სამიტზე, დასავლეთისა და რუსეთის განსხვავებული პოზიციების გამო, ვერ მოხერხდა უკრაინაში არსებულ კრიზისთან დაკავშირებული უთანხმოების გადალახვა, რის გამოც, ტრადიციული დასკვნითი დეკლარაცია არ მიიღეს.

"განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო", სოფიაში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრთა სამიტზე დასკვნითი დოკუმენტი – პოლიტიკური დეკლარაცია – არ მიიღეს, - განაცხადა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სოლომონ პასიიმ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

**"სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა კონსენსუსის მიღწევა ისეთ აქტუალურ თემაზე, როგორიცაა საარჩევნო პრაქტიკის სრულყოფა. ამასთან, საჭირო ყურადღების მიღმა დარჩა დსთ-ს ქვეყნების ინიციატივები ორგანიზაციაში ვითარების გაუმჯობესების თაობაზე,"** – ნათქვამია რუსეთის დელეგაციის განცხადებაში.

უთანხმოება აშკარად იგრძნობოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის გამოსვლებში.

თავის კომენტარში კოლინ პაუელმა რუსეთი პირობის დარღვევის გამო გააკრიტიკა, რაც მოლდოვადან და საქართველოდან სამხედრო ძალების გაყვანას უკავშირდება. ამასთან, კიდევ ერთხელ გაახმოვანა შეერთებული შტატების დამოკიდებულება რუსეთში პრესის თავისუფლების შესახებ კანონზე.

**"რიგი ქვეყნები საუბრობდნენ, რომ ეუთო შიდა პოლიტიკურ საქმიანობებში ერევა, "ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს" და რომ ეს ორგანიზაცია, პოლიტიკური მიზეზებით, კონცენტრირებულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე. მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას,"** – განაცხადა პაუელმა.

მანვე უარყო რუსეთის მოსაზრება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინაში საკუთარი გავლენის გაზრდას ცდილობს და აღნიშნა, რომ ეს ქვეყანა ნამდვილად იმსახურებს თავისუფალ არჩევნებს და არა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არჩევანს.

**"ჩვენ არც ვეჯიბრებით და არც ვიბრძვით ამ ტერიტორიებისთვის. ჩვენ არ ვთხოვთ მათ, გააკეთონ არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. საქმე არ არის გავლენის სფეროებში, საქმე ის არის, რომ ქვეყანას მიეცეს საშუალება, აირჩიოს საკუთარი მმართველი და მეგობარი სახელმწიფოები,"** – განუცხადა ჟურნალისტებს კოლინ პაუელმა სოფიაში.

მანამდე კი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, სიტყვა უკრაინის ხსენების გარეშე, ეუთო-ს ურჩია, ყოფილ საბჭოთა კავშირის და მის წევრ სხვა ქვეყნებში, არჩევნების მონიტორინგი მიკერძოების გარეშე განახორციელოს.

**"ჩვენ თავიდან უნდა ავიცილოთ საარჩევნო პროცესების შეფასებაში ორმაგი სტანდარტების მავნე პრაქტიკა. ჩვენ არ უნდა მივცეთ იმის უფლება, რომ ეუთო-ს მონიტორინგი პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცეს,"** – განაცხადა სერგეი ლავროვმა და იქვე დაამატა: **"ობიექტური კრიტერიუმების არქონის დროს, საარჩევნო პროცესების მონიტორინგი არა მხოლოდ კარგავს მნიშვნელობას, არამედ პოლიტიკური მანიპულირების ინსტრუმენტად და დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა."**

რაც შეეხება ლავროვის განცხადებით "სათანადო ყურადღების გარეშე დარჩენილ" ინიციატივას, როგორც ირკვევა, მოსკოვმა ეუთო-ს რეფორმირება გადაწყვიტა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, "თანასწორუფლებიანთა პოლიტიკური დიალოგისთვის შექმნილმა ორგანიზაციამ", საკუთარი მიზნებისგან გადახვევა დაიწყო.

იგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია **"ეუთო-ს შესაძლებლობის გაზრდა, რათა რეაგირება მოახდინოს უსაფრთხოების ახალ საფრთხეებზე"**, პირველ რიგში ტერორიზმზე. მეორე უმთავრესი საკითხი კი ეუთო-ს რეფორმირებაა. აუცილებელია, რომ ეს ორგანიზაცია აქტიურად მუშაობდეს სამივე ასპექტში: უსაფრთხოების, ეკონომიკის და ჰუმანიტარულ ასპექტში, თანაც ყოველგვარი ორმაგი სტანდარტების გარეშე, - ხაზს უსვამს რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი.

როგორც "რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში" ჟურნალის მთავარი რედაქტორი ფიოდერ ლუკიანოვი აღნიშნავს, სწორედ ეუთო-ს მოქმედების ჰუმანიტარული ასპექტი არ დააფასა კრემლმა: **"საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული დეკლარაცია არავითარ ვალდებულებას არ ნიშნავს. მაგრამ, სწორედ აღნიშნული ფორმალური ვალდებულების საფუძველზე დაიწყო ეუთო-მ ძლიერი ზეწოლა."**

1975 წელს შექმნილმა ორგანიზაციამ, ფიოდერ ლუკიანოვის თქმით, "ცივი ომის" პერიოდში და გარდამავალ 90-იან წლებში, ისტორიული როლი შეასრულა. მაშინ რუსეთი, რომელიც ეუთო-ზე ფსონს დებდა, ამ ორგანიზაციას ნატო-სა და ევროკავშირის საპირწონედ განიხილავდა.

მოსკოვის აზრით, ეუთო-მ ბოლო პერიოდში, რიგ საკითხებში ცალმხრივი პოზიციების დაკავება დაიწყო. აქედან გამომდინარე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოზიცია ადვილად გამოსაცნობია, – მიიჩნევს რუსი პოლიტოლოგი ანდრეი კორტუნოვი.

**"რუსეთი მიიჩნევს, რომ ამ ორგანიზაციის მანდატი გაცილებით ფართოა, ვიდრე ის ამას დღეს ასრულებს და ეუთო მხოლოდ ჰუმანიტარული საკითხებით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ვფიქრობ, აღნიშნული იდეების მხარდამჭერი და მომხრე ეუთო-ს წევრი უმეტესი ქვეყნები იქნებიან,"** – ამბობს რუსი ექსპერტი.

როგორი შეიძლება იყოს ეუთო-ს რეფორმები, ჯერჯერობით უცნობია. ბი-ბი-სი-სთან ინტერვიუში ორგანიზაციის პრესცენტრის ხელმძღვანელმა რიჩარდ მერფიმ აღნიშნა, რომ სერგეი ლავროვის წინადადებები სოფიაში აქტიურად განიხილებოდა.

**"ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სოლომონ პასი მიესალმა რუსი მინისტრის წინადადებას. მან სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს მოუწოდა, იფიქრონ, თუ როგორ მოხდეს ეუთო-ს რეფორმირება, რომ ამით მისი მუშაობა უფრო ეფექტური გახდეს,"** – აღნიშნა მერფიმ.

ეუთო-ს რეფორმირებაზე დიდი ხანია, რაც საუბრობენ. თუმცა, რუსეთის ინიციატივის შემდეგაც, ნებისმიერ შემთხვევაში, სწრაფი ცვლილებების მოლოდინი არ ღირს – ისე, როგორც ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში, მსგავს გადაწყვეტილებებს ნაჩქარევად არ იღებენ.

# ჰამიდ კარზაი - ახლა უკვე ავღანეთის ლეგიტიმური პრეზიდენტი

ჰამიდ კარზაიმ ოფიციალურად დაიკავა ავღანეთის პრეზიდენტის პოსტი. ავღანეთის დემოკრატიულად არჩეული პირველი პრეზიდენტის ინაუგურაცია გუშინ ქაბულში გაიმართა.

კარზაი ავღანეთის პრეზიდენტად ოქტომბერში გამართულ არჩევნებზე აირჩიეს. მან ამომრჩეველთა ხმების 60 პროცენტზე მეტი მოაგროვა და ძირითად მეტოქეებს დიდი სხვაობით გაუსწრო.

ინაუგურაციას 150 უცხოელი სტუმარი ესწრებოდა. აშშ-ს ცერემონიაზე ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ჩეინი და თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი წარმოადგენდნენ.

ჰამიდ კარზაი 1957 წელს ყანდაღარის მახლობლად, დაბა კარზაში დაიბადა. უმაღლესი განათლება მან ინდოეთში მიიღო. მამამისი ავღანეთის მეფის დროს თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე იყო და პარლამენტის წევრად არაერთხელ იყო არჩეული.

პოლიტიკური კარიერა ჰამიდ კარზაიმ ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის შემდეგ დაიწყო. მაშინ ის ემიგრაციაში იმყოფებოდა პაკისტანში, სადაც მოჯაჰედთა ერთ-ერთი სამხედრო-პოლიტიკური კავშირის საინფორმაციო განყოფილებას ედგა სათავეში.

1992-1995 წლებში კარზაის ავღანეთის ისლამური სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა. ჰამიდ კარზაის პოლიტიკური კარიერა აღსავსეა სხვადასხვაგვარი პოლიტიკური მოულოდნელობებით. კერძოდ, 1994 წელს მოჯაჰედებთან უთანხმოების გამო კარზაი თალიბების მხარეზე გადავიდა, რომლებსაც ყანდაღარის აღებაში ეხმარებოდა.

2001 წელს ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებისთანავე კარზაიმ პუშტუნთა ტომების ხელმძღვანელებთან დაიწყო მოლაპარაკება ანტითალიბური კოალიციის შექმნის თაობაზე.

2001 წლის დეკემბრიდან 2002 წლის ივნისამდე კარზაი, ბონის შეთანხმების შესაბამისად, ავღანეთის დროებით ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა, 2002 წლის ივნისიდან დღემდე ის ქვეყნის გარდამავალი ადმინისტრაციის მეთაური იყო. ფლობს ინგლისურ ენას, ცოლიანია, შვილები არ ჰყავს.

*ინტერ-პრესი*

*მოკლედ*

# რუსეთში ყოველწლიურად 32 ათას ადამიანს კლავენ

რუსეთში ყოველწლიურად 32 ათასი მკვლელობა ხდება, კიდევ 20 ათასი ადამიანი ჯანმრთელობისთვის საშიში ჭრილობების შედეგად იღუპება, - განაცხადა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ გუროვმა.

მისი ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციაში ყოველწლიურად 40-42 ათას არაიდენტიფიცირებულ გვამს პოულობენ, რომელთა სიკვდილის მიზეზსაც ვერ ადგენენ. ამას გარდა, 50 ათასი ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. მსოფლიოს 50 ქვეყანაში რუსულენოვანი დამნაშავე დაჯგუფებები მოქმედებენ, - აღნიშნა გუროვმა.

სხვადასხვა სახის დანაშაულების გამო, მარტო 1961 წლიდან, რუსეთში 70 მილიონი ადამიანი გაასამართლეს, – ამბობს დეპუტატი.

მისივე განცხადებით, დღესდღეობით რუსეთში გაუარესებული კრიმინოგენული ვითარება და დანაშაულებების რიცხვის გაზრდის მიზეზი ის არის, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან, რუსეთის ფედერაციაში საბჭოთა პერიოდში გამომუშავებული და ეფექტურად მოქმედი დანაშაულებების პროფილაქტიკის სისტემა დაიმსხვრა, რამაც თავის მხრივ შეუქცევადი შედეგები გამოიღო. **იტარ-ტასი**

# მიმდინარე წელს, უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით, 283 დანაშაული მოხდა

მიმდინარე წლის დასაწყისიდან მოყოლებული, რუსეთის ფედერაციაში, უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით 283 დანაშაული მოხდა, - განაცხადა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის დანაშაულის სამძებრო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვიქტორ პაპსუევმა.

მისივე თქმით, მათგან უმეტესობა (43 პროცენტი) არის ქურდობა, შემდეგ კი მოდის ხულიგნობა და ჯანმრთელობის დაზიანება.

ყველაზე ხშირად დამნაშავეთა მსხვერპლნი არიან ჩინელი სტუდენტები. "განსაკუთრებით შეშფოთებას სანკტ-პეტერბურგსა და მის შემოგარენში არსებული მდგომარეობა იწვევს, სადაც ასეთი დანაშაულის საერთო რაოდენობის ერთი მესამედი ხდება," – განაცხადა პაპსუევმა. **იტარ-ტასი**

## ტრანსპორტში ყველაფერს ველური ბაზარი „არეგულირებს"



ჩაჩა ფარაჯიშვილის ფოტო

*საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია (ტრანსპორტის სამინისტროს მემკვიდრე), დაახლოებით, ორ თვეში საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გადამზიდავი ფირმების ტენდერის მოწყობას აპირებს. დეპარტამენტი გვპირდება, რომ ტენდერის შემდეგ ქალაქიდან რაიონებსა და სოფლებში სამარშრუტო ტაქსებითა და ავტობუსებით მგზავრობის აღარ შეგვეშინდება. თუმცა, გამართული ტრანსპორტის შერჩევის გარდა, ამ სფეროში კიდევ ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი.*

ნანა ქადაგიშვილი

საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ძირითადად, სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსების გაუმართაობის გამო მომხდარი ავტოავარიების რაოდენობას შესაბამისი უწყებები ვერ აზუსტებენ. თუმცა, ყველა აღიარებს, რომ აღნიშნული მიზეზით დაზარალებულ და გარდაცვლილ მგზავრთა რიცხვი კატასტროფულად დიდია. ერთი უბედური შემთხვევის მოწმე თვითონაც გახლდით. რამდენიმე წლის წინათ თბილისი-ჟინვალის მიმართულებით მიმავალი ავტობუსის მონჯღრეულმა კარმა 22 წლის ბიჭი იმსხვერპლა.

უკვე რამდენიმე წელია, თბილისი-ჟინვალის მიმართულებით ავტობუსი აღარ მოძრაობს. მისი ადგილი მიკროავტობუსმა დაიკავა, უფრო სწორად - დააკავებინეს. გადამზიდავი ფირმისა და მძღოლებისთვის სამარშრუტო ტაქსი ავტობუსზე ხელსაყრელი აღმოჩნდა. მგზავრებმა ცოტა ხანს იწუწუნეს, - ავტობუსით მგზავრობა უფრო იაფი გვიჯდებოდაო, - მაგრამ, უშედეგოდ. ავტობუსს ვინ ჩივის, რომ კვდებოდე, დაბის ტერიტორიაზე გამავალი უცხო "მარშრუტკა" არ გაგიჩერებსო, - ჩივიან ჟინვალელები. ადგილობრივმა მძღოლებმა კოლეგებს "მათი ტერიტორიიდან" მგზავრების წაყვანა აუკრძალეს, ერთ-ერთი "დაუმორჩილებელი" მძღოლის ცემის შემდეგ ჟინვალში ტრანსპორტის გაჩერებას უცხო ველარავინ ბედავს. რაც შეეხება მგზავრობის განრიგს, ამასაც ადგილობრივი მძღოლები, საკუთარი სურვილისამებრ, არეგულირებენ. მგზავრებს ჯერ კიდევ ახსოვთ, ავტოსადგომზე ჯიხურში მჯდომი დისპეტჩერი მგზავრობის განრიგს რომ ატყობინებდა და ბილეთებს აძლევდა, მაგრამ დისპეტჩერის ინსტიტუტი (არა მხოლოდ ჟინვალში), რამდენიმე წელია, ისტორიას ჩაბარდა.

ქალაქგარეთ მოსიარულე საზოგადობრივ ტრანსპორტს პატრონი რომ არ ჰყავს, მხოლოდ ავტოსადგომების მდგომარეობის მიხედვითაც ადვილი მისახვედრია. ახლახან ტრანსპორტის ადმინისტრაციამ ნავთლუღის ბაზართან მდებარე ავტოსადგომი "ია" დახურა. არანაირ პირობას არ აკმაყოფილებდა და არც სერტიფიკატი ჰქონდაო, - განმარტავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა. თუმცა, ისეთი ავტოსადგომი, თავს რომ არ შეირცხვენს, საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობს. უკონტროლობას ისიც უწყობს ხელს, რომ სერტიფიკატს რამდენიმე შ.პ.ს. გასცემს. ყველაფერს ველური ბაზარი "არეგულირებს". გადამზიდავი ფირმები და მძღოლები თვითონ არჩევენ მგზავრობის განრიგს, ტრანსპორტის სახეობას, ღირებულებას.

საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტის უკანასკნელი ტენდერი ტრანსპორტის სამინისტრომ ხუთი წლის წინათ ჩაატარა. კონკურსში მონაწილეობას გადამზიდავ ფირმებთან ერთად ინდივიდუალური პირებიც იღებდნენ. საკონკურსო პირობებზე მორგება კი არც ისე ძნელი იყო. "ზედმეტი გადაიხადე და სერტიფიკატს უპრობლემოდ მიიღებ" – ვინც ამ "წესს" ალღო აუღო, არ უნანია. ამგვარად ჩატარებული კონკურსის შედეგებს კი დღეს მგზავრები იმკიან.

როგორც საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელობა გვპირდება, ახალი სატენდერო პირობები მათ ობიექტურობაში დაეჭვების საფუძველს ნაკლებად იძლევა. **"გადამზიდავი ფირმების მიერ კონკურსზე წარმოდგენილი ტრანსპორტი ქულების მიხედვით შეირჩევა. ტენდერში ის ფირმა (ინდივიდუალური პირი კონკურსში მონაწილეობას ველარ მიიღებს) გაიმარჯვებს, ვინც მეტ ქულას დააგროვებს",** – აცხადებს ადმინისტრაციის თავმჯდომარე ალექსანდრე ჩხიკვაძე.

მაგალითად, ხუთ წლამდე ხნოვანების ტრანსპორტი რვა ქულით უნდა შეფასდეს, ხუთიდან ათ წლამდე – ხუთი ქულით, ათიდან თხუთმეტ წლამდე – ერთი ქულით. კონდიციონერიანი ტრანსპორტი სამ ქულას იმსახურებს; შორს მიმავალ ტრანსპორტს კი მინიბარი და საპირფარეშოც უნდა ჰქონდეს.

ტრანსპორტის ადმინისტრაცია სამგზავრო განრიგის მოწესრიგებასა და დისპეტჩერის ინსტიტუტის აღდგენასაც გვპირდება. რაც შეეხება ტრანსპორტის სახეობის შერჩევასა და ღირებულებას, ადმინისტრაცია ამ საკითხში ჩარევას არ აპირებს. დღეს ამ ყველაფერს ბაზარი არეგულირებს. საქალაქთაშორისო ტრანსპორტის ღირებულების მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი ოფიციალურად განსაზღვრული არ არის (გამონაკლისია აჭარასა და ცხინვალში მოსიარულე ჰოლანდიური ავტობუსები, რომლით მგზავრობის საფასურიც სახელმწიფომ დააწესა). მას მძღოლები აწესებენ და ტრანსპორტის სახეობასაც ისინი არჩევენ. ჩხიკვაძე ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს და აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხებს კონკურენცია სახელმწიფოზე უკეთ დაარეგულირებს.

## ბავშვები მშვიდობისათვის

ნანა ყაველაშვილი

*ცხინვალის რაიონის პატარა ლიახვის ხეობის სოფლების მოსწავლეებს ბევრი რამ აკლიათ: მშვიდობა, სითბო, სრულფასოვანი კვება, ტკბილეული, ახალი და ლამაზი სამოსი, წიგნები, სათამაშოები. მაგრამ, მათ ბავშვურ სახეებზე მაინც ღიმილი, სიკეთე და სიყვარულია გადაფენილი. თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის წარმომადგენლებმა გუშინ მათ თბილისელი უცნობი თანატოლების საქველმოქმედო გზავნილები ჩაუტანეს, თანაგრძნობითა და სიყვარულით აღსავსე წერილებთან და ნახატებთან ერთად. "ბავშვებო, ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენთან ომია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. მე აფხაზეთიდან დევნილი ვარ. ჩვენთანაც იყო ომი. თუმცა, მე ეს არ მახსოვს, მაგრამ ვხედავ, როგორ განიცდის ჩემი ოჯახი", - წერს მესამეკლასელი სოფიკო ჟორჟოლიანი სამაჩაბლოელ თანატოლებს.*



იური ლობოდინის ფოტო

*ჩვენთანაც იყო ომი. თუმცა, მე ეს არ მახსოვს, მაგრამ ვხედავ, როგორ განიცდის ჩემი ოჯახი.*

გუშინდელი საქველმოქმედო აქცია "იმედი" ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის მიერ დაგეგმილი აქციების ციკლის – "ბავშვები მშვიდობიანი კავკასიისთვის" - პირველი ეტაპია. მასში, ცენტრის წარმომადგენლების გარდა, მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები – "ბიოეთიკური კვლევისა და კულტურის ცენტრი" და "სამოქალაქო განათლების საერთაშორისო ფონდი".

თბილისელი მოსწავლეების მიერ შეგროვილი ჰუმანიტარული ტვირთით – ტანსაცმელი, წიგნები, სასწავლო ნივთები, სურსათი, სათამაშოები - დატვირთული ორი ავტობუსი დილით ადრე გავიდა მერიის მიმდებარე ტერიტორიიდან.

აქციის მონაწილეები სამაჩაბლოს სამი სოფლის – ბერულის, ერედვისა და ვანათის სკოლებს ესტუმრნენ. თუმცა, ადგილობრივები საჩუქრებს სხვა სოფლების – ერგნეთის, დისევის, ქსუისის, საცხენისის, ჭარების, ზემო არცევისა და ბელოთის სკოლების მოსწავლეებსაც გაუნაწილებენ.

**"ჩემო უცნობო მეგობარო, ეს სათამაშო ადრე ჩემი იყო. მე ვთამაშობდი ამით და ძალიან მიყვარდა. ალბათ, შენც ძალიან მოგეწონება და შეიყვარებ",** - ეწერა წერილში, რომელიც ერთ-ერთ სათამაშოს ახლდა.

სამაჩაბლოელი ბავშვები თბილისელი სტუმრებისა და თანატოლების ყურადღებამ საჩუქრებზე არანაკლებ გაახარა. სიცივის მიუხედავად, სკოლის ეზოში შეკრებილები მოუთმენლად ელოდნენ მათ, სიამაყით დაათვალიერებინეს თავიანთი სკოლები, იქაური ამბები გაუზიარეს, სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს. დამშვიდობებისას საკუთარი ნახატებიც გამოატანეს.

**"ჩვენი მიზანია, კონფლიქტურ ზონებში სახალხო დიპლომატიის განვითარების ხელშეწყობა. ყველას მოვუწოდებთ, მიჰბაძონ თბილისელ მოსწავლეებს, საკუთარი წვლილი შეიტანონ და, სახალხო დიპლომატიის ფარგლებში, ჩაერთონ კონფლიქტის ზონებში მშვიდობის დამყარების პროცესში",** - ამბობს ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის უფროსი ბელა სარია.

აქციების ციკლის –"ბავშვები მშვიდობიანი კავკასიისთვის" - შემდეგი ეტაპი იქნება თბილისში, "ბაია-გალერეაში" გამართული გამოფენა სახელწოდებით "ბავშვები ხატავენ მშვიდობას". შემდეგ ამ გამოფენას ცხინვალის ოსურ სკოლაში წარმოადგენენ.

## უმაღლესი განათლების კანონპროექტის საკომიტეტო განხილვა

6 და 7 დეკემბერს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში უმაღლესი განათლების კანონპროექტის მეორე მოსმენისათვის მოსამზადებელი განხილვა მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დღეებში სამინისტროსა და კომიტეტის წარმომადგენლებს შორის კანონპროექტის დახვეწაზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა, მას რაიმე ძირეული ცვლილებები არ განუცდია. თუმცა, მისმა განხილვამ მაინც დიდი დრო წაიღო. დეპუტატები და უმაღლესის სასწავლებლების წარმომადგენლები, მაგალითად, დიდხანს კამათობდნენ იმაზე შესაძლებელია, თუ არა, რომ წნორის უნივერსიტეტის კანცლერი არსებობდეს. საქმე იმაშია, რომ კანონპროექტის პირველი მოსმენისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაიწუნეს ტერმინები სენატი და კანცლერი, რადგან ისინი ქართული სინამდვილისათვის უცხოა და ყურს ჭრის. ეს შენიშვნა განათლების კომიტეტმა დიდი გულმოდგინებით აიტაცა და იმ მოტივით, რომ სიტყვები კანცლერი და სენატი უფრო პოლიტიკურ ასოციაციებს ბადებს და თან, მაგალითისათვის, სიტყვათშეთანხმება წნორის უნივერსიტეტის სენატი და კანცლერი უხერხული მოსასმენი იქნება, სენატს დიდი საბჭო დაარქვეს, ხოლო კანცლერს აღმასრულებელი დირექტორი. მაგრამ ამჟამად უკვე ამ ცვლილებამ გამოიწვია თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთა, უკმაყოფილება. პირველ რიგში, დამსწრე საზოგადოებამ ვერ გაიგო, თუკი არსებობს წნორის უნივერსიტეტი, მას ჰყავს თავისი რექტორი და დეკანები, რატომ არ შეიძლება ამავე უნივერსიტეტს კანცლერი და სენატი ჰყავდეს. სხდომაზე ითქვა ისიც, რომ ტერმინი "დიდი საბჭო" საერთოდ არამართებულია, რადგან, ის, რასაც დღეს დიდ საბჭოს ეძახიან, სამეცნიერო საბჭოა. კანცლერის მაგივრად აღმასრულებელი დირექტორის ალტერნატივა კი იმ მიზეზით იქნა დაწუნებული, რომ იგი ასოციაციებს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამსახურების დირექტორებთან იწვევს და არა აკადემიურ წრეებთან. გარდა ამისა, უმაღლესების წარმომადგენლებმა მოუწოდეს დეპუტატებს არ დავიწყებოდათ, რომ კანონპროექტი, პირველ რიგში, ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციას ისახავს მიზნად და ამიტომ საერთაშორისო ტერმინების ჩვენს რეალობაში დანერგვისა არ უნდა გვეშინოდეს. ხანგრძლივი დებატების შემდეგ გადაწყდა, რომ სენატს წარმომადგენლობითი საბჭო -ფრჩხილებში სენატი - ერქმევა, ხოლო კანცლერს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - ფრჩხილებში კანცლერი. კანონპროექტში სხვა სახის "ტერმინოლოგიურ-ეროვნული" ცვლილებაც იყო შესული. მაგალითად, ასისტენტ-პროფესორი პროფესორის ასისტენტად იყო გადაკეთებული. კომიტეტის თავმჯდომარე კი შემოდიოდა წინადადებით, ამ რანგის პერსონალისათვის სიტყვა პროფესორი საერთოდ მოეშორებინათ, რადგან მათ "თავისი ადგილი არ დაავიწყდეთ". თუმცა, იქვე იქნა ახსნილი, რომ ასისტენტ-პროფესორი კონკრეტული პროფესორის თანაშემწეს არ ნიშნავს და რომ ეს ადამიანები, როგორც წესი, უნივერსიტეტებში თავიანთ თემებზე მუშაობის გარდა ძალიან ინტენსიურად კითხულობენ მოსამზადებელ კურსებსაც და ამიტომ ასისტენტ-პროფესორებად იწოდებიან. ასე რომ, ეს სახელი უცვლელი დარჩა, ოღონდ განისაზღვრა, რომ მათ სადისერტაციო საბჭოების დაკომპლექტების უფლება არ ექნებათ. გუშინდელ მოსმენაზე თსუ ფილოლოგებისაგან კიდევ ერთი ტერმინოლოგიური ცვლილების შემოტანის მცდელობას ჰქონდა ადგილი: მათ სურდათ პროფესორ ემერიტუსისათვის დამსახურებული პროფესორი ეწოდებინათ. რამდენად გაითვალისწინებენ კანონპროექტში ამ მოთხოვნას, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ეროვნულ-ტერმინოლოგიური ცვლილებები აქ დასრულდა და საქმე "ყელ-ფანდურის" გამოგონებამდე არ მისულა. გარდა ამისა, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის წარმომადგენლები მინისტრს სთავაზობდნენ სახელმწიფო ენის სათანადოდ დაცვის მიზნით, უცხო ენაზე წარმართული სწავლების კურსები სახელმწიფოს არ დაეფინანსებინა, თუმცა ეს წინადადება მაშინვე უარყოფილი იქნა, როგორც არაკონსტიტუციური. თუმცა, განათლების კომიტეტის ინიციატივით, კანონპორექტში ჩაიდო მუხლი, რომლის მიხედვითაც, უმაღლესებმა განათლების სამინისტროსთან უნდა შეათანხმონ, თუ მათ უცხოენოვანი კურსების შემოტანის სურვილი გაუჩნდებათ.

სტუდენტთა და პროფესორთა მობილობის პრინციპის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, შეიცვლება მუხლი, რომლის მიხედვითაც, რექტორი მხოლოდ აკადემიური საბჭოს რიგებიდან აირჩევა. რაც შეეხება აკადემიურ საბჭოს, ბატონი ლადო პაპავას წინადადება იყო მასში გარკვეული კვოტით განსაკუთრებული დამსახურების მქონე პროფესორ ემერიტუსებიც შესულიყვნენ, თუმცა ეს მოსაზრება არ იქნა გაზიარებული. ასევე ბატონი ლადო პაპავასა და ბატონი რისმაგ გორდეზიანის წინადადება იყო დროებით მაინც შეენარჩუნებინათ ორმაგი დაცვის პრინციპი, რაც კანონპროექტში ისე იქნა ასახული, რომ პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსში მისაღებად ადამიანს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე სამეცნიერო სიახლის შემცველი ნაშრომის დაცვა უწევდა. თუმცა, გუშინ ეს მოთხოვნაც ამოღებული იქნა, მისი ხარისხების მინიჭების ახალ პრინციპთან და ზოგადად კანონმდებლობასთან შეუსაბამობის გამო.

ხანგრძლივი დებატები გამოიწვია უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების თემამაც. კანონპროექტის სიახლეა 79 მუხლის დ) ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროები სხვასთან ერთად, სპეციალური სახელმწიფო-საბიუჯეტო პროგრამებიც ხდება სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული ერთეულების მხარდასაჭერად. რაც შეეხება საგრანტო დაფინანსებას, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა მხრიდან გამოითქვა შიში, რომ თუ სახელმწიფო თავისსავე უმაღლეს სასწავლებლებს ფულადი გადასახადის ქვედა ზღვრად სახელმწიფო გრანტის ოდენობას დაუმტკიცებს, მაშინ პრიორიტეტულ მდგომარეობაში კერძო სასწავლებლები ჩადგებიან, რადგან მათ დარჩებათ უფლება თავიანთ პროგრამებზე ფასი დააგდონ და ამით სტუდენტები მიიზიდონ. ზოგიერთი ინტერპრეტაციის მიხედვით, კანონპროექტში განსაზღვრული სხვა მუხლები კერძო უმაღლეს სასწავლებლებს ამის უფლებას არ მისცემენ, თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება და უკეთეს ფორმულირებას საჭიროებს.

საკომიტეტო მოსმენაზე დიდი ვნებათაღელვა არ გამოუწვევია "გარდამავალ დებულებებში" არსებულ 87-ე მუხლის მეორე პუნქტს, რომლის მიხედვითაც, კანონის ძალაში შესვლა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორებისა და დეკანების უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია რექტორის მოვალეობის შესრულება დააკისროს გათავისუფლებულ რექტორს, ან რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებლად დანიშნოს ამ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი. ეს პირი ვალდებულია არაუგვიანეს ორი წლის ვადაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოამზადოს და ჩაატაროს ახალი კანონმდებლობის შესაბამისი არჩევნები. ამ მუხლის "მშვიდად გატარება", ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ დარბაზში ძირითადად რექტორები და დეკანები ისხდნენ. მათი მხრიდან ხმაურის ატეხვას კი შესაძლებელია იმ პიროვნების გაღიზიანება გამოეწვია, რომლის ხელშიც უახლოეს მომავალში მათი ბედის გადაწყვეტა მოექცევა. "გაბედულება" მხოლოდ თსუ ძველი ქართული ენის კათედრის გამგემ ბატონმა გოგი გოგოლაშვილმა მოიკრიბა და თვისი მეგობრის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის ბატონ ამირან გომართელის უფლებების დაცვა სცადა. მისი მითხოვნის თანახმად, შესაძლებელია, რექტორს მიეცეს უფლება ფაკულტეტს დეკანად ისევ ის პირი წარუდგინოს, ვინც ფაკულტეტს აქამდეც ხელმძღვანელობდა. ასე რომ, არსებული დეკანები ახლა მაქსიმალურად უნდა ეცადონ რექტორის მოვალეობის შემსრულებლებს თავი მოაწონონ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

თბილისში, ფიქრის გორაზე, როდენის ქუჩის მცხოვრებლები აპროტესტებენ კომპანია "ჰორიზონტის" მიერ წამოწყებულ მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობას. "ჰორიზონტი" ორი რვასართულიანი კორპუსის აშენებას აპირებს. მოსახლეობა აცხადებს, რომ მშენებლობა უკანონოა და მისი შეჩერების შესახებ განკარგულება არსებობს, მაგრამ კომპანია მშენებლობის შეწყვეტას არ აპირებს. მრავალსართულიანი კორპუსების მეზობლად მცხოვრებთ ყველაზე მეტად ის აღელვებთ, რომ კორპუსები ავტომანქანების მოძრაობას შეუშლის ხელს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სარეგისტრაციო პუნქტები საქართველოს სამოცდახუთივე რაიონულ ცენტრში გაიხსნება. სარეგისტრაციო პუნქტებში აბიტურიენტები შეიტანენ საბუთებს და განაცხადს. განაცხადში აღნიშნული უნდა იყოს, აბიტურიენტი რომელ სასწავლებელსა და ფაკულტეტზე აბარებს.

სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის კონსულტანტის ლევან გახელაძის განცხადებით, იანვრის ბოლოსთვის საგამოცდო ცენტრები სამხარეო ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გაიხსნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ბოლო დროს გრიპის ვირუსით დაავადების 4 ათასამდე შემთხვევა აღინიშნა. "გრიპის ვირუსის აქტივობას იანვრის ბოლოდან თებერვლის შუა რიცხვებამდე ველოდებით. ჯერჯერობით მოსახლეობაში გავრცელებულია ვირუსის მხოლოდ მსუბუქი ფორმები, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის", – აცხადებს ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე. თუმცა, მოხუცებსა და ბავშვებს მაინც სიფრთხილისკენ მოუწოდებს და იმუნიტეტის ამაღლებასა და ქუჩაში ნიღბების ტარებას ურჩევს. **მედია-ნიუსი**

## ზოგიერთებისთვის - გზამკვლევი, ინტერნეტ გვერდი - ყველასთვის

რეგიონული განვითარების სააგენტომ დედაქალაქის ბიუჯეტის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის გზამკვლევი გამოსცა. 1500 ცალი "გზამკვლევი დედაქალაქის ბიუჯეტში", უპირველესად, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჟურნალისტებსა და სტუდენტებს დაურიგდებათ. ავტორები ეცადნენ, რომ მკითხველისთვის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად დაწვრილებით მიეწოდებინათ. ხოლო იმათ, ვინც არც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია, არც ჟურნალისტი და არც სტუდენტი, შეუძლიათ აღნიშნული ინფორმაცია სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე (w) ნახონ. სხვათა შორის, აღნიშნულ საიტზე ქალაქის 2005 წლის ბიუჯეტის ზოგადი პარამეტრების შესახებ ინფორმაციაც არის.

საინტერესოა, რომ საზოგადოებისთვის ბიუჯეტის "გამჭვირვალობის" იდეას თბილისის საკრებულოც ეთანხმება და სააგენტოს სრულ მხარდაჭერას უცხადებს. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით იოსელიანი თბილისის ინტერნეტგვერდის შექმნასაც გვპირდება. "დღეს ინტერნეტში მხოლოდ თბილისის ხედების ფოტოსურათებს თუ ნახავთ. უნდა გაკეთდეს საიტი, სადაც დედაქალაქის შესახებ ყველანაირი ინფორმაცია იქნება მოთავსებული, მათ შორის - ბიუჯეტის შესახებ. საიტზე ისიც უნდა აღინიშნოს, ესა თუ ის სოციალური პროგრამა როგორ დაფინანსდა", – აცხადებს იოსელიანი.

*24 საათი*

# ყოფილ მაღალჩინოსანთა დაუსაბუთებელი ქონება სახელმწიფოს გადაეცა

*იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა ყოფილ თანამდებობის პირებს - ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის, ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ლევან კენჭაძის, აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ნაპოლეონ ქარქაშაძის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილის გოგი კუპრეიშვილისა და მათი ნათესავების მართლმსაჯულების გზით ჩამორთმეული დაუსაბუთებელი ქონება სახელმწიფოს გადასცა.*



ვახო ბესელიას ფოტო

*იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის სტეფანე თუმანიშვილის განცხადებით, ყოფილ მაღალჩინოსანთა ჩამორთმეული ქონება ეკონომიკური დეპარტამენტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში შევიდა.*

იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის სტეფანე თუმანიშვილის განცხადებით, ყოფილ მაღალჩინოსანთა ჩამორთმეული ქონება ეკონომიკური დეპარტამენტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხაში შევიდა.

საქართველოს უზენაესი და თბილისის საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში აუქციონის წესით შემდეგი ქონება გაიყიდება.

ნაპოლეონ ქარქაშაძის - თბილისში, ლვოვის ქ.№20-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა; ბანკ რესპუბლიკაში" საბანკო ანგარიშებზე არსებული 45 ათასი აშშ დოლარი; ავტომანქანა მერსედეს ბენცი"; ქარქაშაძის ქალიშვილის ქეთევან ქარქაშაძის - თბილისში, ყაზბეგის გამზ.N36-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა; სიძის, შერმადინ კიკნაველიძის - ავტომანქანები ნისანი" და ფოლკსვაგენ პასატი".

ლევან კენჭაძის დედას, რუსუდან კენჭაძეს ჩამოერთვა - 0.15 ჰექტარი მიწის ფართობი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი სოფელ დიღომში; ასევე უკანონოდ არის მიჩნეული ლევან კენჭაძისა და მისი დის, ნუნუ კენჭაძის კუთვნილი, თბილისში, ბროსეს ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი - 227 კვ.მ. და მასზე არსებული შენობა - ნაგებობების 1/5 ნაწილი (მშენებარე სასტუმრო).

სახელმწიფოს საკუთრება გახდა გოგი კუპრეშვილის, აბაშის რაიონის სოფელ წყემში მდებარე კუთვნილი მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები; ამასთან, გოგი კუპრეიშვილის შვილის მარიკა კუპრეიშვილს - ბათუმში ერას ქუჩის №N10 და №N11-ში მდებარე საცხოვრებელი ბინები. გარდა ამისა, სასამართლომ გოგი კუპრეიშვილსა და მისი ოჯახის წევრებს დაუსაბუთებელი ქონების რეალიზაციით მიღებული 138 572 ლარისა და 25 ათასი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა.

ლევან მამალაძეს ჩამოერთვა თბილისში, ატენის ქუჩა N6-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა; მის მშობლებს კი - სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები გარდაბნის რაიონის სოფელ შინდისსა და წავკისში, ექვსოთახიანი საცხოვრებელი ბინა და ნაკვეთი გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორში.

დასახელებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას სააღსრულებო დეპარტამენტში სპეციალური პრესკონფერენცია მიეძღვნა, სადაც დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ სტეფანე თუმანიშვილმა პირობა დადო, რომ აღნიშნული ქონება აუქციონზე კანონის სრული დაცვით გაიყიდება და შემოსული თანხა კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდება.

*24 საათი*




## ელიავასა და გვილავას რეაბილიტაციაზე სასამართლო დავა გრძელდება

*მოხდება თუ არა 2000 წლის 9 ივლისს, სამტრედიასთან ჩატარებული, ყველასთვის ცნობილი სპეცოპერაციის შედეგად მოკლული, ეროვნული გვარდიის ყოფილი პოლკოვნიკის აკაკი ელიავასა და გვარდიის წევრის გოჩა გვილავას სრული რეაბილიტაცია, უახლოეს ხანში გაირკვევა.*

მოკლულების ოჯახის წევრები და ადვოკატები ირწმუნებიან, რომ ეროვნული გვარდიის წევრების მიმართ დანაშაულია ჩადენილი. ამის დასადგენად და ასაღიარებლად, გარდაცვლილთა ახლობლები გენერალურ პროკურატურას, ელიავასა და გვილავას დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას სთხოვენ.

**"სამომავლოდ, ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოვითხოვთ, რომლებმაც სპეცოპერაციის ჩატარების ბრძანება გასცეს და შეასრულეს,"** - აცხადებს აკაკი ელიავას ოჯახის ინტერესების დამცველი. გუშინდელ სასამართლო პროცესზე მოკლულების ახლობლები ხშირ-ხშირად ახსენებდნენ შს იმჟამინდელ მინისტრს კახა თარგამაძეს, უშიშროების ყოფილ მინისტრს ვახტანგ ქუთათელაძეს და ყოფილ გენერალურ პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილს.

**"ამ ხალხს ელიავასა და გვილავას განადგურების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით. ყოფილი გვარდიელების ლიკვიდაცია პოლიტიკური მკვლელობა გახლდათ, რადგან აკაკი ელიავა შევარდნაძის ხელისუფლებისათვის არასასურველი პირი იყო,"** - ასეთი პოზიცია აქვთ აკაკი ელიავას ოჯახის წევრებს.

შეგახსენებთ, რომ გარდაცვალების ფაქტის გამო ადრე აღძრული სისხლის სამართლის საქმე რამდენჯერმე შეწყდა, თუმცა აკაკი ელიავას ოჯახის ადვოკატი ეკა ბესელია გარდაცვლილების რეაბილიტაციის საკითხს გამუდმებით აყენებდა. რამდენჯერმე შეწყვეტილი საქმე სწორედ ამის გამო განახლდა. ქუთაისის საოლქო სასამართლომ ელიავასა და გვილავას უმძიმესი ბრალდებები – მკვლელობის მცდელობა, შეიარაღებული ფორმირებების შექმნა, ტერაქტის მოწყობის მცდელობა - მოუხსნა, თუმცა ლიკვიდირებულებს თითო-თითო ბრალდება (ელიავას - პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა დ გვილავას კი - ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარება) მაინც დაუტოვა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე იმერეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი რუბენ ასანიძე დაზარალებულის სტატუსით დაკითხეს. როგორც ასანიძემ განაცხადა, ელიავამ და გვარდიის სხვა წევრებმა იგი ზესტაფონის პოლიციის განყოფილებაში აიყვანეს მძევლად და მათი ტყვე იყო მანამ, სანამ სპეცოპერაცია არ ჩატარდა.

აკაკი ელიავას ოჯახის ადვოკატი კი ირწმუნება, რომ არსებობს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ რუბენ ასანიძე მძევალი არ ყოფილა და ინციდენტის დროს ელიავას და გვილავას ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა არ მოუხდენიათ.

ერთი სიტყვით, გააუქმებს თუ არა უზენაესი სასამართლო ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ელიავასა და გვილავას პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება ედებათ ბრალად, რამდენიმე დღეში, უზენაესი სასამართლოს ხელთ არსებული მტკიცებულებების შეჯერებისთანავე გახდება ცნობილი.

*24 საათი*

## პროცესუალური შეთანხმება - ქონების შენარჩუნების თუ ჩამორთმევის საფუძველი?

კიდევ ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელთანაც საპროცესო შეთანხმება შედგა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის "საგზაო საწარმოს" ყოფილი დირექტორი მურად აბაშიძეა. მურად აბაშიძისთვის ქონების ჩამორთმევა-არჩამორთმევის საკითხზე უზენაეს სასამართლოს გუშინ უნდა ემსჯელა, თუმცა, ყოფილი მაღალჩინოსნის ქონების კონფისკაციის საკითხი გუშინ ვერ გადაწყდა. პროცესი ერთი კვირით გადაიდო.

"ბრალდების მხარემ მურად აბაშიძესთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში დამატებითი დოკუმენტაციაა წარსადგენი," - აცხადებს პროკურორი ვლადიმერ ხუჭუა. პროკურორისვე განმარტებით, მოკვლევის პერიოდში გამოძიებას გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის პერიოდში აბაშიძე აღნიშნულ ქონებას კანონიერი შემოსავლებით ვერ შეიძენდა. სადავო ქონება 50 ათას დოლარად არის შეფასებული.

მურად აბაშიძეს აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაუსაბუთებლობის მოტივით, ცოტა ხნის წინ უკვე ჩამოერთვა სოფელ კვარიათში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ბათუმში არსებული ბინა და ავტომანქანა "მერსედესი". შპს "საგზაო საწარმოს" ყოფილი დირექტორი აცხადებს, რომ აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა და მის გაუქმებას ითხოვს.

როგორ გადაწყვეტს სასამართლო ასლან აბაშიძესთან დაახლოებული პირის ქონების კონფისკაციის საკითხს მასსა და ბრალდების მხარეს შორის გაფორმებული პროცესუალური შეთანხმების საფუძველზე, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

*24 საათი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი..........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........................................

საკონტაქტო ტელეფონი ..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ჭავჭავაძის 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

რეზოლუცია

## ჟურნალისტები ტერორის წინააღმდეგ

*16-18 ნოემბერს ისრაელში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია "ჟურნალისტები ტერორის წინააღმდეგ". კონფერენციაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტები 28 ქვეყნიდან. მათ შორის იყო პროექტის - "თქვენი აფხაზეთი" წარმომადგენელი. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, კონფერენციაზე გადაწყდა, შეიქმნას მუდმივმოქმედი ფორუმი, რომელიც ყოველწლიურად გაიმართება და თავის მუშაობაში ჩართავს პროფესიონალი ჟურნალისტების, იურისტების, ეთიკის სპეციალისტების რაც შეიძლება ფართო წრეს. პროექტი "თქვენი აფხაზეთი" ამ მუდმივმოქმედი ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი გახდა. კონფერენციის დასკვნით სხდომაზე მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი რეზოლუცია, რომელსაც აქვე გთავაზობთ.*

ჩვენ, 28 ქვეყნის ჟურნალისტები, შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ ტერორის პრობლემასა და მის გაშუქებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები და მისწრაფებები, მით უფრო, გვაძლევს უფლებას, განვაცხადოთ შემდეგი:

1. მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი განადგურება ტერორის მთავარი მიზანი გახდა. ნიუიორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქება 2001 წლის 11 სექტემბერს, ტერორისტების მიერ ბესლანში მძევლების აყვანა 2004 წლის 1 სექტემბერს, "ალ-აქსას ინტიფადებით" 4 წლის მანძილზე ათასობით ისრაელელის მკვლელობა, სისხლიანი ტერაქტები მადრიდის, მოსკოვის, სამარის, სტამბოლის, ტოკიოს, იერუსალიმის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ადასტურებს იმას, რომ ტერორიზმმა ომი მთელ კაცობრიობას გამოუცხადა და მთელი მსოფლიო ბრძოლის ველად გადაიქცა.

2. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ტერორს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ საფრთხეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვერანაირი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ნებისმიერი სხვა სახის პრობლემა ვერ გამოდგება მის გასამართლებლად. ტერორი ყოველთვის და ყველგან დანაშაულია.

ჩვენ ვამტკიცებთ: ის, ვინც მიდის უდანაშაულო ადამიანების მკვლელობაზე, დარწმუნებულია, რომ მათ დაიმსახურეს ასეთი ხვედრი, რამეთუ ეკუთვნიან იმ ხალხს, რასას, კლასს, რელიგიას, რომლის მიმართაც ტერორისტი სიძულვილითაა გამსჭვალული.

ჩვენ მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წინადადებით, მიიღოს რეზოლუცია, რომელიც კანონგარეშე გამოაცხადებს კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს და ვთხოვთ ყველა ჩვენ კოლეგას, მხარი დაუჭიროს ჩვენს მიმართვას.

3. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ ჟურნალისტის პასუხისმგებლობა დღეს ისე მაღალია, როგორც არასდროს, რადგანაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში ტერორიზმი აისახება ისე, როგორც მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ.

ჩვენ უარს ვამბობთ ჟურნალისტების მიერ ორმაგი სტანდარტის პრაქტიკის გამოყენებაზე, რადგანაც ამორალურად მიგვაჩნია ტერორიზმის დაყოფა "კარგ" და "ცუდ" კატეგორიებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია ჩამოვაყალიბოთ და მივიღოთ პრინციპულად ახალი, ჟურნალისტთა ანტიტერორისტული ქარტია.

აუცილებლად მიგვაჩნია შეიქმნას ტერორის წინააღმდეგ მუდმივმოქმედი კომისია. მასში გაერთიანებისკენ მოვუწოდებთ ჟურნალისტთა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, აგრეთვე, იურისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთაც გათვითცნობიერებული აქვთ ამ პრობლემის მნიშვნელობა. იმედი გვაქვს, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა წარმატებული იქნება.

რეზოლუცია მიღებულია კონფერენციის დასკვნით სხდომაზე.

*18 ნოემბერი 2004 წელი*

## ქართველ ხალხს არ ჰყავს აფხაზ ხალხზე უფრო ახლო ერი

### საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტის მეცნიერებთან შეხვედრაზე

მოგესალმებით!

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტის კოლექტივთან შეხვედრა ჩემი დიდი ხნის სურვილია.

ვიცი, რომ ინსტიტუტის კოლექტივი ბევრად უფრო დიდია, მაგრამ რადგან ამ ჯგუფის უმეტესი ნაწილი აფხაზეთში ცხოვრობს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მათი ჩამოყვანა გაგვიჭირდებოდა. თუმცა, თქვენთან შეხვედრა საკმარისია იმისათვის, რომ აქ ნათქვამი თითოეული სიტყვა მათთანაც მივიდეს. მით უმეტეს, რომ საქართველოს ტელევიზიით ძალიან კარგი აფხაზური გადაცემა გადის და ეს ძალზე მნიშვნელოვანი გადადგმული ნაბიჯია.

საკმაო ხანია, რაც ეს ინსტიტუტი არსებობს, მის საქმიანობას მეც დიდი ხანია ვაკვირდები და უნდა ითქვას, რომ თქვენი საქმიანობა მთლიანად შეესატყვისება ჩვენს პროგრამას, რომლის მნიშვნელოვანი ეტაპი აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩანგრეული ხიდებისა და ნდობის აღდგენაა. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ძალზე ყურადღებით ვადევნებთ თვალს და არავინ უნდა მიიჩნიოს, რომ პასიურად ვიქცევით.

ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენ შეგნებულად გამოვიჩინეთ თავშეკავება.

საერთოდ, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ძალიან საინტერესო პროცესები ვითარდება. ბევრი მნიშვნელოვანი რამ ხდება, რასაც ჩვენი განვითარების გრძელვადიანი პროცესისათვის უმნიშვნელოვანესი შედეგები ექნება. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ საქართველო მორჩილი და უბრალოდ პასიური დამკვირვებელი აღარ არის.

ჩვენ ამ პროცესების სერიოზული მონაწილეები ვართ. საქართველოს სახელს წალმა-უკუღმა ატრიალებენ, მაგრამ ჩვენი მეგობრები პოზიტიურად გვახასიათებენ.

მართალია, არაკეთილმოსურნეები ცოტა გვყავს, მაგრამ ისინი საკმაოდ აქტიურნი არიან და ცდილობენ, რომ ყველა გლობალური მოვლენის უკან საქართველოს ხელი დაინახონ.

თუმცა, ამას უკვე შევეგუეთ და აღარ გვაკვირვებს. პირადად მე უკვე შევეგუე იმ ისტერიას, რომელიც მასმედიის ზოგიერთ საშუალებაში საქართველოსთან დაკავშირებითაა ატეხილი.

დადგა დრო, დავუბრუნდეთ ჩვენს მოვლენებს და აფხაზეთთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია გამოვხატოთ. უწინარეს ყოვლისა, მინდა ვთქვა, რომ ქართველ ხალხს ეთნიკურად, კულტურულად და ტერიტორიულად არ ჰყავს უფრო ახლო ერი, ვიდრე აფხაზი ხალხი. ჩვენი ბედი, კულტურა და ისტორია მჭიდროდაა გადაჯაჭვული და ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვართ. ფიზიკურადაც კი იმდენად ვგავართ ერთმანეთს, რომ საკმაოდ ძნელია, გაარჩიო ქართველი აფხაზისაგან – გამოხედვაც კი ერთნაირი გვაქვს. რა თქმა უნდა, ეროვნული თავისებურებებით განვსხვავდებით, მაგრამ ჩვენ – ქართველ და აფხაზ ხალხს, მაინც ბევრი რამ გვაკავშირებს.

1992-1993 წლებში გარე ძალამ სისხლიანი კონფლიქტი მოგვახვია თავს. ეს კონფლიქტი საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელი იყო და ტრაგედია სწორედ ისაა, რომ ამ გარე ძალას საშუალება მივეცით, ჩვენს ძმებთან სრულიად მიუღებელ დაპირისპირებაში ჩაგვეთრიეთ. ამ კონფლიქტის შედეგად დაზარალდნენ როგორც ქართველები, ისე აფხაზები. აფხაზთა გულისტკივილი, რომელიც ამ სისხლიან კონფლიქტს მოჰყვა, ჩვენი ტკივილი და ტრაგედიაცაა. უნდა ითქვას, რომ ეს პირველი მომენტი არ იყო, როცა ქართველები და აფხაზები დაზარალდნენ.

აფხაზეთში ხშირად იხსენებენ 1930-იანი წლების ტრაგედიას – მაშინაც ბევრი აფხაზი დაზარალდა, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის უკლებლივ ყველა ნაწილი.

თავადაც ისეთი ოჯახის წარმომადგენელი ვარ, რომლის უკლებლივ ყველა წევრი დაზარალდა – განადგურდა, ან ციმბირის ბანაკებში 10-15 წლით გადაასახლეს.

ამგვარად, მშვენივრად მესმის აფხაზი ხალხის ტკივილი, რომელიც საბჭოთა დროის რეპრესიებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ იმ პერიოდში საქართველო დამოუკიდებელი არ იყო და მაშინ ქვეყანას არც საკუთარი თავისა და არც ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენლის დაცვის უნარი არ ჰქონდა.

ახლა, რაც შეეხება აფხაზეთში გამართულ არჩევნებს.

ეს არჩევნები იურიდიულად კანონიერად ვერ ჩაითვლება იმ მიზეზის გამო, რომ ომისწინანდელი აფხაზეთის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ (და არა მარტო ქართველებმა, არამედ აფხაზებმა, რუსებმა, სომხებმა, ესტონელებმა, ბერძნებმა, ებრაელებმა) დატოვა აფხაზეთი და დაბრუნებისა და გამართულ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ ვერ ჩაითვლება ეს არჩევნები გამართულად. თუმცა, ამავდროულად, სრულიად ნათელია, რომ არჩეული ხალხი, ამ ეტაპზე, აფხაზეთში დარჩენილი აფხაზური წარმომავლობის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს გამოხატავს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება მზად არის, დიალოგი აწარმოოს ამ ხელისუფლებასთან, ამ ჯგუფთან და პირადად სერგეი ბაგაფშთან, რომელიც დღესდღეობით აფხაზების უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს.

ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა ჩვენი სახელმწიფოს შექმნა.

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა ერთად უნდა შექმნან ქართველებმა, აფხაზებმა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა ყველა სხვა ერის წარმომადგენელმა.

ქართული, ჩვენი ერთობლივი სახელმწიფოებრიობა, ერთად უნდა შეიქმნას იმ პირობებით, როცა განვითარების გარანტიები აბსოლუტურად თავისუფალი და დაცული იქნება – ყველა აფხაზიც დაცული და აბსოლუტურად უზრუნველყოფილი იქნება.

ამავე დროს, ნურავის ექნება ილუზია იმის თაობაზე, რომ ათწლეულების, ან სამუდამოდ – ასწლეულების განმავლობაში, თბილისში მყოფი, საქართველოს ხელისუფლება შეეგუება დღეს არსებულ ვითარებას და არ გადადგამს ნაბიჯებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ეს არის ჩვენი ხელისუფლების მთავარი ამოცანა.

ჩვენ ძლიერი სახელმწიფოს შექმნას ვაპირებთ, მაგრამ არა აფხაზი ერის ხარჯზე.

ამიტომაც, ჩვენ გვინდა დიალოგი, რათა მომავალში ეს თავს მოხვეული კონფლიქტი თავიდან ავიცილოთ. ძალიან არ მოგვწონს ის, რომ გარე ძალები უხეშად ერევიან აფხაზეთისა და მთლიანად საქართველოს შიდა საქმეებში, რის შესახებაც არაერთხელ გაგვიცხადებია. დარწმუნებული ვართ, რომ არც აფხაზებისთვის და არც ქართველებისთვის დიალოგს ალტერნატივა, ამ ეტაპზე, ნამდვილად არა აქვს.

მესმის, რომ არის სირთულეები, სერიოზული წინააღმდეგობა, მაგრამ ჩვენთვის გადაულახავი წინააღმდეგობა ან დაბრკოლება არ არსებობს.

ახლა, როდესაც ჩვენი საზოგადოება მობილიზებული და ძალზე საღად მოაზროვნეა, სერიოზული ნაბიჯების გადასადგმელად მზად ვართ.

ეს არის ის, რაც აფხაზეთთან მიმართებაში ჩვენს პრინციპულ პოზიციას შეეხება.

ცხოვრებისეული ისტორიები

## როგორ ვიცეკვე ჟირინოვსკისთვის

### აფხაზური ისტორია

მე მქვია ადგური. აი, როგორი ისტორია გადამხდა თავს.

როგორლაც ჩვენთან, სოხუმში ჩამოვიდა ვლადიმირ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკი. ამან ქალაქში საოცარი აჟიოტაჟი გამოიწვია. მას, როგორც საპატიო სტუმარს, ისე შეხვდნენ პორტში. ყველა, ვინც კი თვალი მოკრა მას, შემდეგ ტრაბახობდა, რომ ნახა თავად ჟირინოვსკი, რომელიც **ЛДПР**-ის "მაიკებსა" და კეპებს არიგებდა.

მეც ძალიან მომინდა მისი ხილვა, თუნდაც შორიდან მხოლოდ თვალის შევლება. და აი, გავიგე, რომ დღეს მისი აფხაზეთში ყოფნის უკანასკნელია დღეა და რომ იმ სანატორიუმში, სადაც იგი ცხოვრობს, დისკოთეკას აწყობს ახალგაზრდებისთვის. ეს რომ გავიგე, მივხვდი, ეს ჩემთვის მისი ნახვის უკანასკნელი შანსი იყო.

საღამოს გავემართე იმ სანატორიუმისკენ, სადაც ჟირინოვსკი ცხოვრობდა. ჩვეულებისამებრ, გზად შევიარე კაფე "იალბუზში", რომ მენახა ჩემი მეგობრები და მეთქვა მათთვის, რომ მივდივარ დისკოთეკაზე, სადაც თავად ჟირინოვსკი იქნება.

და როგორ ფიქრობთ, უცებ ვინ დავინახე? კაფეს წინ **ЛДПР**-ის წარწერებიანი დიდი ავტობუსი იდგა. ყველგან იყო პლაკატები, ბავშვები ქუჩაში იმავე აბრევიატურიანი "მაიკებით" დადიოდნენ. ყველა ერთმანეთს ეჩურჩულება, რომ წუთი-წუთზე მათთან "**ЖИРИК**"-ი გამოჩნდება.

მართლაც, ცოტა ხანში ვხედავ, რომ თაყვანისმცემლების დიდი ჯგუფი მოქრის და მათ წინ მოუძლვის პირადი მცველებით გარშემორტყმული ვლადიმირ ვოლფოვიჩი.

ყველა საცეკვაო მოედანზე ავიდა და დი-ჯეიმაც ჩართო საცეკვაო – "**ЛЕЗГИНКА**".

ჟირინოვსკიმ რამდენიმე წუთით წაიცეკვა და მერე მაყურებლების გვერდით დადგა, რომელთაც ამასობაში წრე შეკრეს, რათა უკეთ ენახათ სხვების ცეკვა.

შემდეგი კომპოზიცია დი-ჯეიმ "ბრეიკის" სტილში ჩართო. ვხედავ, წრის შუაგულში სამი "ლაწირაკი" გავიდა და "ბრეიკ-დანსის" ცეკვა დაიწყეს. როგორც გავიგე, ისინი ჟირინოვსკისთან ერთად ჩამოსულან და მისი პარტიის წევრები ყოფილან.

ამასობაში მოვიდნენ ჩემი მეგობრები, რომლებმაც მითხრეს: "ადგურ, გადი, იცეკვე და აჩვენე ამათ კლასი!" ჩემმა მეგობრებმა კარგად იცოდნენ, რომ მე "ბრეიკ-დანსის" ცეკვა მიყვარს და სოხუმში საკმაო პოპულარობითაც ვსარგებლობ.

და ჩემმა მეგობრებმა ძალით გამაგდეს სცენაზე...

მეც, სხვა რა გზა მქონდა, დავიწყე ცეკვა. ვარ ერთ ამბავში: ჩემს ცნობილ სასიკვდილო ტრიუკებს ვაკეთებ, სალტო-უკან, წინ, თავზე ტრიალი, ზურგზე ტრიალი. ვატყობ, ხალხი გაკვირვებული მიყურებს. ეტყობა, ადგილობრივი, სოხუმელი ბიჭისგან ასეთი ცეკვა ვერ წარმოედგინათ.

იმ "ლაწირაკებმა", ცოტა ხნის წინ რომ იცეკვეს, ასეთ კონკურენციას ვერ გაუძლეს და ჟირინოვსკის ახლოს დადგნენ. ის კი ჩემი ცეკვით აღტაცებული იყო და თავდაუზოგავად მიკრავდა ტაშს.

მერე მე იმ ბიჭებთან ერთადაც ვიცეკვე ხუთი კომპოზიცია და ამ ხნის განმავლობაში შეძახილები "ბრავო!" და "ბის!" არ შემწყდარა.

მოულოდნელად, ცეკვის შემდეგ, ჩემთან მოვიდა ჟირინოვსკი და თქვა: "ჩვენს ჩემპიონს ჯილდო ეკუთვნის!" და მომცა საკმაო რაოდენობის ფული და საჩუქრები.

"ახლა კი სამახსოვრო ფოტოსურათიც უნდა გადავიღოთ!" - გამოაცხადა მან და შემომეხვია თავისი დიდი ხელებით.

მაშინვე აჩხაკუნდა ფოტოაპარატები. მას თან ახლდა თავისი პირადი ფოტოგრაფიც, რომელმაც, რა თქმა უნდა, გადაგვიღო სურათი. მაგრამ გული ერთ რამეზე მწყდება, რომ ხელში ვერ ჩავიგდე ფირი, თუმცა ფოტოგრაფი დამპირდა, რომ ფირს ფოსტით აუცილებლად გამომიგზავნიდა.

ამ ამბის შემდეგ საკმაოდ პოპულარული გავხდი - ყველას, ადგილობრივსაც და ჩამოსულსაც ჩემთან ერთად უნდოდა ფოტოსურათის გადაღება, რადგან ჩემთან ხომ თავად "**ЖИРИК**"-მა გადაიღო სურათი.

ხან იმასაც კი მეხუმრებიან, აბა, როგორ არის შენი მეგობარი ჟირინოვსკიო?

***რუბრიკას უძღვება ლელა მარგიანი***
***რადიოდღიურების პროექტი ხორციელდება ბრიტანული ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მხარდაჭერით. აუდიოდღიურების ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამამ "პოსტფაქტუმმა".***

## სამხრეთკავკასიელი ჟურნალისტების შეხვედრა სტამბოლში

ლელა მარგიანი

*27-29 ნოემბერს თურქეთში, ქალაქ სტამბოლში, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" პროექტის - "აუდიოდღიურების" მონაწილე ჟურნალისტები შეიკრიბნენ. რამდენიმე წელია, რაც ორგანიზაცია ჩართულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში. თავდაპირველად მის მიერ საქართველოსა და აფხაზეთში დაწყებული პროექტი გაფართოვდა და ა.წ. სექტემბრიდან სამხრეთ-კავკასიურ რეგიონულ პროექტად გადაიქცა. ამჟამად პროექტში მონაწილეობს ოცდათექვსმეტი ქართველი, აფხაზი, სომეხი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტი.*



*სემინარის მონაწილე ჟურნალისტები: დიმა ბელი (აფხაზეთი), ანა არევშატიანი (სომხეთი), ვაფა ფარაჯევა (აზერბაიჯანი), ვასილ გულეური (საქართველო)*

ვასილ გულეურის ფოტო

"აუდიოდღიურები" – ესაა გადაცემების ორიგინალური ჟანრი, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში წარმოიშვა ინგლისში, პირველად განხორციელდა "ბი-ბი-სის" რადიოეთერით და თანდათან მთელ მსოფლიოში მსმენელების დიდი მოწონება დაიმსახურა. მისი არსი შემდგომშია: უბრალო ადამიანებს - ნარკომანებს, პატიმრებს, უსახლკაროებს, პენსიონერებს, მოზარდებს, დევნილებს ეძლევათ საშუალება, ჩაწერონ ყველაფერი, რაც მათ უნდათ. ჟურნალისტი მხოლოდ პოულობს ასეთ ადამიანებს, მიაქვს მათთან ჩამწერი საშუალება და უხსნის, თუ როგორ უნდა ჩაწერონ. "აუდიოდღიურების" ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, "დღიურებს" იწერენ თავად რიგითი ადამიანები ჟურნალისტების ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ჟურნალისტები მხოლოდ ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებენ.

"აუდიოდღიურები" არაპოლიტიკური ჟანრია, უფრო მეტიც, იგი ძალიან ფაქიზი გზაა იმისთვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთს ხმა მიაწვდინონ. ესაა ერთგვარი "სახალხო მაუწყებლობა", როდესაც ადამიანები გულახდილად საუბრობენ მათთვის საჭირბოროტო ნებისმიერ საკითხზე. სწორედ ამიტომ აირჩიეს პროექტის ხელმძღვანელებმა კონფლიქტის მოგვარების პროცესის ხელშეწყობისთვის "აუდიოდღიურების" ჟანრი.

სტამბოლში შეხვედრის სამი დღის მანძილზე პროექტის მონაწილე ქართველმა, აფხაზმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა განიხილეს პროექტის მიმდინარეობის თავისებურებები. რეგიონულმა კოორდინატორებმა წარმოადგინეს თითოეულ რეგიონში ჩატარებული სამუშაოს ანგარიში, მოისმინეს წარმატებული და დაწუნებული დღიურები, დასახეს სამომავლო გეგმები.

სემინარზე აღინიშნა, რომ საქართველოში, პროექტის სამხრეთ კავკასიურ პროექტად გაფართოების შემდეგ, ოთხი თვის მანძილზე, რადიოსადგურების ეთერში უკვე გავიდა 169 "აუდიოდღიური". მათ შორის, თარგმნილია 13 სომხური, 5 ყარაბახული, 5 აზერბაიჯანული და 7 აფხაზური დღიური. საქართველოში "აუდიოდღიურები" გადის მთავარი რადიოს გადაცემა "პიკის საათში" სამჯერ დღეში, ქუთაისის რადიოსადგურ "ძველი სახლის" ეთერით დღეში შვიდჯერ, ზუგდიდში რადიოსადგურ "ათინათის" ეთერით სამჯერ, ბათუმში - დღეში ოთხჯერ, ხოლო ახალქალაქის რადიოსადგურის ეთერით - ყოველ საღამოს.

აფხაზეთში ოთხი თვის მანძილზე გავიდა მხოლოდ 47 დღიური, რაც გამოწვეულია იმით, რომ აფხაზეთში მხოლოდ ორი რადიოსადგური არსებობს.

სომხეთში პროექტის მიმდინარეობის ოთხი თვის მანძილზე ჩაწერილია 56 დღიური. რეგიონებში გაგზავნილია 21. აქედან 7 თარგმნილია რუსულ ენაზე საქართველოში, აფხაზეთსა და აზერბაიჯანში გასაშვებად.

აზერბაიჯანის სამი რადიოსადგურის ეთერში გავიდა 45 დღიური, რომელსაც დაემატა 21 სხვა კავკასიური რეგიონებიდან გამოგზავნილი დღიური.

ყარაბახში ჩაწერილია 37 "დღიური," რომელთაგან 17 გადაგზავნილია სხვა რეგიონებში.

სემინარზე აფხაზმა და აზერბაიჯანელმა ჟურნალისტებმა აღნიშნეს მათთან, შესაბამისად, ქართული და სომხური დღიურების გაშვებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

მაგალითად, თუ ქართულ რადიოეთერში აფხაზური "აუდიოდღიურების" გაშვების არანაირი პრობლემები არ არსებობს, ასე არაა საქმე თავად აფხაზეთში. როგორც პროექტის აფხაზმა კოორდინატორმა, ჟურნალისტმა ზურაბ არლუნმა აღნიშნა, მათ აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, არჩევნების წინა პერიოდში და არჩევნების მიმდინარეობისას, იმ ფონზე, რომ არჩევნების მონაწილე მხარეები ერთმანეთს პროქართულ ორიენტაციას საყვედურობდნენ, ქართული დღიურების რადიოეთერში გაშვება საერთოდ შეწყვიტეს. თუმცა, მანამდეც მხოლოდ ორჯერ მოხერხდა თარგმნილი ქართულენოვანი დღიურის გაშვება აფხაზეთში. ამავე დროს, აფხაზი ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ თავად "აუდიოდღიურების" პროექტი წარმატებულია აფხაზეთში, რადგან ხალხს მობეზრდა მხოლოდ პოლიტიკაზე საუბარი.

რადიოსადგურების გარდა, პროექტის ფარგლებში ჩაწერილი "აუდიოდღიურები" იბეჭდება რეგიონულ პოპულარულ გაზეთებშიც. საქართველოში ისინი იბეჭდება: რუსულად გაზეთში "Кавказский акцент", ხოლო ქართულად - გაზეთებში "24 საათი" და "ხალხის გაზეთი"(გორი), მთიან ყარაბახში - გაზეთში "Демо", აფხაზეთში - გაზეთში "Эхо Абхазии", ასევე ორ აზერბაიჯანულ პერიოდულ გამოცემაში - "Биржа труда" და "Обозреватель".

პროექტის მონაწილე ჟურნალისტებთან ერთად სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ინგლისელი ჟურნალისტი, "ბი-ბი-სის" ევროაზიური რეგიონის რედაქტორი, ჯენი ნორტონი, რომელმაც გვითხრა, რომ "ბი-ბი-სის" რუსულენოვან საიტზე მეოთხე თვეა, გადის პროექტის ფარგლებში მომზადებული რეგიონული დღიურები, რომლებიც საიტის მომხმარებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. საიტზე დღიურებს თან ერთვის ფოტოსურათებიც, რათა საიტის მომხმარებლებს გაუადვილდეთ ორიენტირება, თუ რომელი ქვეყნის მაცხოვრებლები არიან დღიურების ავტორები.

"ძალიან კარგი ისტორიებია, უბრალო ადამიანების მიერ მოთხრობილი. საერთოდ, ცხოვრებისეული ისტორიები ყოველთვის საინტერესო და კარგი მოსასმენია. ვფიქრობთ, ცოტა ხანში რეგიონული რადიოსადგურების საშუალებით მოხერხდება დღიურების ეთერში გაშვება ჩვენი რუსულენოვანი მსმენელისთვის, რომელთა ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით. ამავე დროს, შეიძლება მოეწყოს თოქ-შოუც, ან გამოცხადდეს სეზონი "სამხრეთ კავკასია". საიტზე დაიბეჭდა რუსულად თარგმნილი რამდენიმე ქართული და აფხაზური დღიურიც. გვინდა, განსაკუთრებით კარგი დღიურები ინგლისურადაც ვთარგმნოთ და "ბი-ბი-სის" ინგლისურ საიტზე დავბეჭდოთ, რადგან მას მსოფლიოში ძალიან ბევრი მომხმარებელი ჰყავს," – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ჯენიმ.

სემინარის მუშაობით კმაყოფილი იყო პროექტის კოორდინატორი ქალბატონი ელენე კუკი: "ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა იყო, რადგან პირველად მოხდა პროექტის მონაწილე ოცდათექვსმეტივე ჟურნალისტის ერთად შეკრება. მართალია, ქართველი და აფხაზი ჟურნალისტები უკვე ორი წელია თანამშრომლობენ, მაგრამ სექტემბრიდან პროექტი გაფართოვდა და მას შეემატნენ როგორც საქართველოს რეგიონების (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი), ასევე სომეხი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტები. სულ რამდენიმე თვეა, რაც ყველა ჟურნალისტმა გაიცნო ერთმანეთი. მიუხედავად ამისა, ისინი საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობენ. ძალიან ბევრი საერთაშორისო პროექტი ვიცი, სადაც ჟურნალისტები ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ჩვენ კი უკვე გვაქვს მცირე შედეგები. მიგვაჩნია, რომ უმჯობესია ნელ-ნელა წავიწიოთ წინ კონფლიქტის მოგვარებისკენ, ვიდრე გავაკეთოთ დიდი ნახტომი, რომელიც შემდგომ უკან დაგვაბრუნებს. იმის მიუხედავად, რომ ჯგუფებში იყვნენ კონფლიქტის მონაწილე მხარეების წარმომადგენელი ჟურნალისტები, მათ შეძლეს ერთმანეთის მოსმენა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო."

სემინარის მუშაობის შესახებ შთაბეჭდილებები თავად ჟურნალისტებმაც სიამოვნებით გაგვიზიარეს. როზიტა გერმანი, რადიოსადგური "სომა" (სოხუმი): "მოსაწონია, რომ პროექტი გაფართოვდა და სომეხი, აზერბაიჯანელი და მთიანი ყარაბახის ჟურნალისტებიც იღებენ მასში მონაწილეობას. პირადად ჩემთვის სასარგებლოა ახალი ხალხის გაცნობა, ახალი ინფორმაციის მიღება. საერთო ჯამში, სტამბულში გატარებული დღეები დაუვიწყარი იქნება."

თამუნა შონია, რადიო "ათინათი" (ზუგდიდი): "ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, აფხაზ კოლეგებთან შეხვედრა იყო. ვფიქრობ, მიუხედავად ყველაფრისა, ყინული თანდათან ლღვება და სოხუმში მაინც ისმენენ ქართულ დღიურებს."

ალექსანდრე მანველიანი, პროექტის კოორდინატორი სომხეთში, "ბი-ბი-სის" კორესპონდენტი ერევანში: "ყოველთვის სასარგებლოა ასეთი ტიპის შეხვედრები. საჭირო იყო ერთობლივი მუშაობის დროს წარმოქმნილ კონკრეტულ საკითხებში გარკვევა, რაც ჩემი აზრით, ჟურნალისტებმა შეძლეს. იმედია, სომეხი, აზერბაიჯანელი და მთიანი ყარაბახიდან პროექტში მონაწილე ჟურნალისტები გაითვალისწინებენ ქართველი და აფხაზი ჟურნალისტების გამოცდილებას".

ჩინგიზ სულტანსოი, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი: "მსგავსი შეხვედრების მიზანია საორგანიზაციო პროფესიული მომენტები და საერთო კონტაქტების დამყარება. ჩემი აზრით, ორივე შესანიშნავად იქნა მიღწეული."

ცვლილებები ქალაქურ კულტურაში

B2

გარდაიცვალა რაიმონ გუტალსი

B4

მეცნიერების წარმოშობა - XVII საუკუნის ინტელექტუალური რევოლუცია

B6

ნომრის სტუმარი

# ჩვენი სიმღერით კიდევ ბევრს "მოვწამლავთ"

*ხალხური სიმღერის ბევრი ანსამბლი არსებობს საქართველოში და ყველას ძალიან უყვარს ქართული სიმღერა. ჩვენში არც კარგი ხმის დეფიციტია და არც მომღერლის, მაგრამ "ქართულ ხმებს" თავიდანვე გამორჩეულად უსმენდნენ. ცოტა ხნის წინ ანსამბლის პირველმა თაობამ უმცროსებს ფილარმონიაში სახელი და ბრენდი გადასცა და გზა დაულოცა. ამბობენ, ფეხზე დამდგარი მაყურებელი ნახევარი საათი მაინც უკრავდა ტაშს უფროსებს. უმცროსებს კი ყელში ბურთი მოაწვათ და სიმღერა გაუჭირდათო... საოცარი ხალხია, ყოველგვარი არტისტული რეჟიმიდან ამოვარდნილი - არანაირი ხმის მოვლა ან სპეციალური ეგზოტიკური დიეტა, არც ძვირად ღირებული ფერადი შოუ. ასე დგანან სცენაზე და, უბრალოდ, მღერიან... დანარჩენს კი დიდი ზაურ ბოლქვაძე და მისი მემკვიდრე - დათო კიკაბიძე იტყვიან.*

მაია ქალაბანიძე

**- დათო, რა მოხდა თქვენს თავს, რა აქცია შედგა ფილარმონიაში?**

- რაც მოხდა, ჩემი ოცნების ასრულებას დავარქმევდი.

**- რამდენ ხანს ოცნებობდი?**

- იქიდან მოყოლებული, რაც მივხვდი, რომ სიმღერა შემიძლია. "ქართული ხმების" თითოეული წევრი ყოველთვის ჩემი იდეალი იყო.

**- როგორ მოხვდი ამ გუნდში, იქ ხომ შვილები მღეროდნენ?**

- ნაშვილები ვარ... ჩემმა მეგობარმა, დათო არჩვაძემ მიმიყვანა. 1996 წელს პატარების ანსამბლის შექმნის იდეა გაჩნდა. ანსამბლში "ქართული ხმების" წევრთა შვილებსა და მათ მეგობრებს უნდა ემღერათ. არც შეიძლებოდა, რომ მათ შვილებს სიმღერა არ სცოდნოდათ...

**- ისეთი ხმა გაქვს, ალბათ, პატარაობიდან გქონდა სიმღერის მინი-გამოცდილება.**

- საერთოდ არ ვმღეროდი. დედა მუსიკოსი მყავს, მაგრამ მუსიკალური შვიდწლედიც არ დამიმთავრებია.

**- და არც საბავშვო ბაღში გიმღერია ნაძვის ხესთან?**

- ეგ არ მახსოვს... ერთხანს, არტოს ბაღში, "მართვეს" მოსამზადებელ ჯგუფში დავდიოდი. ცოტა ხანში წამოვედი, რადგან ხმას არ ვიღებდი. ბანი კი მომიჩინეს, მაგრამ კონცერტის დროს ბავშვების ზურგს ვეფარებოდი და ისე ვმღეროდი. მერე მეგობრებთან სიმღერას მივეჩვიე, მერე გავიცანი დათო. მას მოსმენილი ჰქონდა ჩემი სიმღერა და როცა შვილები შეიკრიბნენ, მეც წამიყვანა. კინაღამ გზიდან გამოვექეცი...

**- ამ შიშისგან დღეს რა დაგრჩა?**

- ერთი უცხოც რომ შემოსულიყო, ჩემს მეგობრებთან ერთადაც აღარ ვმღეროდი.

**- თქვენს კონცერტებს უამრავი უცხო ესწრება...**

- ჰო და ეს შიში ნერვიულობად იქცა.

**- განსაკუთრებული დიაპაზონის ხმა სად ავარჯიშე?**

- არსად. სახლში მარტო რომ ვრჩებოდი, სიმღერებს ავყვებოდი, ჩემთვის ვმღეროდი. ძალიან კარგი სიმღერები იყო მულტფილმებში...

**- სუნთქვის სპეციალური ვარჯიშები ან ხმის მოვლის წესები არ გაქვს?**

- არანაირი.

**- სიმღერა შენი პროფესია გახდა და ხმას რომ არ უვლი, ხომ ცუდია?**

- ცუდია და ამის გამო ბევრი მსაყვედურობს.

**- მუსიკალურთან დაახლოებული განათლება მაინც არ გაქვს?**

- გეოგრაფი ვარ, უნივერსიტეტი დავამთავრე, არადა სკოლაშიც არ მისწავლია ეს საგანი.

**- უნივერსიტეტშიც დათო არჩვაძემ მიგიყვანა?**

- ყველა მეხმარებოდა. ხმას, ალბათ, ვუვლი, მაგრამ უფრო მეტად ვვნებ ხოლმე... თუ შევატყვე, რომ ხმა არ მივარგა, ცუდ ხასიათზე ვდგები და თუ კარგ ხმაზე ვარ, ბედნიერი ვარ.

**- ხმა გმართავს და არა პირიქით...**

- ასეა. ყოველთვის მინდა, რომ კარგად ვიმღერო და თუ რაიმე არ გამომდის, ძალიან ვნერვიულობ.

**- ხმის არმოვლის ტრადიციაც დიდებისგან გადმოგეცათ? ზაურ ბოლქვაძის შესახებ რას არ ჰყვებიან...**

- ბატონი ზაური გენიოსია, ლეგენდაა. მის ხმას რომ შესაძლებლობა აქვს, ეგეთი არ არსებობს. არასდროს არ ერიდებოდა გაციებას. ყოველთვის გაუკეთებელს აკეთებდა. მეც ვცდილობდი მიმსგავსებას, მაგრამ კინაღამ ხმა დავკარგე...

**- თაობის ცვლა განახლებას ნიშნავს. რას შემატებთ ახალს "ქართულ ხმებს"?**

- პირველ რიგში, სახელის შენარჩუნებას ვცდილობთ. გვინდა, ისე მიგვიღოს ხალხმა, როგორც მათ იღებდნენ და მერე ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ უფრო მეტი სიყვარული დავიმსახუროთ და გავცეთ.

არ ვამბობ, რომ დიდ რამეს წარმოვადგენთ, მაგრამ რაც ყველაზე მეტად მახარებს, არის ის, რომ ბევრი სხვა სტილის მუსიკაზე გადართული თინეიჯერი ვიცი, ვისაც უთქვამს, ქართული სიმღერის მოსმენა თქვენს შემდეგ დავიწყეთო. ეს უკვე ნაბიჯია. ჩვენი სიმღერით კიდევ ბევრს "მოვწამლავთ".

**- არ გეჩვენებათ, რომ სცენაზე 11 კაცის სტატიკურად დგომა მოძველდა? თქვენს გამოსვლებს სანახაობას არ დაამატებთ?**

- ანსამბლის დირექტორი ბატონი თემურ ჭკუასელია, სამხატვრო ხელმძღვანელი კი მაესტრო რობერტ გოგოლაშვილი. მათზეა დამოკიდებული, რას გააკეთებენ. ახალი და საინტერესო ჩანაფიქრები კი - გვაქვს.

**- თქვენ უყურებდით ანსამბლის პირველი თაობის ურთიერთობებს, ცხოვრების წესს. რა იყო განსაკუთრებული?**

- ანსამბლის სიყვარული და წარმატება თითოეული წევრის ნიჭიერებამ და პიროვნულმა ღირსებებმა განაპირობა. მოდებულები იყვნენ მთელ ქალაქს. არ არსებობდა ოჯახი, სადაც ნამღერი არ ჰქონოდათ. ეს განსაკუთრებული სიყვარული, პირველ რიგში, ღვთისგან არის დაშვებული - სხვაგვარად ვერ ავხსნი. გოგი დოლიძე, დათო გოგიაშვილი - ისეთი ადამიანები იყვნენ, შეუძლებელია, არ გყვარებოდა...

**- ბატონო ზაურ, "ქართულ ხმებში" (ანუ "ჟურნალისტებში") სიმღერა რომ დაიწყეთ, ამ ასაკის იყავით?**

- "ჟურნალისტებამდე" მახარაძის ანსამბლში დავიწყე სიმღერა, "შვიდკაცა" ერქვა. მახარაძიდან თბილისში რომ გადმოვედი, ერთი წლის მერე მივედი ანსამბლში. გოგი დოლიძე იყო და არის კიდეც ჩემი მეგობარი. იმან მითხრა, არ წამოხვალო? მეორე დღესვე მივედი და იმის მერე აქ ვარ. მაშინ ამათზე ცოტა უფროსი ვიყავი.

**- ახალ თაობას რა გადაეცით?**

- ამათ ისედაც ყველაფერი ჰქონდათ მიღებული. აქაც ჭკვიანი ბიჭები შეიკრიბნენ, მომღერალი ხალხი.

**- დათო არის პირადად თქვენი მემკვიდრე?**

- ეს დათომ სახელის ოფიციალურ გადაცემამდეც იცოდა.

ესტაფეტას ვისაც გადავცემთ, ისინი არიან მაგრები. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ბიჭები თანდათან ხდებიან უკეთესები. უჩვენოდაც ჩამოყალიბებული პიროვნებები იყვნენ და ყოველთვის მღეროდნენ. დათოს უყვარდა ჩვენი მოსმენა - ანსამბლში ჯერ არ იყო და ხანდახან ერთადაც ვმღეროდით.

**- როგორ ფიქრობთ, დათო თქვენსავით დაიტვირთება ანსამბლში?**

- სიმღერას გააჩნია - ხან პირველი იტვირთება, ხან - მესამე, მაგრამ პირველ ხმას ყოველთვის მეტი დატვირთვა აქვს.

**- როგორ იქცევა, ხმას უვლის?**

- ნიჭიერი, კარგი ბიჭია. ვურჩევ, ხმას მოუაროს და ბევრს მიაღწევს, რადგან მას სიმღერაში ყველაფრის გაკეთება შეუძლია. ...ახლა რომ მე დავიწყო ხმის მოვლა, ადრეა თუ გვიანი?

**- თქვენ ყველანი წლების განმავლობაში ქმნიდით ანსამბლის რეპუტაციას. უმცროსებმა რა უნდა გააკეთონ ამისთვის?**

- ყველაფერი მეგობრობით იწყება. ესენი ჯერ მეგობრები არიან და მერე მომღერლები, ასე იყო ჩვენთანაც.

**- რეპერტუარს რა უნდა შეჰმატონ?**

- რეპერტუარი მაესტროზეა დამოკიდებული, ის შეარჩევს. რაც უფრო მეტი იქნება ხალხური სიმღერა, უკეთესია. არის ძველი სიმღერები და არის უძველესი. სწორედ ეს არის ანსამბლის წარმატების ძირითადი პირობა.

**- რომელი იყო "ქართული ხმების" საუკეთესო პერიოდი?**

- როდესაც გოგი და თავგასა (დათო გოგიაშვილი) იყვნენ ჩვენთან. ჯანსაღი პერიოდი ყოველთვის გვქონდა, მაგრამ ესენი რომ იყვნენ, სხვა ფასი ჰქონდა ყველაფერს. სხვანაირი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთის და საქმის მიმართ.

**- დათო, გოგის იცნობდი?**

- როგორ არა, მაგრამ ერთად არ გვიმღერია. მაშინ არც ვფიქრობდი სიმღერას, გოგის დანახვაზე ხომ საერთოდ... გოგიაზე საუბარი ამოუწურავად შეიძლება. არანორმალური გული ჰქონდა, არ შეიძლება, ადამიანს ასეთი სიყვარული შეეძლოს და მერე გაჰყვა კიდეც გულს... საკუთარი თავისთვის იმდენს არ აკეთებდა, რამდენსაც გვერდით მდგომი ადამიანებისთვის და ეს იყო ყველაზე საოცარი. ყველაფრის გაღება შეეძლო.

**- ბატონო ზაურ, წლების მანძილზე მაყურებელი შეიცვალა?**

- ცვლილებები არის. ჩვენს გამოსვლებზე ისინი დადიან, ვისაც ხალხური სიმღერა უყვარს, ძირითადი შემფასებლები ისინი არიან. სამწუხაროდ, ამ წლების განმავლობაში ბევრი ახალგაზრდაა მოკლებული ხალხურ სიმღერას და სხვა სტილის მუსიკა აინტერესებს.

**- თქვენ თავად რას უსმენთ?**

- მიყვარს სოპერო სიმღერები, ჯაზი... ჯანო კახიძის შესრულებას ვუსმენ სიამოვნებით. რამდენიმე სიმღერა ერთადაც გვაქვს გაკეთებული. ჯანო ჩვენთან ძალიან დაახლოებული იყო. ჩვენი მეგობარია მიშიკო შენგელია, მერაბ გამყრელიძე, დათო ბერძენიშვილი... სიმღერას არ ვიწერდით ერთად, მაგრამ სულ ქეიფში ვიყავით.

ერთ ამბავს გავიხსენებ: მეგობარი გვყავდა, ჯანო გიორგაძე. სულ ერთად ვიყავით ხოლმე. ერთხელ, სტუდიაში მიგვიწვიეს. ჯანო მაშინ უკვე აღარ იყო. მიშიკომ შამპანური წამოიღო. ბოთლი დავდგით სტუდიაში და ჩაწერა დავიწყეთ. რატომღაც, ჯანო ვახსენეთ და იმ წამსვე საცობი თავისით ამოვარდა შამპანურიდან... ეს ხმა პოპურში ჩაწერილია კიდეც.

**- თქვენ არავითარ არტისტულ კანონებს არ ემორჩილებით - მკაცრი რეპეტიცია, კვება, ხმის მოვლა. მღერით და ხალხს უყვარხართ, როგორ ხსნით ამას?**

- ანსამბლის წევრებს სიმღერა უყვართ და ეს არის ახსნა. რაც სამღერია, გულითა და სულით მღერიან, სწორედ ამ სიყვარულმა გაიმარჯვა.

**- თანამედროვე შემსრულებლებს უსმენთ?**

- მიყვარს ნანი ბრეგვაძე. ახლა გამოჩნდა ნინი ბადურაშვილი. ხმა უცნაურად ჟღერს, მაგრამ ასეთი მიმართულება მომწონს. ბევრი კიდევ გამოჩნდება.

**- არის თუ არა ისეთი რამ სცენაზე, რაც თქვენთვის მიუღებელია?**

- როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, ისე აღვიქვამ ყველაფერს. არ მომწონს, როცა ვერ მღერიან და ზოგჯერ დამოკიდებულებაც არ მომწონს. ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით შესრულებას. შეიძლება, სიმღერა ძველი იყოს, მაგრამ ჩვენთვის ახალია და შესრულებას პასუხისმგებლობა უნდა ჩაატანო. ეს ბოლომდე გაგყვება.

**- მოსწავლეები არასდროს გყოლიათ?**

- არა, მაგისთვის არ ვარ გაჩენილი. ვარ იმისთვის, რასაც ვაკეთებ - სხვის გაკეთებულს ვიმღერებ, კი ბატონო.

**- რას ელით "ქართული ხმების" ახალი თაობისგან?**

- ყველაფერი რეპერტუარზეა დამოკიდებული. ხალხურსაც ვმღეროდით და კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც. რაც უფრო ძველია სიმღერა, მით უფრო ახალია და მოსასმენად კარგია. თუ რაიმე მოსაწონია, იმ სიმღერას ვასრულებ.

"შვიდკაცაში", შავიშვილთან რომ ვმღეროდი, თავად ასრულებდა კრიმანჭულს. საოცრება იყო - ხალხი ყელში უყურებდა, რაიმე ხომ არ აქვს ჩაყენებულიო...

**- დათო, თქვენთან ვინ ასრულებს კრიმანჭულს?**

- ლევან ვეშაპიძე.

**- როგორია?**

- მეთერთმეტე...

**- ბატონო ზაურ, სახელის გადაცემა იმას ნიშნავს, რომ სცენაზე აღარ იმღერებთ?**

- მასეც არ გადაგვიცია. ანსამბლი ანსამბლია, მაგრამ ის პიროვნებებისგან შედგება და ჩვენი ურთიერთობაც ამაზეა დამოკიდებული. გვყავს გივი ჭიჭინაძე - მასში მარტო მომღერალს და პირველ ხმას კი არ ვხედავ, ის მეგობარია და პიროვნება. ვიკრიბებით ხოლმე, ერთად ხშირად ვართ.

**- დათო, ამ ზაფხულს პატარები კორსიკაზე იყავით. "ქართულ ხმებს" იქ დიდი ხნის წინ დაწყებული კარგი ურთიერთობები აქვს. როგორ შეგხვდნენ? ხომ არ გითხრეს, დიდები უფრო მაგრები არიანო?**

- ამას რა თქმა უნდა, თავისთავად არის.

**ზაური:** აგენისთვის გზა გაკვალული გვქონდა და მათ შესახებ ჩვენი მონათხრობიდან იცოდნენ ყველაფერი.

**- დათო, ამ გაკვალულ გზაზე სიარული ადვილია?**

- ყველაფერი გამზადებული გვხვდება, მაგრამ ამ გზაზე სიარული უფრო რთული და საპასუხისმგებლოა. კორსიკაში ძალიან კარგი ხალხი დაგვხვდა.

**ზაური:** ბევრი წლის წინ ჩვენი ურთიერთობა ასე დაიწყო - მიწვევა გვქონდა საფრანგეთში. პროგრამაში კორსიკაც იყო, იმიტომ, რომ ჩვენი და მათი მელოდიები ძალიან ჰგავს ერთმანეთს - ხშირად, ქართული გეგონება. მოვხვდით ფოლკლორულ ანსამბლ "აფილეტ"-თან ერთად.

**- თარგმანში ეს სიტყვა რას ნიშნავს?**

- კორსიკული სიტყვაა, რაღაც მცენარეა.

**დათო:** გვიმრას ნიშნავს.

**ზაური:** ამ ანსამბლს ჰქონდა შეხვედრის ადგილი, რასაც ჩვენ "ლეღვები" დავარქვით. იქვე აქვთ სამზარეულო და ცოლები აკეთებენ ყველაფერს, ძალიან ოჯახური და თბილი გარემოა. სადილიც იქ იყო, ვახშამიც და რეპეტიციებიც. ტაძრებში ვმღეროდით. ხშირად საეკლესიო დარბაზებს კონცერტებისთვის იყენებენ.

**- იქაურ ტაძრებში არა მხოლოდ საერო სიმღერებს, საგალობლებსაც ასრულებდით. არავინ გსაყვედურობდათ, რატომ გალობთ ჩვენს კათოლიკურ ტაძრებშიო?**

- პირიქით, გვეფერებოდნენ.

**- დათო, "ლეღვებში" თქვენც მიგიწვიეს?**

- რა თქმა უნდა. ყველაფერი ზეპირად ვიცოდით. იქ რომ ფეხი დავდგით, კინაღამ ცრემლები წამომივიდა, ყველაფერი თვალწინ დამიდგა. საოცრად მეგობრული ხალხია და როგორც ერთი ოჯახი, ისე ვიყავით.

**ზაური:** სხვათა შორის, აქაც მოვიწვიეთ, მაგრამ იმ დროს, როდესაც არც შუქი იყო და არც არაფერი.

**- ლეღვის ხეები ხომ მაინც გვაქვს...**

- კი, ტყეში ვატარებდით.

**- ბატონო ზაურ, გქონიათ შემთხვევა, სიმღერა რომ არ გამოგსვლიათ?**

- საერთოდ რომ არ გამომსვლოდა, ასე არასდროს ყოფილა, რაღაც ყოველთვის გამომდიოდა.

უცხოეთში, კულისებში შემოაქვთ ხოლმე ლუდი, წვენები, კონიაკი, ლიმონათი - რაც გინდა, აირჩიე და დალიე. ამ მაგიდას რომ დავტრიალებდი, თემურმა დამინახა. გარს მივლიდა და ვითომ თავისთვის ამბობდა - სხვათა შორის, ლუდი ხმას აჯენსო... ოთხი დავისხი და დავლიე. გამოვედი სცენაზე. ერთ კახურ სიმღერაში თემური მეორე ხმა იყო. იმ სიმაღლეზე ვიმღერე, თემურას ძარღვები დაებერა, რომ დამწეოდა...

**- სხვებმა ხომ არ მოგბაძეს?**

- ვერა.

**- დათო, კონცერტის წინ შენ და ლუდს როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

- ვერიდები.

**- ხშირად გეპატიჟებიან სუფრებზე, ხანდახან დღეში ორჯერაც...**

**ზაური:** ნახე, დათო როგორ იყურება. ეტყობა, ახლაც სადღაც მიდის...

**- კარგია, რომ გიწვევენ, მაგრამ ეს ცუდად აისახება ჯანმრთელობაზე და ხმაზე, არა?**

**დათო:** ჯანმრთელობა და ხმა არაფერ შუაშია, ამის გარეშე არ არსებობს...

**ზაური:** მაგაზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

**დათო:** აბა, ბაბთა გავიკეთო და გავიპრანჭო - ხვალ კონცერტი მაქვს და სუფრაზე ვერ წამოვალ-მეთქი? ასე არ გამოვა, ეს ჩემნაირი ხალხისთვის არ არის მოგონილი. აქედან არის ხალხის სიყვარული. იმიტომაც მოდიან კონცერტებზე. აბა, იჯექი სახლში და უფრთხილდი ამ ხმას.

**- შოუ-ბიზნესის წარმომადგენელთა უმრავლესობის საზომი სპორტის სასახლეა. თქვენ გაავსებთ ამ დარბაზს?**

- სპორტის სასახლეში კონცერტი არასდროს არ გვქონია. ფილარმონიაში უამრავი ხალხი მოვიდა და უფრო დიდი დარბაზი რომ ყოფილიყო, კიდევ მოვიდოდა.

**- ერთ ქართველ "მეგავარსკვლავს" ვუსმენდი, სპორტის სასახლეში კონცერტი უნდა ჰქონოდა. წუხდა, ხალხს იჭერენ, სამსახურიდან ათავისუფლებენ, გაჭირვებაა, ამ ბოლო დროს ბევრი უფასო ღონისძიება ჩატარდა და ხალხი აღარ დადის კონცერტებზეო. ყველაფერს აბრალებდა საკუთარი თავის გარდა. ეთანხმებით?**

**ზაური:** არა.

**დათო:** არ ვიცი, ვინ საუბრობდა, მაგრამ ჩვენ მსმენელის ნაკლებობას არ ვუჩივით და არც ხალხს ვაბრალებთ რამეს. პირიქით, ხალხი ელის ჩვენს კონცერტებს. რა თქმა უნდა, ისეთებიც არიან, ვისაც უჭირს, მაგრამ რაღაცას ახერხებენ და მოდიან. ის გაჭირვებული ორი კაპიკი უღირს ამ სიხარულად.

**ზაური:** სულ მიხაროდა, რაიონებში რომ გვქონდა კონცერტები. იქ დიდი სითბო გვხვდებოდა.

**- რა ისწავლეთ "შვიდკაცას" ხელმძღვანელისგან ისეთი, რაც აქამდე გამოგყვათ?**

- ხანდახან კრიმანჭულს ვამბობ ხოლმე და ეგ გამომყვა.

**- ამსგავსებთ მის ნამღერს?**

- რაღაცას ვამსგავსებ, თორემ ისე ვინ გამღერებს?!

**- დათო, უმცროსი "ქართული ხმების" შვილები ჯერ მხოლოდ მსმენელები არიან, ალბათ...**

- პატარა ნათლულები მყავს, ნოდარიკო და თორნიკე - ჩემს ხელში იზრდებიან. ბატონ ზაურს და გოგიას ტელევიზორში პატარაობიდანვე სცნობდნენ. ქართული სიმღერები ჩავუწერე და ახლა იმის გარეშე არ იძინებენ. დისკი რომ ჩათავდება, იღვიძებენ, ხელახლა ართვევინებენ დედას და ისევ ძილს უბრუნდებიან. ვცდილობ, აქედანვე ჩავუნერგო ქართული გუნდისა და სიმღერის სიყვარული. ბევრი რამ არის ჩვენზე დამოკიდებული. "ქართულმა ხმებმა" ბევრი ხალხი "მოწამლა" ქართული სიმღერით და პირველ რიგში, ჩვენ. ასევე უნდა გავზარდოთ ახალი თაობა და არა მხოლოდ ჩვენი მეგობრების შვილები. ეს თუ დაიკარგა, არაფერს აზრი არ ჰქონია. ხმამაღლა ნათქვამად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩვენი უპირველესი ვალია ეს სახელი - "ქართული ხმები" - გავამართლოთ.


*როცა გოგია და თავგასა იყვნენ ჩვენთან, ყველაფერს სხვა ფასი ჰქონდა.*


*მინდა ისე მიგვიღოს ხალხმა, როგორც მათ იღებდნენ.*


*დათოს ვურჩევ, ხმას მოუაროს და ბევრს მიაღწევს.*


*ბატონი ზაური ლეგენდაა.*

ლევან ხერხეულიძის ფოტოები



# აფიშა

## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ქართული ნაციონალური ბალეტის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
ფასი: 5-10 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ნოდარ დუმბაძე
"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თეატრი ათონელზე**
თამაზ მეტრეველი
"ქაჯანა"
რეჟისორი: ვ. ძიგუა
დას: 17:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთავის სახელმწიფო თეატრი
პრემიერა
ლაშა ბულაძე
"თეატრი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ალექსანდრე"
დას: 11:30; 18:30; 22:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 19:00; 22:15 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

## გამოფენები

**ქარვასლა**
ბაბი ბადალოვის ნამუშევართა გამოფენა

**ჰობი**
გამოფენა "წიგნის უხილავი პოეტიკა"

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ირაკლი ოჩიაურის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

*მოკლედ*

## თეატრალური პრემიერა

გუშინ რუსთავის სახელმწიფო თეატრის დასს სამეფო უბნის თეატრში პრემიერა ჰქონდა. სპექტაკლი "თეატრი" რეჟისორმა გიორგი თავაძემ ცნობილი დრამატურგის ლაშა ბუღაძის ნაწარმოების მიხედვით დადგა. სამეფო უბნის თეატრის რეჟისორი სპექტაკლზე რუსთავში მუშაობდა. თუმცა, საპრემიერო წარმოდგენები სამეფო უბნის თეატრში გაიმართება. ***ინტერ-პრესი***

## "აჭარა მიუზიქ ჰოლი" დროებით იხურება

გასართობი კომპლექსი "აჭარა მიუზიქ ჰოლი", სავარაუდოდ, მხოლოდ სამი-ოთხი თვით დაიხურება, განაცხადა კლუბის პრომოუტერმა გუგა ახალაძემ. მისი თქმით, კლუბი დეკემბრის მეორე ნახევარში დაიხურება, რაც სასტუმრო "აჭარაში" დაწყებულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს უკავშირდება. "კლუბს დროებით დავხურავთ და ის მუშაობას ქალაქის სხვა ადგილში განაახლებს, თუმცა სად - ჯერჯერობით გაურკვეველია" - აღნიშნა ახალაძემ.

ამჟამად აფხაზეთიდან დევნილთა ოჯახები, რომლებიც წლების განმავლობაში ამ სასტუმროში ცხოვრობდნენ, "აჭარას" ცლიან. უცხოელი ინვესტორი სასტუმროს შენობაში მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას გეგმავს. ***ინტერ-პრესი***

## პრეზენტაცია ლიტერატურულ კაფეში

გუშინ ლიტერატურულ კაფეში ახალგაზრდა პოეტის ნინო მაღრაძის ლექსების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა. სადებიუტო კრებულში - "განმიცადე", სულ 107 ლექსია შესული, მათ შორის - ძველებიც. "ლექსებს 15 წლიდან ვწერ. კრებულში შესული ძველი ლექსებით ხარკი მოვუხადე ბავშვობას" - აღნიშნა მაღრაძემ. ***ინტერ-პრესი***

# ცვლილებები ქალაქურ კულტურაში

ნინია კაკაბაძე

ორი დღის წინ საინფორმაციო გამოშვებების ერთ-ერთი პირველი ცნობა თბილისის მერიაში ჩატარებული ცვლილებები იყო. ჩვენი ყურადღების ცენტრში თბილისის საქალაქო კულტურის სამსახურის უფროსის დავით ოქიტაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება და შემდეგ მისი არდამორჩილება გახლავთ. რასაც გუშინ თბილისის მერის ორაზროვანი პასუხი დაემატა: "ახალი პრემიერი თავიდან მიიღებს გადაწყვეტილებას ყველა სამსახურის უფროსის კანდიდატურასთან დაკავშირებით". ამგვარი პასუხი ბუნებრივია იწვევს ეჭვს, რომ შესაძლებელია, დავით ოქიტაშვილი ხელმეორედ დაამტკიცონ საკუთარ "სკამზე". დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

რატომ ატყდა აჟიოტაჟი დავით ოქიტაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით? რას უკავშირდება მისი სახელი? ისევე როგორც პირადად ჩემთვის, ვფიქრობ, თბილისის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ოქიტაშვილის სახელს პირდაპირ ქართულ შოუბიზნესთან მივყავართ. მახსოვს, პირველად როდის გავიგე მისი არსებობის შესახებ და, რასაკვირველია, თანამდებობაც მაშინ მომხვდა ყურში, როდესაც ქართული ესტრადის საამური ხმები აგრესიულად დამეტაკა სხვადასხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში: სამარშრუტო ტაქსებში, მაღაზიებში, კაფეებში თუ ისე, ქუჩაში. კონცერტები "სამწუხაროდ" გამოვტოვე და ეს შეცდომა დღემდე ვერ გამოვასწორე, მაშინ შოუებიც უფრო პრესტიჟული და ხშირიც იყო. გავიდა წლები და ოქიტაშვილს აღარ მოეწონა ესტრადის ვარსკვლავები, ფონოგრამაზე მღერიანო და მათი ჩაძირვა სცადა. ახალი ფავორიტებიც გამოჩნდნენ, დღეს რომ ბატონი დავითის მხარდასაჭერ შეკრებაზე, თუ რა ვუწოდო, არ ვიცი, იაქტიურეს. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მართალი გითხრათ, არა მგონია, ოქიტაშვილის ადრინდელ და დღევანდელ ფავორიტებს შორის დიდი განსხვავება იყოს. ფაქტი ერთია, დავით ოქიტაშვილი დიდი "შოუმენია" და ეს შოუბიზნესი, რომელიც ძირითადად კონცერტების სახით ხორციელდებოდა, საკმაოდ დიდი ფული ჯდებოდა, თუ უჯდებოდა სახელმწიფოს, და კერძოდ, ქალაქის ბიუჯეტს. კონცერტები კი ერთმანეთზე უფრო მდარე ხარისხის იყო. მართალია, მის ავტორებს, დამდგმელ რეჟისორებს, პროდიუსერებს, მხატვრებს თუ მომღერლებს კარგად უხდიდნენ, მაგრამ ამბობენ, რომ საქმის მიღმაც კარგად რჩებოდა ფული, თუმცა ყველა



იური ლობოდინის ფოტო

შრომობდა. უნიჭობასაც ხომ შრომა უნდა, მარტივი შესასრულებელი არც ერთია და არც მეორე. ასეა თუ ისე, დავით ოქიტაშვილის სახელი ყველაზე მეტად სწორედ ამ "დაუვიწყარ" ჰანგებთან და ხმებთან არის კავშირში, რისთვისაც, დარწმუნებული ვარ, მას მადლიერი მსმენელიც ჰყავს და მაყურებელიც.

ამის გარდა, არის კიდევ პატარა ნიუანსები, რომელიც შესაძლებელია, დავით ოქიტაშვილის კულტურულ მოღვაწეობას დავუკავშიროთ: პატარა თეატრების, ფესტივალების და კიდევ სხვადასხვა პატარ-პატარა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეების დაფინანსება და მოგვარება. მაგრამ, არ შემიძლია ისიც არ აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი მის ადგილას, იგივეს გააკეთებდა და ამას ორი მიზეზი აქვს. პირველი: კულტურის მუშაკების მომადლიერება, ძველი, უკვე აპრობირებული და საკმაოდ მომგებიანი ხერხია. მათი მხარდაჭერა და გვერდში ყოფნა გამოუვალი მდგომარეობიდანაც კი გამოგიყვანს. ამას უხსოვარ დროში ჩაეყარა საფუძველი, ქართველმა კომუნისტებმა კი ეს ილეთი, კულტურის ხალხის მომადლიერება, პრაქტიკულად, მათი მოქმედების მთავარ სტრატეგიად აქციეს. ერთი-ორი მსახიობი, მწერალი, პოეტი და შენი ბედნიერი მომავალი გარანტირებულია. მწერლებს, პოეტებს თუ მსახიობებს კი მადლიერის მდგომარეობაში ყოფნა ხან გააზრებულად ჰქონდათ შესისხლხორცებული და ხანაც გაუაზრებლად. დაგჭირდა რამე, მოითხოვე, მოგცეს - მადლიერის სტატუსი მიწებებული გაქვს და ამის შემდეგ შენი ვალია, ადამიანს, რომელმაც მოთხოვნა დააკმაყოფილა თუ გასაჭირში ხელი გამოგიწოდა, თანადგომა გაუწიო. აქაც ორგვარი გაგება არსებობს, პირველი: პირადი პრობლემების მოგვარება არასდროს არ უნდა მოსთხოვო სახელმწიფოს, ეს იქნება ახალი ბინა ქალაქის ცენტრში, მანქანა თუ, უბრალოდ, საარსებო ფული. თუკი ფულს ვითხოვთ საკუთარი და ასევე საზოგადოებრივი საქმისთვის, ეს იქნება თეატრი, კინო, წიგნი თუ ბიბლიოთეკა, მაშინ თავს ვალდებულად ნურც ერთი ჩინოვნიკის მიმართ ნუ ვიგრძნობთ, ვინაიდან მათი ვალია, დაეხმარონ ყველა ზემოჩამოთვლილ სფეროს, ეს იქნება კულტურაში, განათლებაში, სპორტში თუ სხვა. ეს პატარა გადახვევა მთავარი თემიდან, რომელიც მათი მისამართით არის გამოთქმული, ვინც ახლა ოქიტაშვილის გამო ამ სუსხიან დღეებში თავს არ ზოგავს და მის მხარდასაჭერად შეიძლება ქუჩაშიც დადგეს.

ახლა ისევ ძველ ამბავს დავუბრუნდეთ. კულტურის მუშაკების მომადლიერების პროცესს, კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს - მაშინ, როდესაც სახელმწიფოს, ასევე სახელმწიფო მოხელეებს, "ქართული კულტურის აღორძინებისათვის" ფულს ვთხოვთ, რატომღაც ისე ხდება, რომ ჩვენი ცხოვრებაც შესამჩნევად ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება. "ქალაქური" კულტურა კი ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ დავით ოქიტაშვილის ხელში, რომელმაც მრავალ დროს და დროში განხორციელებულ ცვლილებებს გაუძლო, შესამჩნევად გალამაზებულიყო. მგონია, რომ პირიქითაც შეიძლება ითქვას - მისი არსებობის დროს, რაც ბუნებრივია, მხოლოდ მისი დამსახურება არ არის და ვერც მთლიანად ჩამოვაცილებ მის სახელს, საგრძნობლად დამახინჯდა და რეგრესისკენ წავიდა, ისედაც არც თუ ისე შესაშურ მდგომარეობაში მყოფი ქართული თუ "ქალაქური" კულტურა.

**ბოლოს წინ.** ახალი წელი ახლოვდება, რომელიც გასულ წლებშიც ნაკლებად და უკანასკნელ წელს კი, მეტად დატვირთული იყო სხვადასხვა სახის წარმოდგენებით, კონცერტებით და ასე შემდეგ. ახალი წლის ღამისათვის უკვე მომზადებული ყოფილა საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი პროგრამა, მაგრამ უეცრად პროგრამაც შეიცვალა და ავტორიც. საახალწლო ღამე კომპანია "ისთერნ ფრომოუშენს" გადასცეს. ქართველი მაყურებლის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში არ ვიცი, ვის ეკუთვნის იდეა, მაგრამ არ შეიძლება, არ დავაფასოთ ეს გადაწყვეტილება, ვინაიდან ოქიტაშვილისა და "ისთერნ ფრომოუშენის" რეპერტუარი აშკარად განსხვავდება ერთმანეთისგან და სხვაობაც ისეთია, როგორც ცასა და დედამიწას შორის. მეტი სიცხადისათვის, "ისთერნ ფრომოუშენი" აშკარად უფრო ახლოს დგას კულტურასთან, ვიდრე ოქიტაშვილის მიერ მოწყობილი შოუპროგრამები. ამიტომ, ამ ახალმა და საკმაოდ სასიხარულო ინფორმაციამ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია, რაც, ბუნებრივია, ოქიტაშვილს და იმ ადამიანებს, რომელთაც ახალი წლის ღამეს ჩვენი გართობა ჰქონდათ გადაწყვეტილი, არ გაახარებდათ, თანაც მათი პროგრამაც უკვე მზად ყოფილა თავისი ხარჯთაღრიცხვით. ეს კიდევ ერთი და სასიამოვნო ცვლილებაა, რომელიც თუნდაც ახალი წლის ღამეს, იმედი მაქვს, აგვაცილებს იმ უგემოვნობას, რომლითაც გვანებივრებენ უკანასკნელი წლების განმავლობაში.

**დაბოლოს.** დღევანდელ დღეს ზამთარი ძალიან სუსხიანი გამოდგა. ამ საკითხის გამო, რასაც კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პოსტი ჰქვია, ქუჩაში გამოსვლა რთულია, მაგრამ ის ოდნავ შეშინებული და დაბნეული ტონი, რომელიც ქალაქის მერის გამოსვლაში შეიმჩნეოდა ოქიტაშვილის მომავლის შესახებ, სრულიად გაუმართლებელია. ოქიტაშვილს, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ღირსეული, გემოვნებიანი, ჭკვიანი და კულტურული შემცვლელი სჭირდება. თუკი ზურაბ ჟვანიაბერაშვილი საკუთარი ან ნებისმიერი მაღალი ჩინოსნის მითითებით ოქიტაშვილს ძველ თანამდებობაზე დააბრუნებს (ერთ-ერთი მთავარი მმართველიც იგულისხმება აქ), მაშინ ორი ახალი და საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი გაჩნდება: ან მერი და მისი მოადგილეები, თუ ახალი პრემიერი თავადაც უღირსონი ბრძანდებიან, ან კი იმ "ავტორიტეტების" გამოჩენამ დააფრთხო, რომელნიც ოქიტაშვილს მადლიერების ნიშნად, როგორც ძველ კეთილ დროში, სოლიდარობას ხმამაღლა და პათეტიკურად უცხადებდნენ ბატონ დავითს.

# ორმაგი კითხვა

## საგამოფენო დარბაზი, როგორც ვირტუალური წიგნი

ვერა ნეფარიძე

*გუშინ გალერეა "ჰობი" მწერლებისა და მხატვრების შეხვედრის ადგილი იყო. უფრო სწორად, რამდენიმე დღის განმავლობაში ეს საგამოფენო დარბაზი დარჩება სხვადასხვა სახელოვნებო ენასა და თუნდაც, ხელოვნების დარგების შეხვედრის სივრცედ. დამთვალიერებელს კი მოუწევს, საკუთარი თავი ორმაგი კითხვის შესაძლებლობაში გამოსცადოს. ასეთია ანა მგალობლიშვილისა და დათო ბარბაქაძის საავტორო, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტი "უხილავი წიგნის პოეტიკა".*

პროექტი სამნაწილიანია. გუშინ მისი მხატვრული ნაწილის - საგამოფენო დარბაზში ვირტუალური წიგნის გათამაშების - მომსწრენი გავხდით. ამ ყველაფერს წინ უძღოდა იმ კატალოგის დაბეჭდვა, რომელიც გუშინ გამოფენაზე შეკრებილ დამთვალიერებელს ერგო.

პროექტის მიზანი, უხეშად რომ ვთქვათ, მხატვრებისა და ლიტერატორების გაერთიანებაა. უფრო კონკრეტულად, ესაა ავტორებისა და მონაწილეების მცდელობა, გულწრფელად, უპრეტენზიოდ გაუზიარონ ერთმანეთს მხატვრული და სულიერი გამოცდილება; ყველაფერი, რაც დაგროვდა მხატვრული ფორმების, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ხელოვნების ნოვატორული მიღწევების საცავში. მიზეზი მეტად მარტივია. ანუ, როგორც პროექტის ავტორები ხსნიან: "ევროპულ და ამერიკულ ხელოვნებაში, ხელოვნების კრიტიკაში უკვე ჩაცხრა კამათი პოსტმოდერნისტული ესთეტიკის გარშემო და ნელ-



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დამთვალიერებელი "უხილავი წიგნის პოეტიკაზე".*

ნელა იკვეთება დებატები პოსტპოსტმოდერნისტულ ტენდენციებზე. თვალშისაცემია, რომ ხელოვნებაში ძლიერდება და წამყვან ადგილს იკავებს უამრავ სახელოვნებო ენასა და თუნდაც დარგს შორის შეხვედრის ხელოვნება. ასეთი მცდელობები ყოველთვის ეძებს იმ ადგილის ფარულ პოეტიკას, სადაც მსგავსი შეხვედრები ხდება". რა ხდებოდა გუშინ გალერეა "ჰობიში"?

გალერეის ორივე დარბაზი სავსე იყო მოზრდილი ტილოებით. პროექტში ხუთმა მხატვარმა (ოლეგ ტიმჩენკო, ლევან ჭოლოშვილი, ანა მგალობლიშვილი, კახა დემურაძე, გოგა ჯაფარიძე) მიიღო მონაწილეობა. მათი ნამუშევრების გვერდით წარმოდგენილია ლიტერატურული ნიმუშები აკა მორჩილაძის, ზურაბ ქარუმიძისა და დათო ბარბაქაძის შემოქმედებიდან. ექსპონატები სხვადასხვა დროსაა შექმნილი. ექსპოზიციაში შეტანილია როგორც ცალკეული ტილოები, ისე სერიები (მაგალითად, ლევან ჭოლოშვილის "განადგურებული ქართული არისტოკრატია"); ასევე, როგორც ნაწყვეტები პროზაული თუ პოეტური ტექსტებიდან, ისე სრული ნაწარმოებები. ყოველ ტილოს თან ახლავს ერთი ლიტერატურული ქმნილება, როგორც ურთიერთწაკითხვის მცდელობა. დამთვალიერებელმა, უბრალოდ, ნახატი და ნაწერი სინქრონულად უნდა წაიკითხოს. მთელი ეს პროცესი - საგამომცემლო ნაწილით დაწყებული და საგამოფენო სივრცეში გათამაშებული ვირტუალური წიგნით გაგრძელებული, - ავტორებისთვის მთელი პერფორმანსია; პერფორმანსი, რომელიც "გრძელდება ხილული პერფორმანსის დასრულების" შემდეგაც.

ერთი სიტყვით, გალერეა "ჰობიში" პროექტის მხატვრული ნაწილის ნახვა ღირს. მით უმეტეს, რომ ის ევროპულ და ამერიკულ ხელოვნებაში ახლახან დაწყებულ დებატებს ეხმიანება.

# კომპიუტერული ანალიზი და „ვინ ხარ შენ"

## ნოვაცია, რომელიც ხელოვნებასა და მეცნიერებას აკავშირებს

ზოგი კომპიუტერი ისეთი ჭკვიანია, რომ ჭადრაკის ჩემპიონებსაც კი უგებს საჭადრაკო პარტიებს. ზოგი - მუსიკას წერს, ზოგს კი ისე აპროგრამებენ, რომ შემდეგ თერაპევტად "მუშაობაც" შეუძლიათ.

ამ მიღწევების შემდეგ კი, ალბათ, უბრალოდ, დროის ამბავი იყო, რომ ვიღაცას შეექმნა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მსოფლიოში ცნობილ ხელოვნებათმცოდნეებსა და ექსპერტებს გაეჯიბრებოდა ცოდნაში. ანუ, უშეცდომოდ გაარჩევდა მხატვრობის ორიგინალ ტილოებს თვით მაღალი დონის ყალბი ნამუშევრებისგანაც კი.

ეს კი, ყველა დაგვეთანხმება, საკმაოდ რთული მისიაა. რადგან ხელოვნება, როცა შემოწმებასა და იდენტიფიცირებაზე მიდგება საქმე, უმალ მეცნიერებას ემსგავსება.

თუმცა, როგორც არ უნდა იყოს საქმე, ფაქტია, რომ მსგავსი პროგრამა უკვე არსებობს. ის დერმაუთის კოლეჯის ჯგუფმა შექმნა. ექსპერტები კი ფრიად დაბნეულები ჩანან, რადგან კომპიუტერმა მათ თვალწინ შეძლო იტალიური რენესანსის დროინდელი ძვირფასი ტილოების ავტორების დასახელება. ეს კი მთლად დიდი რევოლუცია თუ არა, დიდი ნოვაცია მაინც არის. ნოვაცია, რომელიც კომპიუტერულ ანალიზსა და მხატვრობას უკვე საბოლოოდ უკავშირებს ერთმანეთს.

"ჩვენ ბევრის პრეტენზია არ გვაქვს. არ ვაპირებთ გამოვიდეთ და მხატვრობაში მიმდინარე ყველა დავისა და უთანხმოების გადაჭრას ვეცადოთ. ჩვენს პროგრამას უფრო დამხმარეს კვალიფიკაცია ექნება. ვეცდებით ხელოვნებათმცოდნეებს შორის გამართულ დიალოგში ჩავერთოთ და საკითხის გადაჭრაში დავეხმაროთ მათ", - აცხადებს კომპიუტერების პროგრამისტი და მეცნიერი ჰენი ფარიდი.

ფარიდის ჯგუფის მიერ შექმნილი ნოვატორული მეთოდი გამოთვლითი სფეროდან არის, რომელიც ტალღური სტატისტიკის სახელით არის ცნობილი. ის მათემატიკურ საშუალებებს გამოსახულების შრეობრივი ანალიზისა და გაშიფვრისთვის იყენებს.

მოკლედ, ამ პროგრამის თავი და თავი ეს ტალღური სტატისტიკის მეთოდია. მისი საშუალებით დიდი კომპიუტერული მეხსიერების დაუკავებლად ამა თუ იმ გამოსახულების ციფრული შენახვა ხდება. ცხადია, ეს იმიჯის კომპრესირების ხარჯზე ხორციელდება. ტალღური სტატისტიკის მეთოდის მთავარი პლუსი კი ის არის, რაზეც ოდნავ ზევით მოგახსენებდით. ის კომპიუტერულ პროგრამას ანიჭებს უნარს, გრაფიკული ელემენტი ყველა დონეზე ერთბაშად და ერთნაირი ხარისხით შეაფასოს. ამის გამო კი, პროგრამა ხელოვნების ნიმუშების იდენტიფიცირებისთვის სრულიად ვარგისი ხდება.

უფრო კონკრეტულად: პროგრამა უპრობლემოდ აღიქვამს დიდ გამოსახულებებს, მაგალითად, ისეთს, როგორიც თეთრ ქაღალდზე მუქი ფერის ფანქრის გასმის შემდეგ რჩება. და ასევე უპრობლემოდ აღიქვამს შეუიარაღებელი თვალისთვის საერთოდ შეუმჩნეველ ჩრდილებსა და ლაქებსაც; მაგალითად ისეთს, როგორსაც მხატვრის ფუნჯის ერთი განზე გაწეული ბეწვი დატოვებდა ტილოზე. არადა, სწორედ ასეთი შრეებისა და გამოსახულებების ერთობლიობა ქმნის ამა თუ იმ მხატვრის უნიკალურ სტილს და თუ ამ ერთობლიობის ცალ-ცალკე გაშიფვრა და აღქმა ხდება, მაშინ ავტორის დადგენასაც წინ არაფერი უდგას.



*ადრეული რენესანსის მხატვრის პერუჯინოს ცნობილი ტილო კომპიუტერული განსჯის ობიექტი გახდა.*

ყველაფერი კი შედარებით მარტივად დაიწყო. ჰენი ფარიდმა ტალღური სტატისტიკის მეთოდი თავიდან ციფრულ ფოტოებზე გამოსცადა და იმის დადგენას შეუდგა, ესა თუ ის ორიგინალი ფოტო შეცვლილი იყო თუ არა ისეთი ფართოდ გამოყენებადი კომპიუტერული პროგრამებით, როგორიც იგივე "ფოტოშოპია".

შემდეგ ის თავის კოლეგასთან, ასევე მეცნიერ დენიელ როკმორთან ერთად ნიუ იორკში, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში მოხვდა და დაათვალიერა ერთი საინტერესო გამოფენა, რომელმაც მას ახალი იდეები შთააგონა. საუბარია მე-16 საუკუნის ფლანდრიელი მხატვრის, პიტერ ბრეიგელი უფროსის გამოფენაზე. უფრო სწორად იმ გრავიურების ექსპოზიციაზე, რომელიც წინათ ექსპერტებსი ბრეიგელის ეგონათ, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ამ მიმბაძველთა ნამუშევრები იყო, ან უფრო სერიოზულად - წინასწარ განზრახული, ხელოვნებათმცოდნეების შეცდომაში შესაყვანად გაკეთებული ყალბი ნახატები.

"სწორედ მაშინ ვიფიქრეთ, რა კარგი იქნებოდა ჩვენი ტალღური სტატისტიკის მეთოდის მორგება ნახატებსა და გრავიურებზე რომ შეიძლებოდეს", - იხსენებს ფარიდი.

მუშაობაც გააჩაღეს. ფარიდის ჯგუფმა შეიმუშავა და ჩამოაყალიბა ტალღური სტატისტიკის მეთოდის მთელი რიგი ფუნქციები, რომელთა გამოყენებაც მხატვრული ტექნიკის და სტილის უმცირესი განსხვავებების გამოსავლენად გამოდგებოდა. ცხადია, ექსპერიმენტები ისედაც ცდის ქვეშ მრავალგზის მოხვედრილ ბრიუგელზე ტარდებოდა. "იდეა ასეთი იყო: უნდა გვეპოვნა ის პატარა, წვრილმანი ზადი, რომელიც აუცილებლად ჩნდება ხოლმე, როცა ვინმე სხვისი ნამუშევრის გადახატვას ცდილობს", - განმარტავს მეცნიერი და იქვე დასძენს: "გაიხსენეთ თუნდაც ბავშვობა, როცა მშობლების ხელმოწერის იმიტაციას ვცდილობდით ხოლმე. ეს ხომ სრულყოფილად არასდროს გამოგვდიოდა". თუმცა, ფაქტია, ფარიდის და მისი ჯგუფის მიერ შექმნილი პროგრამა ზემოთ ხსენებულ ზადს გაცილებით უფრო კომპლექსურ დონეზე ამჩნევს.

დანარჩენი უკვე თავისით მოვიდა.

ფარიდმა ახლად შექმნილი პროგრამა ბრეიგელის რვა ორიგინალ ნამუშევარსა და ხუთ ცნობილ იმიტაციაზე გამოსცადა. პროგრამამ უპრობლემოდ გაარკვია, რომელი იყო ყალბი და რომელი ნამდვილი. ცდის შედეგების შესახებ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის 21 ნოემბრის დამატებაში გამოქვეყნდა.

შემდეგ კი ფარიდის ჯგუფმა მისია საკუთარი სურვილითვე გაირთულა და პროგრამა უფრო რთულად დასადგენ ტილოზე გამოსცადა. საუბარია ადრეული იტალიური რენესანსის მხატვრის პიეტრო პერუჯინოს დიდ ტილოზე - "მადონა და ყრმა წმინდანებით" - პიგმენტებისა და ფუნჯის მოსმის მხრივ ძალიან კომპლექსური აგებულების, საკმაოდ მრავალშრიან ნაწარმოებზე.

დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ამ დიდ ტილოზე რამდენიმე მხატვრის ხელი შეიმჩნევა - როგორც იმ ხანად სჩვეოდათ ხოლმე; და რომ თვითონ მადონას გამოსახულება მხოლოდ პერუჯინოს მიერაა შექმნილი.

რა დაადგინა ახალმა პროგრამამ? ტალღური სტატისტიკის მეთოდის წყალობით გაირკვა, რომ ტილოზე ექვსი სახიდან სამი ერთი და იგივე ავტორის შექმნილია: თვითონ მადონა და ორი წმინდანი მის მარჯვნივ. დანარჩენი სამი გამოსახულება კი სამი სხვადასხვა მხატვრის ხელს ეკუთვნის.

როგორც მოსალოდნელი იყო, აქ საქმე გართულდა. ნიუ იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმის კურატორი ლორენს კანტერი კომპიუტერის დასკვნებს აპროტესტებს და აცხადებს, რომ პერუჯინოს სახელი შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ მადონას, ყრმას და მის მარჯვნივ მდგომ მეორე წმინდანს. მეტიც, კანტერის თქმით, მარცხნივ მდგომი წმინდანი გაცილებით უფრო კარგი მხატვრის მიერ უნდა იყოს დახატული, ვიდრე პერუჯინოა. "პერუჯინოს არც ერთი სხვა ნაწარმოები არ მინახავს, რომელზეც ასეთი სრულყოფილი მიდგომა და ხედვა იგრძნობა. ნამდვილად არ მინდა კომპიუტერულ პროგრამასთან ვიჭიდაო, მაგრამ ერთი მითხარით, რას მიმტკიცებთ, საერთოდ?" - ცხარობს კიდეც ექსპერტი და აცხადებს, რომ ხსენებული გამოსახულება, მისი აზრით, რაფაელს ეკუთვნის, რომელიც იმ დროს პერუჯინოს შეგირდი იყო.

ცხადია, კანტერის აზრს ყველა არ იზიარებს. დერმაუთის ხელოვნების მუზეუმის ექსპერტი (სწორედ იქ ინახება ამჟამად "მადონა და ყრმა") სრულიად ეთანხმება კომპიუტერული პროგრამის შედეგებს.

თავად ავტორები კი აცხადებენ: "ეს უკვე ჩვენი საქმე აღარ არის. თანაც, ჩვენი გამოგონება ხომ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ცხადია, მას სკეპტიკურად უნდა მივუდგეთ".

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გამოგონებამ უკვე აალაპარაკა ხელოვნების სამყარო. მისგან ახლებურად მოაზროვნე ხელოვნებათმცოდნეები საკმაოდ ბევრს ელიან.


ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?

მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
4 დაბადების თარიღი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
2 მისამართი
5 სკოლა
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
6 კლასი
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომერი


სამსონ ლეჟავას სვეტი

# კოლხური ოდა-სახლები სოფლად, რაჭაში



მართალია, ჩვენი საუბრები ამჟამად შეეხება ტრადიციულ თბილისურ ხუროთმოძღვრებას, მაგრამ შესაძლებლად ჩავთვალეთ მცირე პაუზა - ერთგვარი ჩანართის სახით გთავაზობთ საუბარს ოდა-სახლზე, რომელიც ქართული საცხოვრებელი არქიტექტურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მონაპოვარია.

საქმე ისაა, რომ ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" თანადგომის წყალობით, რაჭაში სათანადო ექსპედიციის მოწყობის შესაძლებლობა მოგვეცა. სწორედ ამ ექსპედიციის პირველი ეტაპის შთაბეჭდილებებს გაგიზიარებთ.

რაჭა ყოველთვის ულამაზესია, მაგრამ ზამთარში ეს სილამაზე კიდევ სხვაგვარად ჩანს. გრანდიოზული, უცნაურად "რბილად" ძალამოსილი, სიღონივრითა და ღრმად შეფარული ენერგიით ბოლომდე აღვსილი მთები გატყვევებთ თავისი გარინდული სიდიადით, ხოლო როდესაც იქ "რაჭულად" უზარმაზარი ფანტელების ბარდნას აკვირდებით (რის შედეგადაც სულ მალე მთელი მიდამო თოვლის თეთრი სინათლით განსხივოსნდება და ყოველივე ერთიანი, სპეტაკი სამოსელით გადაიფარება), მთელი არსებით შეიგრძნობთ, რომ ასეთ დროს გარემოს ენით გამოუხატველი მდუმარების ექსპრესია მსჭვალავს. მხოლოდ შორი გადაძახილი, ანდა მარტოხელა ძაღლის თვითგამამხნევებელი შეყეფა თუ დაურღვევს ხოლმე მყუდროებას სიჩუმის დიად სამეფოს. თუმცაღა, საბუხრეებიდან ამომავალი კვამლი უტყუარად გვამცნობს სახლებს შიგნით მიმდინარე ცხოვრების მთელ ინტენსივობას...

მე და ჩემს მეგობარს, არქიტექტორ კაცია გიორგობიანს კეთილი მასპინძლობა გაგვიწია ჭრებალოში ბუჭა გაგიშვილისა და რუსუდან გორდეზიანის შესანიშნავმა ოჯახმა - ტრადიციულად შემზადებული ლორი, ლობიანი, თავად ოჯახისავე საუკეთესო ღვინო, ბევრი სხვა რამ არ მოგვკლებია... საერთოდ, შეუძლებელია არ აღინიშნოს იქაურთა განსაკუთრებული კაცთმოყვარეობა, უდიდესი სითბო, მოყვასსზე ზრუნვის შინაგანი მოთხოვნილება. თუკი მცირე, ანდა უფრო სერიოზული პრობლემა შეგექმნება, მოხუცი თუ ახალგაზრდა აუცილებლად იქვე გაჩნდება, ყურადღებას არ მოგაკლებს, გაგიმასპინძლდება, ოჯახში თუ კარ-მიდამოს წინ დაგლოცავს, სასიკეთო ძალებით აღგავსებს...

რაჭა ოდითგანვე ხის ხუროთმოძღვრების მძლავრი კერა იყო. მთელი კავკასიის მასშტაბით რაჭველი ოსტატები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ზოგადკოლხური (ილია ადამია) ოდა-სახლის მთელ საქართველოში (მათ შორის კი აფხაზეთში) ფართოდ გავრცობა ხომ, დიდ წილად, ჩვენს თანამოძმე ლაზებთან ერთად, რაღა თქმა უნდა, რაჭველთა უდიდესი დამსახურებაა. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ეს იყო ქართული კულტურის ერთიანობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი გამოხატულება: შემუშავდა ყოველი სტრატისთვის საზიარო, სრულქმნილი საცხოვრისის ჩამოყალიბებული სახე - თავისი ჩამოქნილი, სატაძრო არქიტექტურის მონათესავე ტექტონიკით, მორთულობით სისტემათა თავდაჭერილი სიმდიდრით; ასევე XX საუკუნის არქიტექტურულ ნოვაციათა საკუთარი ვერსიის მიგნებით (მაგ. მობილური გეგმარება); თავის მხრივ, კი, ტრადიციულ სამეურნეო კულტურასთან შესისხლხორცებულობით - მართლაც, "აგრიკულტურის" სამყაროდან (ჯულიეტა რუხაძე) მომდინარე ნაგებობანი, "ორლობეთა სატრიუმფო თაღებისებრი" ჭიშკრები და ოდა-სახლი ხომ ერთიანი მსოფლგანცდა-მსოფლხატის გამოვლენაა! ამასთან, ოდაში შემოდის კომფორტულობის ის დოზა, რაც ნათლად მეტყველებს საქალაქო კულტურასთან, "ევროპულობასთან" დიალოგზე. ის ტრადიციულიცაა და ახალ "გამოწვევათადმი" სავსებით ადეკვატური პასუხის გამცემიც...

წინა საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ჩათვლით, რაჭაში ოდა-სახლის მშენებლობა ცოცხალი ტრადიცია იყო. ჩვენ დავაფიქსირეთ არა მხოლოდ რევოლუციამდელი ბრწყინვალე ნიმუშები, არამედ, მაგალითად, 1937 წელს აგებული მშვენიერი სახლი, რომლის აღმშენებელნიც, სამწუხაროდ, ქერჩის საშინელ ტრაგედიას შეეწირავს მეორე მსოფლიო ომის დროს.

ჩემს ბავშვობაშიც (XX საუკუნის სამოციან წლებში), მაგალითად, რაჭის სოფელ ღადიშის საშუალო სკოლას ჯერაც თავისი დამოუკიდებელი მეურნეობა ჰქონდა, კუთხე ძლიერი იყო. დასავიწყებელი როდია, რომ რაჭა სასაზღვრო ზონაა და ხელისუფლებამ ბოლომდე უნდა გაითავისოს, რომ იქაურობის გაძლიერება ქვეყნისთვის, უბრალოდ, სტრატეგიულია. არა მხოლოდ მევენახეობის და მესაქონლეობის, არამედ ეკოტურიზმის თვალსაზრისით რაჭას აქვს ძალიან დიდი პერსპექტივა...

სოფელ სორში, ერთ-ერთი ჩინებული სახლის აზომვა-ფოტოგრაფირებისას, მტკივნეული განცდა დამეუფლა: ძველებურ, საკმაოდ მოზრდილ, ბუხრებიან, ცარიელ ინტერიერში შემორჩენილიყო ასევე ძველთაძველი ფოტოსურათები, რომელნიც ერთმანეთს "უმზერენ" და თითქოსდა მუდმივ, უტყვ ურთიერთობაში შედიან მიტოვებულ შენობაში, ხოლო როცა შემოდგომის ქარი უეცრად დაუბერავს, და უზარმაზარი აივნის "იალქნისებრ" ტრანსპარანტულ ჩუქურთმასთან შეხებისას ოდნავი ზუზუნი გაისმება, ამ ფოტოთა მარადიული "ბინადარნი", ალბათ, გარემოს ამ იდუმალ ხმებსაც მიაყურადებენ ხოლმე... და სწორედ ამ კონტექსტში გამახსენდა მეტად ორიგინალური მხატვრის, ამერიკელი აივან ოლბრაიტის შთამბეჭდავი სურათები - ესაა ჟამით ღრმად დაღდასმული და ადამიანისეული ხელქმნილობით გამორჩეული, "გარდასული", თითქოსდა მარგინალურად ქცეული, მაგრამ მით უფრო ღრმად მიმზიდავი - საგანთსამყარო...

ფეხბურთი

# "ვალენსია" დიდი აურზაურით დაემშვიდობა

როდესაც საფეხბურთო ტურნირს "ვალენსიას" დარი ტრადიციების გუნდი ეთიშება ცოტა დასანანია, მაგრამ "ვერდერის" წინააღმდეგ გუშინდელ მატჩში ესპანელთა ქმედებას თუ გავიხსენებთ, "ვალენსიას" ადგილი უფრო ზოოპარკშია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში.

"ვალენსია" და "ვერდერი" G ჯგუფში მეორე ადგილისათვის ეცილებოდნენ ერთმანეთს. მერვედფინალის საგზურის მოსაპოვებლად ბრემენელებს ფრეც აწყობდათ, "ვალენსიას" კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, კლაუდიო რანიერიმ მის ხელთ არსებული თავდამსხმელების გამოყენება არ ისურვა. იტალიელმა მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დატოვა დი ვაიო, კორადი და ვისენტე. მასპინძლები შეტევაში თამაშს ცდილობდნენ, თუმცა მოედანზე მყოფი ფეხბურთელების შემტევი პოტენციალი "ვერდერის" კართან რეალური სახიფათო მომენტების შექმნის საშუალებას ნამდვილად არ იძლეოდა. ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ეს ბრემენელებს სურდათ. მატჩის 61-ე წუთამდე რანიერი შეცვლის გაკეთებას ვერ ბედავდა, შემდეგ კი ერთბაშად სამი ახალი ფეხბურთელი შეიყვანა მოედანზე, სწორედ ჩვენს მიერ ნახსენები დი ვაიო, კორადი და ვისენტე. ერთბაშად სამი თავდამსხმელის დამატებამ "ვალენსიას" თამაში აშკარად გამოაცოცხლა. მოედანზე შესვლისთანავე დი ვაიომ შორი მანძილიდან დაურტყა რაინკეს და ბურთი ძელს მოარტყა. "ვალენსიელთა" სამწუხაროდ, ცვლილება თომას შააფმაც განახორციელა. ანგელოს ხარიოსტეასის ნაცვლად მოედანზე ვალდესი შეიყვანა. ეს ცვლილება მასპინძელთათვის საბედისწერო აღმოჩნდა - თამაშში ჩართვიდან ორ წუთში, ვალდესმა ანგარიში გახსნა. პარტნიორის ზუსტი პასის წყალობით, ვალდესი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, ამ უკანასკნელს კი კანისარესის ჩამოშორება და ბურთის კარში გაგზავნა არ გასჭირვებია - 0:1. ეს 83-ე წუთზე მოხდა. მატჩის ბედის გადასაწყვეტად "ვალენსიას" მხოლოდ შვიდი წუთი რჩებოდა, რაც თითქმის არარეალური იყო. მოვლენების ასეთმა განვითარებამ მასპინძლები აშკარად გამოიყვანა მწყობრიდან. ესპანელები ხშირად უხეშობდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ღებულობდნენ ყვითელ ბარათებს. 90-ე წუთზე კი იგივე ვალდესი სასწაულებრივ გადაურჩა ფეხის მომტვრევას, როდესაც ის მიგელ ანხელ ანგულომ მოცელა, თანაც გამიზნულად. ანდერს ფრისკმა, რომელიც ამ მატჩს მსაჯობდა, ანგულო მოედნიდან გააძევა - სავსებით სამართლიანად. თავად ანგულო კი არც წითელი ბარათის მიღების შემდეგ დაწყნარდა და რომელიღაც ბრემენელს გვარიანად შეაფურთხა. ამ ეპიზოდში მოედანზე დიდი აურზაური ხდებოდა. იყო ერთი გაქაჩვა-გამოქაჩვა. ბოლოს ფრისკმა მაინც შეძლო ფეხბურთელების დაშოშმინება და თამაშის განახლება. მეორე დამატებული წუთი მიდიოდა, როდესაც "ვალენსიას" ამღვრეულმა დაცვამ კვლავ მარტოდ დატოვა ვალდესი და მანაც მეორე გოლი გაუტანა კანისარესს - 0:2. ასე და ამრიგად, მერვედფინალში ბრემენის "ვერდერი" გავიდა, დამსახურებულად.



"ვალენსია" ვალდესმა დაღუპა

| | | |
|---|---|---|
| არსენალი - როზენბორგი | | 5:1 |
| პანათინაიკოსი - ეინდჰოვენი | | 4:1 |

| E | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 6 | 2 | 4 | 0 | 11-6 | 10 |
| ეინდჰოვენი | 6 | 3 | 1 | 2 | 6-7 | 10 |
| პანათინაიკოსი | 6 | 2 | 3 | 1 | 11-8 | 9 |
| როზენბორგი | 6 | 0 | 2 | 4 | 6-13 | 2 |

| | | |
|---|---|---|
| შახტიორი - ბარსელონა | | 2:0 |
| სელტიკი - მილანი | | 0:0 |

| F | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-3 | 12 |
| ბარსელონა | 6 | 3 | 1 | 2 | 9-6 | 10 |
| შახტიორი | 6 | 2 | 0 | 4 | 5-9 | 4 |
| სელტიკი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-10 | 3 |

| | | |
|---|---|---|
| ვალენსია - ვერდერი | | 0:2 |
| ინტერი - ანდერლეხტი | | 3:0 |

| G | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-3 | 14 |
| ვერდერი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 13 |
| ვალენსია | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| ანდერლეხტი | 6 | 0 | 0 | 6 | 4-17 | 0 |

| | | |
|---|---|---|
| პსჟ - ცსკა | | 1:3 |
| პორტო - ჩელსი | | 2:1 |

| H | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-3 | 13 |
| პორტო | 6 | 2 | 2 | 2 | 4-6 | 8 |
| ცსკა | 6 | 2 | 1 | 3 | 5-5 | 7 |
| პსჟ | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |

G ჯგუფის მეორე შეხვედრაში პირველ ადგილზე მყოფი "ინტერი" აუტსაიდერ "ანდერლეხტს" მასპინძლობდა. ბელგიელები ისევ დამარცხდნენ და ჩემპიონთა ლიგას ნული ქულით დაემშვიდობნენ. "ინტერმა" ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, 3:0 მოიგო და ჯგუფის გამარჯვებულიც გახდა.

გუშინდელ საღამომდე დიდი გაურკვევლობა სუფევდა H ჯგუფში, სადაც მერვედფინალის საგზური მხოლოდ ლონდონის "ჩელსის" ჰქონდა გარანტირებული, ხოლო მეორე ვაკანტური ადგილის დაკავების შანსი სამივე დანარჩენ გუნდს ჰქონდა. "პარი სენ ჟერმენმა" საკუთარ სტადიონზე თამაშის უპირატესობა ვერ გამოიყენა და მოსკოვის "აცსკ"-თან 1:3 დამარცხდა. არმიის ცენტრალურ კლუბს მერვედფინალში გასვლის რეალური შანსი ჰქონდა: თავად პარიზში იმარჯვებდა, უშუალო კონკურენტი "პორტო" კი საკუთარ სტადიონზე მარცხდებოდა "ჩელსისთან". მიუხედავად ამისა, ჩემპიონთა ლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხა და ბენი მაკარტის მიერ გატანილი გოლის წყალობით ლონდონელების დამარცხებაც შეძლო. "პორტომ" 2:1 მოიგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

E ჯგუფში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ლონდონის "არსენალმა" თავისი შანსი 100 პროცენტით გამოიყენა, "როსენბორგი" ანგარიშით 5:1 გაანადგურა და მერვედფინალშიც გავიდა. აქამდე პირველ ადგილზე მყოფი "ეინდჰოვენი" ათენში 1:4 დამარცხდა "პანათინაიკოსთან" და ბურთების უარესი შეფარდების გამო, "არსენალისათვის" პირველი ადგილის დათმობა მოუწია. "პანათინაიკოსი" კი უეფა-ს თასზე გააგრძელებს ასპარეზობას.

F ჯგუფში სატურნირო მდგომარეობის მხრივ მოულოდნელი და სენსაციური ვერაფერი მოხდებოდა, "ბარსელონას" და "მილანს" უკვე განარდებული ჰქონდათ მერვედფინალის საგზურები. თუმცა, "მიკრო სიურპრიზი" მაინც იყო, რომ "ბარსელონამ" 0:2 წააგო "შახტიორთან". კატალონიელები არც თუ ისე დიდად მოტივირებულები იყვნენ, თუმცა გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადანაცვლების შანსი ჰქონდათ და მათ ეს შანსი ხელიდან გაუშვეს. F ჯგუფში "მილანმა" გაიმარჯვა, რომელმაც გუშინ ფრედ ითამაშა "სელტიკთან" - 0:0.

# პფლ-ი ახალ გადაწყვეტილებებს იღებს

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი უკვე მეორეა, რომელსაც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა (პფლ) ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ჯერ კიდევ უამრავი მოუგვარებელი პრობლემაა, პროგრესი აშკარად იგრძნობა. შედარებით ამაღლდა მსაჯობის დონე, დისციპლინაც უფრო იგრძნობა, ბოლოს და ბოლოს, თავად ფეხბურთის ხარისხიც მატულობს. ცხადია, ყველაფერი ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც ქართველი გულშემატკივარი ელის ეროვნული ჩემპიონატისგან. თვითკმაყოფილებას არც თავად პფლ-ი გამოხატავს. ამიტომაც არის, რომ ლიგა გამუდმებით ცდილობს თავად ორგანიზაციისა და ეროვნული ჩემპიონატისთვის ოპტიმალური სტრუქტურების ჩამოყალიბებას. რეგულარულად მიმდინარეობს მუშაობა უხარისხო მოედნების პრობლემის მოსაგვარებლად. ხელი ეწყობა ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციასაც, რათა სტადიონზე როგორმე დაბრუნდეს გულშემატკივარი.

რამდენიმე ასეთი საკითხი პფლ-ის გუშინდელ კონფერენციაზეც იქნა განხილული. ქუთაისის "ტორპედოსა" და "ზესტაფონის" გარდა, კონფერენციას საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის წარმომადგენელი ესწრებოდა, პლუს თბილისის "დინამო". აქვე გეტყვით იმასაც, რომ "დინამო" აქამდე მხოლოდ ასოცირებული წევრი იყო და არა პფლ-ის ოფიციალური წევრი კლუბი. გაწევრიანება სწორედ გუშინდელ კონფერენციაზე მოხდა. ეს სიურპრიზი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ლიგაში გაწევრიანების სურვილი "დინამომ" კარგა ხნის წინათ გამოთქვა. ერთმანეთს შეხვდნენ კლუბის მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი და პფლ-ის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი. მათ თანამშრომლობის ყველა დეტალი განიხილეს. აქედან გამომდინარე, "დინამო" სწრაფად, ყოველგვარი ზედმეტი კითხვა-პასუხის გარეშე გაწევრიანდა პფლ-ში.

www.pfl.ge

განსახილველ საკითხებს შორის იყო ლიგის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, კერძოდ, გამგეობის შექმნა. აქამდე პფლ-ის უმაღლეს ინსტანციად მისი საკოორდინაციო საბჭო ითვლებოდა. ამიერიდან მას შეცვლის გამგეობა. ასეთი ცვლილება ორგანიზაციის უფრო მოქნილი, მობილური მართვის სურვილით იყო ნაკარნახევი. გამგეობას მხოლოდ ხუთი წევრი ეყოლება. მათ შორის ერთ-ერთი პფლ-ის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი იქნება, დანარჩენი ოთხი კი საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლები: ასტამურ აჩბა ბათუმის "დინამოდან", მალხაზ კაკაურიძე "ვიტ ჯორჯიადან", ლევან ყიფიანი "ლოკომოტივიდან" და კახა ჭუმბურიძე თბილისის "დინამოდან". პფლ-ის წევრი კლუბების მხრიდან გაისმა კითხვა, თუ რა კრიტერიუმით შეარჩიეს გამგეობის წევრები, რატომ არის გამგეობაში წარმოდგენილი ესა და თუ ის კლუბი და არა სხვა. თუმცა, კამათი სწრაფად დასრულდა, თანაც, კონსენსუსით, რადგან ლიგის ხელმძღვანელობის არგუმენტები ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა. პფლ-ის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გამგეობა მობილური მექანიზმი უნდა იყოს. მისი სხდომის გამართვას არ უნდა სჭირდებოდეს ხანგრძლივი ორგანიზაცია. გამგეობის წევრებმა ნებისმიერ საკითხზე სწრაფად უნდა შეძლონ შეკრება, რათა რეაგირება და საჭირო გადაწყვეტილებების მიღება არ დაგვიანდეს. აქედან გამომდინარე, პფლ-მ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ დასავლეთის რეგიონის გამგეობაში სწორედ ასტამურ აჩბა უნდა წარმოადგენდეს, რომელიც, ძირითადად, თბილისშია და სხდომაზე ჩამოსასვლელად 6-საათიანი მგზავრობა არ დასჭირდება.

გამგეობა მოამზადებს ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრისთვის საჭირო საკითხებს. როგორც ცნობილია, ახლო მომავალში უნდა შედგეს შეხვედრა პფლ-სა და მთავრობას შორის, რომელზეც ხელისუფლება ფეხბურთის ხელშეწყობის შესახებ ისაუბრებს. ამ შეხვედრაზე, ალბათ, “ლოკომოტივის” სტადიონის მოსალოდნელ გაყიდვაზეც იქნება საუბარი, რაც, ცხადია, პფლ-ის შეშფოთებას იწვევს.

კონფერენციაზე მწვრთნელების მხრიდან მსაჯების საჯარო კრიტიკის საკითხიც იდგა დღის წესრიგში. ეროვნულ ჩემპიონატში დასაქმებული მწვრთნელები ბოლო დროს ხშირად აკრიტიკებენ მსაჯებს და მათ მიკერძოებაში სდებენ ბრალს. თუმცა, ხშირად მწვრთნელების ბრალდება უსაფუძვლო და უსამართლოა. ყოფილა შემთხვევა, ტელევიზიით გამოსვლისას მწვრთნელს მსაჯი თავისი გუნდის დაჩაგვრაში დაუდანაშაულებია. მატჩის ვიდეოჩანაწერის დეტალური განხილვის შემდეგ კი აღმოჩენილა, რომ მსაჯი სრულიად მართალი იყო. გუნდების მხრიდან მსაჯობის საჯარო კრიტიკა საზოგადოებრივი აზრის, სამწუხაროდ, ნეგატიური აზრის შექმნას უწყობს ხელს. კონფერენციაზე გადაწყდა, რომ ამიერიდან მსაჯების საჯარო კრიტიკა აიკრძალება. სანაცვლოდ გუნდების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ, თავიანთი პრეტენზიები, მატჩამდე თუ მის შემდეგ, პფლ-ში განაცხადონ. თუ ამა თუ იმ გუნდს მომავალი მატჩის არბიტრის მიმართ რაიმე პრეტენზია აქვს, მას თავისუფლად შეუძლია, მიმართოს პფლ-ის ხელმძღვანელობას. თუ პრეტენზია საფუძვლიანი იქნება, პფლ-ი შესაბამის ზომებს მიიღებს (თვით მსაჯის შეცვლამდეც კი). თუ არა და, ყველაფერი ზედმეტი ხმაურისა და ლანძღვა-გინების გარეშე მოგვარდება.

ცხადია, კონფერენცია გვერდს ვერ აუვლიდა თბილისის "დინამოსა" და ათენის "პანიონისის" მატჩის ირგვლივ ატეხილ სკანდალს. პფლ თავისი წევრი კლუბის ღირსების დაცვას აპირებს - უეფა-ში წერილის გაგზავნას გეგმავს. ეს იქნება საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის წევრი კლუბების ერთობლივი მიმართვა ევროპის ფეხბურთის მმართველი ორგანოსადმი.

# გარდაიცვალა რაიმონ გუტალსი

სტაჟიან გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ თბილისის "დინამოსა" და ბელგიის "სტანდარდის" მატჩი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში. თბილისური მატჩი ბელგიელთა სასარგებლოდ - 1:0 დასრულდა, მაგრამ მთავარი ამ შეხვედრაში ის იყო, რომ ბელგიელებმა სტრატეგიად წარმოადგინეს ჩვენთვის სრულიად უცნობი ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობების შექმნის ხელოვნება, რომელსაც "დინამომ" ვერაფრით აუღო ალღო და დამარცხდა. მაშინ ბელგიურ კლუბს რაიმონ გუტალსი ხელმძღვანელობდა.

სახელოვანი ბელგიელი მწვრთნელი ორშაბათს 83 წლის ასაკში გარდაიცვალა. ყველაზე შთამბეჭდავ გამარჯვებას გუტალსმა საკლუბო დონეზე მარსელის "ოლიმპიკთან" ერთად მიაღწია. 1993 წელს კლუბმა მოიპოვა ჩემპიონთა თასი, რომელიც შემდგომში მაქინაციების გამო ჩამოართვეს.

გუტალსის სამწვრთნელო კარიერა 1960-იან წლებში დაიწყო. მაშინ ის ბელგიის პირველი დივიზიონის კლუბ "სენტ ტრუიდენს" ედგა სათავეში. გუტალსმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო მცველების ერთ ხაზზე განლაგება, რაც თანამედროვე ფეხბურთში უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ტაქტიკას წარმატებით იყენებს ევროპის ბევრი წამყვანი კლუბი. თუმცა, იმ პერიოდში ეს სქემა არ მიიჩნეოდა საიმედო ტაქტიკურ კონსტრუქციად.

"ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელები უნდა გყავდეს, რომ დაცვაში ერთ ხაზზე ითამაშო, - ამბობდა გუტალსი, - კარგი მცველი ვალდებულია, მუდმივად ბურთზე იყოს დაგეშილი და საკუთარი კარისკენ არ იხევდეს. მე არ მჭირდება მცველები, რომლებსაც ეშინიათ". გუტალსმა "სენტ ეტიენში" რამდენიმე სეზონი დაყო. ამ კლუბში მას დიდი გამარჯვებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ არც საფეხბურთო სამყაროს გამოთიშვია.

საერთოდ, გუტალსის კარიერა რამდენიმე შტრიხისგან შედგება. გარკვეულ მომენტებში ის დიდების მწვერვალზე იყო, მაგრამ დროგამოშვებით ჩრდილშიც ექცეოდა ხოლმე. პირველი წარმატება გუტალსს ბელგიის ეროვნულ ნაკრებში ელოდა. 1970 წელს მან გუნდი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე გაიყვანა, ხოლო ორი წლის შემდეგ გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა.

შემდეგ მის კარიერაში იყო ჩავარდნა, რომელიც დამთავრდა 1970-იანი წლების ბოლოს. მისი ხელმძღვანელობით, 1978 წელს ბელგიის "ანდერლეხტი" თასების მფლობელთა თასის ფინალში გავიდა. ბელგიელთა წინააღმდეგ ფინალურ მატჩში გამოვიდა ვენის "აუსტრია", მაგრამ საათისა და 45 წუთის შემდეგ მინდორი ისე დატოვა, რომ საკუთარ კარში ოთხი უპასუხო გოლი მიიღო.



მას წარმატება 1980-იანი წლების დასაწყისშიც თან სდევს. 1982-1983 წლებში გუტალსმა ორჯერ მოიგო ბელგიის ჩემპიონატი. თუმცა, თეთრ პერიოდს ისევ შავი ცვლის. ამჯერად ის დიდხანს, ათწლეულის განმავლობაში იწელება, რომ გუტალსის სამწვრთნელო კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვებით დასრულდეს. 1991 წელს მან მარსელის "ოლიმპიკს" საფრანგეთის ჩემპიონატი მოაგებინა. მომდევნო სეზონში წარმატება კვლავ გამეორდა, 1993 წელი კი საერთოდ ფანტასტიკური გამოდგა გუტალსისა და მისი გუნდისთვის.

ფრანგებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიგეს. თანაც, ფინალურ მატჩში ვინმე კი არა, თვით "მილანი" დაამარცხეს (1:0), რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ მალდინი, ვან ბასტენი, ჟორჟ ვეა, ბარეზი. და ისევ ჩავარდნა, რომელიც მწვრთნელის ცხოვრების უკანასკნელ წლებამდე გაგრძელდა.

გუტალსი საფეხბურთო სამყაროში ღირსეულ პიროვნებად დარჩა. შემთხვევითი არ არის, რომ მისი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში მწვრთნელს რამდენიმე მეტსახელი დაუგროვდა - "კოლომბო" (ცნობილი სერიალის გმირთან მსგავსების გამო), "რაიმუნდო ფოკუსნიკი"...

რაიმონ გუტალსი კიბოთი გარდაიცვალა. იგი მთელი ცხოვრება ეწეოდა.

ფეხბურთი

# მთავარი შვეიცარიელი

შვეიცარიამ ახლახან დაასახელა უკანასკნელი 50 წლის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა. ასეთად ევროპის ნეიტრალურ ქვეყანაში შტეფან შაპუიზა აღიარეს.

შვეიცარიამ წარსულში უამრავი კარგი ფეხბურთელი აღზარდა. თუმცა, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებისას სპეციალისტთა აზრი ერთსულოვანი იყო. მართლაც, შტეფან შაპუიზა ყველაზე თვალსაჩინო შვეიცარიელი ვარსკვლავია საერთაშორისო ასპარეზზე. ამჟამადაც კი, 35 წლის ასაკში, ის საუკეთესო ფორვარდად მიიჩნევა საკუთარ ქვეყანაში.

ძველი ფეხბურთელისა და მწვრთნელის შვილის, შაპუიზას დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 1989 წელს შედგა ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ (1:0). იმ პერიოდში საკლუბო დონეზე შაპუიზა "ლოზანას" ღირსებას იცავდა. 15 წლის შემდეგ შაპუიზამ კვლავ, ამჯერად მეასედ მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში. ევრო 2004-ის შემდეგ კი ნაკრებს გამოეთხოვა და განაცხადა, რომ ამიერიდან საერთაშორისო ასპარეზზე აღარ ითამაშებს. საერთო ჯამში შაპუიზამ ნაკრების შემადგენლობაში 103 მატჩი ჩაატარა და 21 გოლი გაიტანა.



შაპუიზა შვეიცარიის უკანასკნელი 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელია.

თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე შაპუიზას არაერთხელ მოუპოვებია წარმატება. 1994 წელს ის როი ჰოჯსონის გუნდში წამყვანი ფეხბურთელი იყო და შვეიცარიის ნაკრებმა მაშინ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. იქ კი გუნდი მერვედფინალში გავიდა. შაპუიზა შეუდარებელი იყო 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზეც. შემდეგ კი მას შეტევაში ალექსანდრ ფრეი და ჰაკან იაკინი შეუერთდნენ. ამ ტრიომ თავისი გააზრებული მოქმედებით შვეიცარიის ნაკრებს ევრო 2004-ის ფინალური ეტაპის საგზური მოუტანა.

რაც შეეხება საკლუბო ფეხბურთს, აქ მიღწეულ წარმატებაში უახლოეს მომავალში შაპუიზას ვერც ერთი შვეიცარიელი ფეხბურთელი ვერ შეედრება. დორტმუნდის "ბორუსიასთან" ერთად ის ორჯერ გახდა ბუნდესლიგის ჩემპიონი, ხოლო 1997 წელს გუნდს ჩემპიონთა ლიგისა და საკონტინენტთაშორისო თასის მოგებაში დაეხმარა. დორტმუნდში გატარებული რვა სეზონის განმავლობაში შაპუიზამ 106 გოლი გაიტანა და ბუნდესლიგის არსებობის ისტორიაში უცხოელ ბომბარდირებს შორის მეორე ადგილი დაიმკვიდრა. შვეიცარიაში დაბრუნების შემდეგ მან "გრასჰოპერთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიგო და ორჯერ გახდა შვეიცარიის საუკეთესო ბომბარდირი. ამჟამად შაპუიზა გულშემატკივრებს კვლავ ახარებს შედეგიანი თამაშით, ოღონდ "იანგ ბოიზის შემადგენლობაში.

შაპუიზა ფენომენალური სისწრაფით ვერ დაიკვეხნის. სამაგიეროდ მან მოახერხა დორტმუნდელ ქომაგთა გულის მოგება და თავისი შეუდარებელი ცაციას წყალობით მეტოქეთა დაცვის რისხვა გახდა. "ვესტფალენშტადიონზე", როცა ბილეთის შეძენა იმ დროს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, შაპუიზა რეგულარულად აჩვენებდა შთამბეჭდავ და ხარისხიან თამაშს. კარგი ფიზიკური მომზადებისა და თამაშის ხედვის წყალობით შაპუიზამ სერიოზული ტრავმების გარეშე წარმართა თავისი დორტმუნდული კარიერა, რაც ფორვარდებისთვის, მით უფრო გერმანიაში, იშვიათი მოვლენაა.

შაპუიზას კარიერა ჭეშმარიტად ოქროსი იყო, მაგრამ ვერც ის გაექცა ჩავარდნებს. 2001 წელს შაპუიზა კინაღამ გამოეთხოვა ეროვნულ ნაკრებს. იმ პერიოდში გუნდის ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა კობი კუნიმ შაპუიზა ჩირიაკო სფორცასა და შტეფან ანშოსთან ერთად სათადარიგოთა სკამზე გაამწესა. ერთი წლის შემდეგ "გრასჰოპერის" მწვრთნელმა მარსელ კოლერმაც გადაწყვიტა, რომ სავსებით შესაძლებელია შაპუიზას გარეშე თამაში.

ორივე შემთხვევაში შაპუიზა ღირსეულად მოიქცა - არც წუწუნი და არც ჩივილი არ დაუწყია, არამედ საკუთარი შესაძლებლობები მწვრთნელებს საფეხბურთო მინდორზე დაუმტკიცა. შედეგად, ცხრათვიანი შესვენების შემდეგ, ის ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდა და "გრასჰოპერი" "იანგ ბოიზზე" გაცვალა.

შაპუიზას ყოველთვის სჯეროდა, რომ საკუთარი ამბიცია სიტყვით კი არა, არამედ საქმით უნდა დაამტკიცო. სამაგალითო მეოჯახე უკვე დაინიშნა ევრო 2008-ის ელჩად, რომელიც ავსტრიისა და შვეიცარიის ტერიტორიაზე გაიმართება. უფრო ღირსეულ კანდიდატს ამ საპატიო მისიის შესასრულებლად ვერც მოძებნიდნენ.

რაგბი

# ლიგა მოვიდა, რაგბილიგა

პაატა თოთაძე

"რაგბილიგა, იგივე ლიგური ან ლიგის რაგბი, ხოლო შემოკლებით ლიგა, კონტაქტური, ხელით და ფეხით ბურთაობის სახეობაა, რომლის გუნდშიც 13 კაცია. ამ თამაშის მშობელი რაგბია. საუკუნეზე მეტია, რაც ლიგა რაგბის გამოეყო და ცალკე ვითარდებოდა. მართალია, მრავალი განსხვავებაა ჩვენში ცნობილ 15-კაცა რაგბის და ლიგას შორის, მაგრამ საერთოც ბევრი აქვთ. ბურთიც რაგბისთვის ჩვეული, ოვალური ფორმისაა", - ამას წაიკითხავთ 13-კაცა რაგბის, რაგბილიგის თუ, უბრალოდ, ლიგის საპრეზენტაციო ბუკლეტში.

ლიგის გამოყოფის მიზეზი პირწმინდად სოციალური იყო. თამაშები შაბათობით იმართებოდა და რაკი შაბათი უქმე დღე არ იყო, მუშებსაც გაცდენილი სამსახურისა და, შესაბამისად, დაქვითული ხელფასის ანაზღაურება სურდათ. ამაზე უარი მიიღეს, სამოყვარულო სულის შებღალვას არავის ვაპატიებთო. ჰოდა, ადგნენ და განუდგნენ რაგბის.

რაგბილიგის საერთაშორი ფედერაცია 1948 წელს შეიქმნა, ევროპისა კი - 2003 წელს, თუმცა, ერთა თასის ორჯერ ჩატარება მაინც მოასწრო. ჩვენში ლიგა წლეულს შემოვიდა, ზაფხულში ფედერაცია შეიქმნა, გუშინ კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სპორტის ამ სახეობის პრეზენტაცია მოეწყო.

ფედერაციის პრეზიდენტი საფრანგეთში მოღვაწე პაატა ცინცაძეა. გამგეობაში პრეზიდენტთან ერთად არიან დავით კილასონია, ალექსანდრე ბარამიძე, მერაბ მეტრეველი და გიორგი კვაჭაძე. ფედერაციაში არის საქართველოში ლიგის განვითარების განყოფილებაც, რომლის წევრები არიან უელსის ლიგის ფედერაციის პრეზიდენტი მაიკ ნიკოლასი, ავსტრალიის რაგბილიგის აკადემიის პრორექტორი თეზ ბეტიერი და ევროპის ფედერაციის აღმასრულებელი მდივანი კევინ რადა.

ფედერაცია ექვსი თვის წინ ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. უფრო მეტს მომავალში აპირებს.

იანვრის მეორე ნახევარში მოეწყობა ეროვნული ნაკრების პრეზენტაცია. იქვე გაცხადდება მწვრთნელის ვინაობაც. კანდიდატურა სამია - ორი ავსტრალიელი და ერთი ბრიტანელი. ერთ მათგანს, ტრენტ რობერტსონს, უკვე გამოუთქვამს მზადყოფნა, ჩვენთან იმუშაოს, თუმცა, საბოლოო სიტყვა ფედერაციაზეა. დაგეგმილია ნაკრების ორკვირიანი შეკრება ჯერ საქართველოში, შემდეგ კი - ბრიტანეთში. იქვე ქართველები ბრიტანეთის სამოყვარულო ნაკრებს გაეჯიბრებიან. "პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენი სათამაშო დონე ჯერჯერობით სამოყვარულო დონეზეა, ამდენად, ამ ეტაპზე მათთან გაჯიბრება ჯობს", - განაცხადა პრეზიდენტმა. მარტი-აპრილი საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას დაეთმობა, რის შემდეგაც ნაკრებს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ელის. ივნისში რეგიონული თასი გაიმართება, სექტემბერში ავსტრალიის საუნივერსიტეტო ნაკრები გვეწვევა, ოქტომბერში კი ან ხმელთაშუა ზღვის ტურნირზე გველის თამაში, ან ევროპის ფედერაციის თასზე. ამ ორიდან მეორე ჯობს, თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუ ნაკრები მიაღწევს იმ დონეს, რომ იქ თამაში შევძლოთ. თუ არა და, ლიბანში გასამართი ხმელთაშუა ზღვის თასით დაკმაყოფილება მოგვიწევს. და კიდევ, ფედერაციის ხელმძღვანელობას სურდა, უელსის ნაკრებთან დავითობაზე გამოწვევის თასი გაეთამაშებინა. დავითი ჩვენი წმინდანი და უელსელთა მფარველია. ამიტომ მეტოქედ უელსი შეირჩა, თუმცა, მომავალ წელს უელსის ნაცვლად ბრიტანეთის სამოყვარულო გუნდთან მოგვიწევს ჭიდილი. უელსს ძლიერი გუნდი ჰყავს და მასთან მოგების შანსი არ გვაქვს, მეტიც, შევრცხვებითო. ამიტომ უელსელებთან თამაში 2006 წლიდან იქნება მისაღებიო.

რაც შეეხება პარტნიორებს. ჯერჯერობით უცხოელებით გვიწევს დაკმაყოფილება. ნაკრებს ავსტრალიური Classic Sports შემოსავს, საფრანგეთში ტურნეების მოწყობაში France Sport დაგვეხმარება, ერთ-ერთი ავსტრალიური ფირმა კი ავსტრალიის ტერიტორიაზე გასამართ ტურნეებზე იზრუნებს. ამის გარდა, ფედერციამ მოიპოვა ბრიტანეთის სუპერლიგის მატჩების ტრანსლირების უფლება და ახლა საქართველოში ეძებს პარტნიორს, რომელსაც ამ უფლებას გადასცემს.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ როგორ შეეწყობა ლიგის რაგბი კავშირის რაგბის? ჩვენში ხომ არაა იმდენი რესურსი, ორივე სახეობას გასწვდეს. არც ის ივარგებს, მოთამაშეები ისე გადანაწილდნენ, რომ ამით არც ერთმა სახეობამ იხეიროს და ვერც მეორემ. ბუნებრივია, ამაზე ფედერაციაშიც იმსჯელეს და ისე აპირებენ კალენდრის შედგენას, რომ მორაგბეებს ორივეგან შეეძლებათ თამაში. მომავალში ზოგიერთებს, ალბათ, მაინც მოუწევთ არჩევანის გაკეთება, მაგრამ, ძირითადად, მორაგბეებს ორივეგან შეეძლებათ თამაში. ამასთან, საერთაშორისო კალენდარი ისეა დაგეგმილი, რომ ლიგა და კავშირი ერთმანეთს დიდად არ უშლიან ხელს. კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი: ლიგა მზადაა, კავშირთან საზიაროდ ააშენოს რაგბის სტადიონი, რომელსაც ორივე გამოიყენებს. ახლა, როცა კავშირს საამისო სახსრები არა აქვს, წინადადება, მართლაც, სასიამოვნოა.

კალათბურთი

# გაყარეთ სუპერვარსკვლავები!

სანდრო ნავერიანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წლევანდელი სეზონის ყველაზე გახმაურებული და მთავარი სენსაცია "ორლანდო მეჯიქის" არაჩვეულებრივად კარგი თამაშია. გუნდი, რომელიც შარშანდელ სეზონში ყველაზე ცუდი იყო (61 წაგება), წლეულს ყველაზე კარგად თამაშობს და აღმოსავლეთ კონფერენციის პირველ საფეხურზე დგას. რას შეიძლება დავაბრალოთ ის, რომ შარშანდელი სეზონის ყველაზე ცუდი გუნდი წლეულს ყველაზე კარგად თამაშობს? ნუთუ "მეჯიქის" წარმატებაზე გრანტ ჰილის დაბრუნებამ იქონია გავლენა? ან იქნებ სტივ ფრენსისის კარგი თამაში და, საერთოდ, მწვრთნელთა შტაბის სწორი მუშაობაა ამის მიზეზი? ალბათ, ყველაფერი ეს, ერთად აღებული, იძლევა იმის საბაბს, რომ გუნდმა კარგად ითამაშოს.



ტრეისი მაკგრეიდის წასვლის შემდეგ "ორლანდო" სასწაულებს ჩადის.

უკანასკნელი ოთხი სეზონის განმავლობაში "ორლანდო მეჯიქის" სახეს ტრეისი მაკგრეიდი წარმოადგენდა. 2000 წელს "ტორონტო რეფტორზიდან" "ორლანდო მეჯიქში" გადასული მაკგრეიდი (რომელიც ვინს კარტერის ბიძაშვილია და, გამორიცხული არ არის, სწორედ კარტერის ავტორიტეტმა განაპირობა ტიმაკის ორლანდოში გადასვლა), ყველასთვის მოულოდნელად, ბრწყინვალედ ათამაშდა და ფლორიდელთა წარმატების მთავარი შემოქმედი გახდა. თუმცა, ბოროტი ხმები ამბობდნენ, მაკგრეიდის მაღალი შედეგიანობა იმით არის გამოწვეული, რომ გუნდის სხვა მეგოლეები ტრავმირებულნი არიანო. იმასაც ამბობდნენ, მაკგრეიდის საკალათბურთო ნიჭი არ აღემატება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ნებისმიერი სხვა კალათბურთელის ნიჭსო. მაგრამ ტიმაკმა თავისი კარგი თამაშით ყველას დაუმტკიცა, რომ, მართლაც, დიდი ნიჭით არის დაჯილდოებული. ყველა ვარსკვლავის მატჩებში მან ძალიან კარგად ითამაშა, შარშანდელ სეზონში კი რეკორდი დაამყარა - ერთ მატჩში 62 ქულა გააკეთა.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ასეთი ძლიერი კალათბურთელი იყო, "ორლანდო მეჯიქის" საშველი არ ჩანდა. გუნდი სათამაშოდ გადიოდა, მაგრამ მარტო ტიმაკი თამაშობდა, დანარჩენები სტატისტის როლში გვევლინებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც ტიმაკს სროლა არ მისდიოდა, მაგრამ ის მაინც ისროდა და მატჩს საშინელი მაჩვენებლით ამთავრებდა - 30 ტყორცნიდან 7. სწორედ ეს ღუპავდა ფლორიდელებს. საქმე ის არის, რომ მთელი გუნდი ტრესი მაკგრეიდიზე იყო დამოკიდებული: თუ მაკგრეიდი კარგად თამაშობდა, ქულებიც გროვდებოდა. თუმცა, ხშირად ქულების ის რაოდენობა, რომელსაც "ორლანდო მეჯიქი" თავს უყრიდა, საკმარისი არ იყო გამარჯვებისთვის. თუ ტიმაკს თამაში არ წაუვიდოდა, მაშინ "ორლანდო მეჯიქი" განწირული იყო.

რატომ მოვყევი მაკგრეიდზე ლაპარაკს? რატომ და, წლევანდელ სეზონში "მეჯიქის" კარგი თამაშის მთავარი მიზეზი... ტიმაკის გუნდიდან წასვლაა.

ახლა გუნდის სხვა კალათბურთელებმა კარგად იციან, რომ თუ თვითონ არ ითამაშებენ კარგად, მაშინ ვერავინ მოაგროვებს ქულებს, ვერავინ დაეხმარება გამარჯვებაში. მოკლედ, კალათბურთელები მიხვდნენ, რომ თვითონ უნდა ათამაშდნენ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ორლანდოში ტიმაკის ყოფნის დროს სხვა კალათბურთელებს არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩნდათ, საკუთარ ძალებში ვერ რწმუნდებოდნენ. ასეა თუ ისე, ტიმაკის გუნდიდან წასვლა გუნდს აშკარად წაადგა.

რა თქმა უნდა, მარტო მაკგრეიდის წასვლა არაფერი იქნებოდა, რომ არა სტივ ფრენსისისა და გრანტ ჰილის, მართლაც, არაჩვეულებრივი თამაში. გრანტ ჰილი, რომელიც ხუთი ოპერაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა კალათბურთს და ყველას დაანახა, რაოდენ დიდ ძალას წარმოადგენს. არავის ეგონა, რომ გრანტ ჰილი ოდესმე კიდევ ითამაშებდა მაღალ დონეზე. ზოგიერთი სპეციალისტი მისი კარიერის დასრულებასაც კი ვარაუდობდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ის არაჩვეულებრივ ფორმაშია და, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი: გრანტ ჰილი წლევანდელი სეზონი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო კალათბურთელია. რაც შეეხება სტივ ფრენსისს, მასზე შეიძლება ვთქვათ, რომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია. შედეგიან გადაცემებთან ერთად ის საშუალოდ 15 ქულას აგროვებს ყველა მატჩში. ფრენსისთან და ჰილთან ერთად კელვინ კატოს და კატინო მობლის დუეტი სერიოზულ ძალას წარმოადგენს. რაც შეეხება ცენტრის პოზიციას, აქ თამაშობს დუაიტ ჰოვარდი, რომელიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე პერსპექტიულ კალათბურთელად ითვლება.

ასეა თუ ისე, "ორლანდო მეჯიქი" წლევანდელი საეზონის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდია, რომელსაც სეზონის წინ შარშანდელზე ცოტათი უკეთეს შედეგს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ფლორიდელებმა, ყველასთვის გასაკვირად, არაჩვეულებრივი სტარტი აიღეს და, არა მგონია, წლის ბოლომდე ვინმემ მათი შეჩერება შეძლოს. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ რეგულარულ ჩემპიონატს, თორემ პლეი-ოფში ყველაფერი თავდაყირა დგება და არავინ იცის, რა როგორ მოხდება.

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 8 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
06:30 NBA TV. სეზონი. 1997-1998. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1984. "PORTLAND TRAIL BLAZERS" - "PHOENIX SUNS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. პსჟ - ცსკა
14:15 ჩემპიონთა ლიგა. "შახტიორი" - "ბარსელონა"
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:20 ჩემპიონთა ლიგა. "ვალენსია" - "ვერდერი"
20:10 თავისუფალი დარტყმა
20:25 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი" - "რუსენბორგი"
22:25 ON-LINE ჩემპიონთა ლიგა. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები პირდაპირ ეთერში
00:50 ჩემპიონთა ლიგა. "რომა" - "რეალი"
02:45 02:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
04:30 NBA TV - დღიური
05:00 NBA TV. "UTAH JAZZ" - "ORLANDO MAGIC". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:00, 19:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
11:15 "კეგლის დროა"
11:45 "ჰოკეი-პლუს"
12:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
13:35 ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ესპანეთი - აშშ. გადამწყვეტი მატჩი
16:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში. გუნდური სპრინტი
18:05 ძიუდო. ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი
19:15 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
20:15 "სპორტისიმო"
21:00 "სპორტის აკვატორია"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "ჰოკეი-პლუს"
22:10 "თოვლის სამყარო"
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერი" - "დინამო" (უკრაინა). პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები
00:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ფენერბახჩე" - "მანჩესტერ იუნაიტედი"

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონატი პაკისტანში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
12:30 მულტისპორტი
13:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონატი პაკისტანში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები
15:15 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
19:00 ბალახის ჰოკეი. ჩემპიონატი პაკისტანში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 გოლფი. ევროპული ტური. სეზონის მიმოხილვა
00:00 გოლფი. აზიური ტური.
00:30 ცხენოსნობა. კონკური პარიზში
01:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:45 ახალი ამბები
02:00 ბრძოლა წესების გარეშე

## პირველი ინგლისელი გამომცემელი



მას **უილიამ კაქსტონი** ერქვა და დაახლოებით 1422 წელს დაიბადა. წიგნის ბეჭდვა ნისლიან ალბიონზე სწორედ მას შემოიღო. რაინდობისა და კეთილშობილების ამ აპოლოგეტის მოღვაწეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ორასი წლის შემდგომი პურიტანული რევოლუცია და, შესაბამისად, ევროპული მეცნიერების წარმოშობა. რა თქმა უნდა, **იოჰან გუტენბერგის** მიერ გამოგონილი სტამბა ადრე თუ გვიან მაინც გავრცელდებოდა მთელ ევროპაში, მაგრამ კაქსტონის მნიშვნელობა მაინც სხვა იყო. აი, ერთ-ერთი ადგილი მისი, როგორც ახლა იტყოდნენ, სარეკლამო ბუკლეტიდან: "**ჰოი, თქვენ, ინგლისის რაინდებო, სადღაა მეფე არტურის დროინდელი ძლევამოსილი რაინდობის ტრადიციები? რასა იქმთ თქვენ, გარდა იმისა, რომ ყოველდღე დადიხართ საროსკიპოებში და ზარს თამაშობთ? ... დასტოვეთ ეს ყველაფერი, დასტოვეთ და მიუბრუნდით წმინდა გრაალის სახელოვან აღწერებს, ლანსელოტის, გალაჰადის, ტრისტრამის, პერსეფორსტის, პარციფალის, გავეინისა და სხვათა მრავალთა საგმირო საქმეებს. იქ იპოვით ჭეშმარიტ სიმამაცეს, სიდარბაისლესა და კეთილშობილებას**". რა თქმა უნდა, სოციალური და ზნეობრივი კრიზისი, რომელშიც აღმოჩნდა ინგლისი XV საუკუნის შუა წლებში, თავისთავად საკმარისი საბაბი იყო ამგვარი განცხადებებისათვის, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კაქსტონს თავისი საქონლის — წიგნების გაყიდვა და, ესე იგი, გავრცელება სურდა. თანდათანობით, ამ საოცრად აქტიური ადამიანის მოღვაწეობამ ინგლისელები წიგნის კითხვას მიაჩვია.

საწყისი განათლების მიღების შემდეგ კაქსტონი 1438 წელს ლონდონელ ქსოვილებით ვაჭარს, რობერტ ლანგს მიაბარეს. 1441 წელს ოსტატი გარდაიცვალა და კაქსტონიც ბრიუგეში გაემგზავრა, ჰოლანდიურ ქალაქში, სადაც 1446 წლამდე განაგრძობდა სწავლას. ამის შემდეგ იგი საკუთარ საქმეს იწყებს და 1450 წლისთვის ერთ-ერთ წარმატებულ კომერსანტად ითვლება.

1453 წელს კაქსტონი ლონდონში დაბრუნდა და ოფიციალურად შევიდა ქსოვილით ვაჭრობის გილდიაში, 1462 წელს კი მეფე **ედუარდ IV**-ის ბოძებული ქარტიის საფუძველზე გახდა ავანტიურისტ-ვაჭართა ასოციაციის წევრი. ამის შემდეგ კაქსტონი ბრიუგეში სავაჭრო წარმომადგენლობის გუბერნატორად დაინიშნა, რაც ძალიან საპასუხისმგებლო პოსტი იყო. 1464 წელს მას დაევალა სავაჭრო მოლაპარაკების წარმართვა ინგლისსა და ჰოლანდიას შორის, მაგრამ ეს წამოწყება წარუმატებლად დასრულდა: **ფილიპე ბურგუნდიელმა** აკრძალა თავის სამფლობელოში ინგლისური ქსოვილების იმპორტი, ინგლისმა კი ფლამანდიურ ნაწარმს გამოუცხადა ბლოკადა.

ინგლისელმა ვაჭრებმა მაშინვე კონტრაბანდას მიმართეს. ამიტომაც კაქსტონს კონტრაბანდისტების დასჯა დაავალეს. შეშფოთებულმა გუბერნატორმა მაშინვე ლონდონის მერს მიმართა და სთხოვა, ამ ვალდებულებისაგან გათავისუფლება. მერი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერს გახდა მთავრობასთან, სამაგიეროდ, ფილიპე ბურგუნდიელის სიკვდილმა და ედუარდ მეოთხის ფრანგ დიდებულზე ქორწინებამ გადაწყვიტა ყველაფერი და ფლამანდიასთან ვაჭრობა კანონიერად აღდგა. როგორც ვხედავთ, იმ დროს საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური ბერკეტები ჯერ კიდევ ემორჩილებოდა ხელისუფლების ახირებას...

მაგრამ ამ აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, კაქსტონი მოგზაურობისთვისაც პოულობდა დროს. მან მრავალჯერ მოინახულა გერმანული ქალაქი უტრეხტი და 1469 წლის მარტიდან მთარგმნელობითი მოღვაწეობაც დაიწყო: ინგლისურად თარგმნა პოპულარული ფრანგული რომანი "ტროის ისტორიათა წიგნი". თარგმანი მან 1474 წელს გამოაქვეყნა და სწორედ ეს რომანი გახდა პირველი ინგლისური ნაბეჭდი წიგნი. ნიშანდობლივია, რომ ეს არც ბიბლია იყო და არც თეოლოგიური ტრაქტატი, არამედ სარაინდო რომანი. ასევე საინტერესოა, რომ მეორე ინგლისური ნაბეჭდი წიგნი იყო "ჭადრაკის თამაშის წესები", რომელიც კაქსტონმა 1475 წელს გამოაქვეყნა.

1476 წელს კაქსტონმა მიატოვა ბრიუგე და ლონდონში დამკვიდრდა. აქ მან სტამბა დააარსა და უკვე ლონდონში გამოაქვეყნა მესამე ინგლისური ნაბეჭდი წიგნი: "ფილოსოფოსთა გამონათქვამები და აფორიზმები" — მისი მთარგმნელი გრაფი **რივერსი** იყო, რედაქტორი კი თვით კაქსტონი. მეოთხე ინგლისური ნაბეჭდი წიგნი, "იაზონის ისტორია". **რაულ ლეფევრის** ეს ფრანგული რომანი კაქსტონმა თარგმნა.

1477-1490 წლებში კაქსტონი სრულიად ეფლობა ანტიკური ავტორებისა და ფრანგული ლიტერატურის თარგმნასა და გამოქვეყნებაში. ამ მხრივ ყველაზე აღსანიშნავია ციცერონის ტრაქტატი "მეგობრობისათვის" და ვირგილიუსის "ენეიდა" ინგლისურ ენაზე. 1481 წელს კი კაქსტონმა ფუნდამენტური წამოწყება აღასრულა: რედაქტირების გამოაქვეყნა **ტომას მელორის** უკვდავი ნაწარმოები "არტურის სიკვდილი".

საგამომცემლო მოღვაწეობის წლებში კაქსტონი დაუახლოვდა მეფე ედუარდ IV-ის ოჯახსა და ინგლისის უპირველეს დიდებულებს: სასექსის, ვუსტერისა და რიჩმონდის გრაფებს. **უილიამ შექსპირის** მიერ პირსისხლიან ტირანად დახატულ **რიჩარდ III**-ს კაქსტონმა "რაინდობის წიგნი" მიუძღვნა. ჰენრი VII-ს დროსაც არ აკლდა წყალობა და თავისი გამოცემული "ენეიდა" უელსის პრინცს, არტურს მიუძღვნა. კაქსტონმა და მისმა სამმა თანაშემწემ — პინსონმა, კოპლენდმა და დე უორდმა — სამოცდაათამდე წიგნი გამოაქვეყნეს. მათგან არც ერთი არ იყო რელიგიური ხასიათის.

დიდებით მოსილი და სიმდიდრით აღვსილი უილიამ კაქსტონი 1491 წელს გარდაიცვალა.



Capitulum primum
Whan Arthur held his rounde table moost plenour/it fortuned that he commaunded that the hyhe feest of Pentecost sholde be holden at a cyte and a Castel the whiche in tho dayes was called kynke kenadonne vpon the sondes that marched nyghe walys/ Soo euer the kyng hadde a custom that at the feest of Pentecost in especyal afore other feestes in the yere he wold not goo that daye to mete vntyl he hadde herde or sene of a grete merueylle / And for that custom alle maner of straunge aduentures came before Arthur as at that feest before alle other feestes/ And soo sire Gawayne a lytyl to fore none of the daye of Pentecost aspyed atte a wyndowe thre men vpon horsbak and a dwarf on foote/ and soo the thre men alyghte and the dwarf kepte their horses/ and one of the thre men was hyher than the other tweyne by a foote and an half Thenne sir Gawayne wente vnto the kynge and sayd/ sire go

# მეცნიერების წარმოშობა - XVII საუკუნის ინტელექტუალური რევოლუცია

სერ ისააკ ნიუტონი, რომლის ოთხი კანონის გარეშე წარმოუდგენელია საშუალო სკოლის ფიზიკის სახელმძღვანელო, თავისი დროის ცნობილი ალქიმიკოსი იყო და ძალიან ინტერესდებოდა ებრაული კაბალითა და ოკულტური ცოდნით... თავისთავად, ეს არაფერს ნიშნავს, ახირებული ადამიანები ყოველთვის ყოფილან, მით უმეტეს გენიოსთა შორის. მაგრამ რამ მისცა ადრეული მოდერნის უთვალსაჩინოეს ინგლისელ მკვლევარს, **ფრენსის იეიტსს** იმ დასკვნის გამოტანის საშუალება, რომ ექსპერიმენტული მეცნიერება მხოლოდ იმ ქვეყნებში შეიძლებოდა წარმოშობილიყო, სადაც პოპულარული იყო კაბალა და ოკულტური ტრადიციები?

საიდან წარმოიშვა ევროპული ტიპის მეცნიერება, რომელსაც ჩვენ ხშირად "ქართულ მეცნიერებად" მოვიხსენიებთ და რომლის "დაკნინებასაც" დავსტირით ამ ბოლო დროს?

მეცნიერებისა და პროტესტანტული ეთიკის ურთიერთკავშირი ჯერ კიდევ გერმანელი ისტორიკოსისა და სოციოლოგის, **მაქს ვებერის** უკვდავი წიგნიდანაა ცნობილი, ამიტომ არავის გაუკვირდება, რომ მეცნიერების პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები ინგლისელ პურიტანებთან, ანუ კალვინისტური მიმდინარეობის პროტესტანტებთანაა დაკავშირებული. გაცილებით უფრო საკვირველი და მოულოდნელი ისაა, რომ მეცნიერების ერთ-ერთი საფუძველი მილენარიზმია, ანუ მეორედ მოსვლისა და აპოკალიფსის მოახლოვების მასობრივი შეგრძნება. ამიტომაც XVII საუკუნის პურიტანთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ბიბლიური წინასწარმეტყველება, რომლითაც მორწმუნეთ მკვდრეთით ხორციელი აღდგომა ეუწყებოდა: "**ნეტარია და წმიდა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილს არა აქვს ხელმწიფება მათზე, არამედ იქნებიან მღვდელნი ღმრთისა და ქრისტესი, და ექნებათ სუფევა მასთან ათას წელს**" (გამოცხადება, 20; 6). გასაგებია, რომ ანტიქრისტეს ადგილი ამ კონტექსტში რომის პაპს ეკავა, ყველა კათოლიკეები წარწყმედილებში ითვლებოდნენ, თვით პურიტანები კი იყვნენ ის მღვდელნი ღვთისა და ქრისტესი, რომლებსაც მაცხოვართან ერთად ათასწლოვანი სამეფო უნდა აეშენებინათ. ეს სამეფო განლაგებული უნდა ყოფილიყო ბრიტანეთში ან, მეორე ვერსიით, მასაჩუსეტსის ყურეში, ახალ ინგლისში.

აპოკალიფსის ზემოთ მოყვანილი ადგილი, თავის მხრივ, ემყარება წინასწარ დანიელის წიგნს, კერძოდ კი მის შემდეგ სიტყვებს: "**ამ დროს აღდგება მიქაელი, დიდი მთავარი, შენი ხალხის შვილთა მფარველი. ისეთი მძიმე დრო მოვა, ხალხის გაჩენის დღიდან ამ დრომდე რომ არ ყოფილა. ამ დროს შენი ხალხიდან ყველა გადარჩება, ვინც კი წიგნში ჩაწერილი აღმოჩნდება. მრავალი მიწაში მიძინებული გამოიღვიძებს, ზოგი საუკუნო სიცოცხლისათვის, ზოგი საუკუნო გმობისთვისა და შერცხვენისათვის. მოძღვარნი ცის ნათელივით გაანათებენ, მრავალთა მომარჯულებელნი კი — ვარსკვლავებივით უკუნითი უკუნისამდე. შენ კი, დანიელ, საიდუმლოდ შეინახე ეს სიტყვები და დაბეჭდე ეს წიგნი უკანასკნელ ჟამამდე. მრავალნი შეისწავლიან და მოიმატებს ცოდნა**" (12; 1-4). XVII საუკუნის პირველი ნახევრის ინგლისური თეოლოგიური, ფილოსოფიური და ნატურფილოსოფიური ტრაქტატების უმრავლესობა დანიელის წიგნის ამ ადგილს იმეორებს და მასზე აგებს არგუმენტაციას. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ბოლო მინიშნებას იმაზე, რომ ცხოვნება პირდაპირაა დაკავშირებული ცოდნის მომატებასთან. პურიტანთა შეგნებაში დანიელის წიგნის ეს ადგილი განიმარტა როგორც ცოდნის გარდაუვალი აღდგენა და ამ გზით ადამიანის ბუნებაზე ძალაუფლების დაბრუნება.

გარდა ამისა, ძველ აღთქმაში კიდევ მრავალი ადგილი მოიპოვება იმის დამადასტურებელი, რომ ადამიანის დანიშნულება ბუნების მართვა და ღმერთთან თანამშრომლობაა.

მიუხედავად კათოლიკეებისადმი დაუძლეველი ზიზღისა, პურიტანები ვერ აირიდებდნენ შუასაუკუნეობრივი სქოლასტიკის გავლენას: განათლება ყოველთვის დაკავშირებული იყო ლათინურ ენასთან, ლათინური ენა — სქოლასტიკურ ტექსტებთან, სქოლასტიკა კი ძირითად კონცეფციასთან, რომლის მიხედვით ღვთის შექმნილი ბუნება "დაწერილი წიგნია" ანუ "მეორე ბიბლია". ეს იდეები პურიტანთა შეგნებაში **ფრენსის ბეკონის** ფილოსოფიის მეშვეობით შევიდა. თავის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში "მეცნიერებათა ღირსებისა და გამრავლებისთვის" ბეკონი წერდა: "**იმისთვის, რომ ცდომილებაში არ ჩავვარდნილიყავით, ღმერთმა ორი წიგნი მოგვცა: საღვთო წერილი, რომელშიც ღვთის ნებაა განცხადებული, და ბუნების წიგნი, რომელიც მის ყოვლისშემძლეობას გვამცნობს. ამ ორი წიგნიდან მეორე პირველის გასაღებია**".

მილენარიზმმა, ცოდნის აღდგენამ, "ბუნების წიგნმა", დანიელის წინასწარმეტყველებამ, ინგლისისა და ინგლისელების რჩეულობის იდეამ და ბეკონის ფილოსოფიურმა სისტემამ თანდათანობით ერთიანი და მწყობრი ფორმა მიიღო ჩეხი **იან ამოს კომენსკის** (1592 - 1670) პედაგოგიურ პრაქტიკაში "პანსოფია". აქ ფილოსოფია და ექსპერიმენტი პირველად დაუკავშირდა განათლების სისტემას. თეორიის, პოლიტიკისა და განათლების ურთიერთკავშირი განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა მეცნიერების ორგანიზაციულ გაფორმებაში: ჯგუფები, უხილავი კოლეჯები, სამეფო საზოგადოებები.



*ფრენსის ბეკონი*

ყველა ეს კომპონენტი, რომელმაც თანამედროვე ტიპის მეცნიერებას დაუდო საფუძველი, უფრო დეტალურ განხილვას იმსახურებს.

მილენარიზმი, მაგალითად, სულაც არ ყოფილა სიახლე. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში და პირველი ათასწლეულის ბოლოს მკაფიოდ შეინიშნებოდა მილენარისტული განწყობის ზრდა და შესაბამისი ტექსტების ინტენსიური გამრავლება. მაგრამ XVII საუკუნის პურიტანული მილენარიზმი მაინც სპეციფიკური იყო: ისტორიაში პირველად იგი ცოდნის აღდგენის იდეასთან იყო დაკავშირებული.

ამ თვალსაზრისით, პურიტანები ძალიან ჰგავდნენ იტალიელ ჰუმანისტებს, მაგრამ რატომ აღმოჩნდნენ ისინი ჰუმანისტებზე უფრო წარმატებულნი? საქმე ისაა, რომ ჰუმანისტების აღადგენდნენ ანტიკურ ფილოსოფიას, ანუ წარმართულ ცოდნას, რის გამოც სოციუმის ქრისტიანულ მოწყობაში მათ ერთგვარი მარგინალური ადგილი ეჭირათ. პურიტანები წარმართული ფილოსოფიის მიმართ ერთგვარ ზიზღს ამჟღავნებდნენ და "აღადგენდნენ" ბიბლიურ სულისკვეთებას. ამის გამო პროტესტანტულ სოციუმში მათ ცენტრალური ადგილი და, შესაბამისად, საზოგადოებრივი მხარდაჭერის მეტი იმედი ჰქონდათ.

თუ რენესანსული ჰუმანიზმის უკიდურესი წერტილი წარმართულ ტექსტებზე ფილოლოგიური მუშაობა იყო, პურიტანული "ცოდნის აღდგენა" ახალ, გამოცდილებაზე დაყრდნობილ ფილოსოფიას ამკვიდრებდა, ესე იგი, მისი გადაწყვეტა ექსპერიმენტული მეცნიერების აღმოცენებასთან იყო დაკავშირებული.

მოთხეც ახლოვდებოდა.

ამ განწყობათა ყველაზე მკაფიო გამომხატველი იყო ინგლისელი პოეტი **ჯონ მილტონი**. ნიშანდობლივია, რომ იგი სრულყოფილად ფლობდა იტალიურ ენას, ამ ენაზე თხზავდა კიდეც და იტალიაში მოგზაურობისას პირადად გაიცნო **გალილეო გალილეი**. მილტონი წერდა: "**და ბოლოს, როცა უნივერსალური ცოდნა თავის ციკლს დაასრულებს, დილეგიდან გათავისუფლებული კაცობრივი სული იმდენად შორს გავრცელდება, რომ მთელ ქვეყნიერებას, მთელ სივრცეს აავსებს და თავის ღვთაებრივ სიდიადეს განაცხადებს ... ის იქცევა იმად, ვის კანონსა და ძალაუფლებას დაემორჩილება ვარსკვლავები, ვის ბრძანებებსაც შეისმენს ზღვა და ხმელეთი, ვისაც მოემსაცურებიან ქარები, ვისაც, ბოლოს და ბოლოს, დანებდება თვით დედაბუნება, რომელიც სამეფო ტახტიდან გადამდგარი რომელიმე ღმერთის მსგავსად გადასცემს თავის უფლებებს, კანონებსა და მმართველობას მბრძანებელ ადამიანს**".

მილენარიზმისა და ცოდნის აღდგენის დამაკავშირებელი რგოლი იყო დანიელის წინასწარმეტყველება, რომლის სუნთქვა საკმაოდ შესამჩნევია მილტონის ზემოთ მოყვანილ სიტყვებში. თან ისიც უნდა ითქვას, რომ მილენარიზმი, ანუ მეორედ მოსვლის ტრაგიკული მოლოდინი არ ყოფილა პურიტანული მენტალობის რაღაც დაუძლეველი კომპონენტი: როგორც კი მიღწეულ იქნა უპირველესი პოლიტიკური და სამხედრო მიზნები, აპოკალიფსურმა განწყობებმა თავისთავად მეორე პლანზე გადაიწია და რელიგიური და საზოგადოებრივი დარეგულირებისთვის ზრუნვას დაუთმო ადგილი. მილენარიზმის კვალი გაცილებით უფრო ღრმად შენარჩუნდა: მათ ცნობიერებაში, ვინც ახალ იერუსალიმს აღიქვამდა როგორც რადიკალურ წინმსწრაფ ნახტომს, რომლის შედეგად უნდა მიღწეულიყო არა მარტო სრულად თანდათანობით გადაიზარდა საყოველთაო პროგრესის რწმენაში, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერება.

მილენარისტთა დრამატული მოლოდინები თანდათანობით გარდაიქმნა მომავლის რწმენად და უტოპიური ტექსტების პროდუცირებად. იმ დროის ბევრი ინტელექტუალი გატაცებული იყო ქრისტეს ათასწლიანი სუფევის ზუსტი თარიღის გამოთვლით. უმრავლესობა ამ თარიღს 1641 და 1666 წლებს შორის ათავსებდა.

ყოველივე ამას თან ერთვოდა წარსულის მიმართ ორაზროვანი დამოკიდებულება. ანტიკათოლიკური რევოლუციის პირველ ხანებში პურიტანები ძალიან ჰგავდნენ იტალიელ ჰუმანისტებს: ისინი გადაჭრით უარყოფდნენ არსებულ ინტელექტუალურ მემკვიდრეობას და სიახლის ძიებაში უფრო ღრმა წარსულს მიმართავდნენ. მაგრამ პურიტანები შორეულ წარსულში სულ სხვა რამეს ეძებდნენ: თუ ჰუმანისტები "ოქროს საუკუნეს" ძველ ბერძნებთან პოულობდნენ, პურიტანები ამ წარმართული ტრადიციის მიმართ ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი. მათი შთაგონება ეკლესიის მამებსა და ბიბლიურ პატრიარქებს უკავშირდებოდა. სწორედ აქ მჟღავნდებოდა ორაზროვნება: ერთი მხრივ პურიტანები ახალი ჰორიზონტისკენ უბიძგებდნენ შემეცნებას, მეორე მხრივ კი ამ ბიძგის სანქციას ისრაელის ღმერთისგან ელოდნენ.

XVII საუკუნეში ძალიან პოპულარული იყო **ჯონ სტოუტონის** ტექსტი, რომელიც ახალი სამყაროს აღწერას იძლეოდა: "**ეს იქნება სრულიად ჰარმონიის პერიოდი როგორც მიწიერ, ასევე ზეციერ სამყაროებში. ზეციურ სფეროთა ჰარმონია დედამიწის ესთეტიკურ თანხმობას შეუერთდება. არ იქნება არც ღამე და არც დღე — მზე და მთვარე უწყვეტად და უფრო ძლიერად გაანათებს. ზეცაზე უთვალავი ვარსკვლავი იბრწყინებს და მიწაც უფრო ნაყოფიერი იქნება. მთელ დედამიწაზე აღმოცენდება ეგზოტიკური მსხმოიარე მცენარეები, რომლებიც დღეს მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში ხარობს. მოსავალი ჩვეულებრივზე ბევრად უხვი იქნება. მთები უხვად წარმოქმნიან პატიოსან ქვებსა და მაღალი ხარისხის ლითონებს. მგელი და კრავი იმეგობრებენ ერთმანეთთან და ეს მშვიდობიანი თანაარსებობა წმინდანთა მიერ მართულ საზოგადოებაზეც გავრცელდება. პროტესტანტულ ეკლესიათა შორის განსხვავებები წაიშლება და ისინი ქრისტეს ერთიან ეკლესიად შეერწყმიან ერთმანეთს**".

ამგვარად გამოდის, რომ აპოკალიფსური განწყობები, რომლებიც თითქოს უნდა ამუხრუჭებდნენ ყოველგვარ განვითარებას, პურიტანთა შემთხვევაში ინტელექტუალურ და სოციალურ სფეროში ყოველგვარ საქმიანობას ასტიმულირებდა. მაგრამ ეს არ კმაროდა: საჭირო იყო ფილოსოფიის ახალი ტიპი. აღმოჩნდა, რომ აპოკალიფსური აზროვნების გაძლიერება თვით პურიტანიზმის განსაზღვრებას დაუპირისპირდა. სიტყვა "პურიტანიზმი" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან purus (წმინდა) და ადამიანის ცოდვილი ბუნების განწმენდას გულისხმობს. პურიტანთა ყოფითი პრაქტიკა ძალიან მკაცრი იყო: ცნობილია, რომ, მაგალითად, ჟენევაში კალვინისტების შეიარაღებული ჯგუფები საღამოობით ბინებს აყურადებდნენ და სასტიკად სჯიდნენ იმ ოჯახებს, რომელთა სახლებიდან სიცილის ხმა გამოდიოდა. და მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ აპოკალიფსური მიწიერი სამოთხის დამკვიდრება შეუძლებელია იმ აზროვნებით, რომელიც მთავარ აქცენტებს ადამიანის ბუნების ცოდვიანობაზე სვამდა.

სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში გამოჩდნენ ახალი ფილოსოფოსები — **გუდვინი**, **ჰეიკვილი**, **ჯონსტონი** — რომლებმაც გადაატრიალეს პურიტანთა მსოფლმხედველობა და პირქუში მონანიების მიმდევრებს საკუთარი თავისა და ნათელი მომავლის რწმენა ჩაუნერგეს. ეს, ძირითადად, იმის ხარჯზე მოხდა, რომ ახალმა ფილოსოფოსებმა პურიტანთა პრაქტიკულ ცხოვრებაში შეიტანეს ფრენსის ბეკონისა და იან კომენსკის იდეები.

ამ მხრივ, ბეკონი ყოველთვის ხაზს უსვამდა გეოგრაფიული აღმოჩენებისა და "ინტელექტუალური გლობუსის" გაფართოების კავშირს: "**სამარცხვინო იქნებოდა, რომ მატერიალური გლობუსის თვალუწვდენელ სივრცეთა კვლევასა და წვდომას თან არ ახლდეს ინტელექტუალური გლობუსის საზღვართა გაფართოება. ორივე წამოწყება — ახალი მიწებისა და ახალ მეცნიერებათა აღმოჩენა — ერთმანეთს უკავშირდება და ერთმანეთს გულისხმობს ... არა მარტო გონება, არამედ წინასწარმეტყველებაც აერთიანებს მათ**". ამას მოსდევს დანიელის წიგნის უკვე მოყვანილი ნაწყვეტი. იგივე ტექსტს ცხადად ეყრდნობა კომენსკიც. როგორც ეტყობა, დანიელის წიგნი ორივესათვის უბრალოდ აღიარებულ ავტორიტეტს კი არა, პირად მოტივაციასაც წარმოადგენდა. რაც არ უნდა ძნელი დასაჯერებელი იყოს, თანამედროვე ტიპის მეცნიერების განვითარება კაცობრიობის ისტორიაში ერთადერთი ძირეული გარდაქმნა არაა, რომელსაც საფუძვლად სულ რამდენიმე სიტყვა, ერთი მოკლე ციტირება უდევს.



*ისააკ ნიუტონი*

## ფოტოგალერეა



გასეირნება.

ავტორი: ლევან ხერხეულიძე

## TV პროგრამა

### 8 დეკემბერი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ძმები კარამაზოვები" (გ) **15.25** ჩემპიონთა ლიგა. "ვალენსია"-"ვერდერი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "ლევერკუზენი"-"დინამო" **02.20** პატრული

**TV5**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** გადაცემა: გაქცევა. კვებეკი. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15** გადაცემა: სპეციალური კორესპოდენტი. ნატურალური საკვები პროდუქტები. **24.30** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **03.05** სამხრეთის ანარეკლი.

**პირველი არხი**

**08.00** მოამბე **08.10** დოკ. ფილმი "მაოს ფოტოგრაფები" **09.10** მოამბე **09.20** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **10.05** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი "თემო" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.05** ქიმერიონი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "რიგა" **15.20** "საღამოს საუბრები" **16.05** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **16.30** "ეძიე ქალი" **17.00** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.25** ძველი აფიშა -"დონ-ჟუანი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **19.10** "იმღერე რამე" **19.40** ტელეზღაპარი **20.50** სასამართლო დარბაზებში **21.15** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **22.10** "მიამბეთ თქვენზე" - ნ. ტაბიძე **00.00** მხ. ფილმი "ერთი ბედის ანოტაცია" (გ)

**კავკასია**

**14.00** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-3ს. **16.00** ქართული მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-4ს. **00.30** ქართული მუსიკა

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **00.00** მხ. ფილმი "დისწული" (გ) (დონალ მაკენი)

**მეორე არხი**

**19.00** საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.25** სერიალი "ცხელი ზაფხული" **20.15** დოკ. ფილმი "მაოს ფოტოგრაფები" **21.05** "იმღერე რამე" **21.35** "ეძიე ქალი" **21.55** ტელეზღაპარი **22.05** ქიმერიონი **22.45** მხ. ფილმი "ცარიელი ბინა" (გ)

**18.00** მხ. ფილმი "ქვრივის ცოლი" (გ) **19.40** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "ბრილიანტის მახვილი" (15)

**იმედი**

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მგლების ხორუმი" 1-ლი ს. **12.20, 17.10, 02.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "გადარჩენის გაკვეთილი" (გ) (დ. ლუნდგრენი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 02.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" მე-5 ს. **17.20** არტბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მგლების ხორუმი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** უცნობი საქართველო **23.40** მხ. ფილმი "დევნილი" (გ) (ბენისიო დელ ტორო) **01.25** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავგად. ფილმი "როკის სკოლა" **11.10** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** დეტექტივი "რვა ქალი" **13.30** დოკ. ფილმი **14.45** მელოდრამა "უძილობა სიეტლში" **16.30** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "კანადური ბეკონი" **21.00** მხ. ფილმი "გულთან ახლოს" **23.00** "ზღვარი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** ისტ. ფილმი "ნეფერტიტი მზის ქალიშვილი"

**ОРТ**

**09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** Док. детектив. "Бородинская" битва за тюрьму". Дело 2000 г. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00** "Пять вечеров". Среда. **18.10** Сериал **"КЛОН". 20.00** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **22.40** Тайны века. "Джон Леннон. Пять выстрелов в кумира". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Фестиваль французского кино в программе "Тихий дом". **00.40** "Гении и злодеи". Аркадий Гайдар. **01.10** Жан-Пьер Дарусен в комедии **"ЕСЛИ БЫ Я БЫЛ БОГАТ!". 03.05** Алберт Брукс в комедии **"МАТЬ". 04.50** Док. сериал "Разговоры с животными".

**НТВ**

**09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чистосердечное признание. **10.50** "Женский взгляд" **11.20** "Растительная жизнь". **11.55** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...". 13.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.30** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Криминальная Россия. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ...". 20.50** Сериал **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ". 22.00** "Страна и мир". **22.40** Сериал **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО...". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Том Хэнкс в фильме **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 02.45** Бильярд. **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: история норы". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



1. ჯარის საბრძოლო წყობა; 2. ინგლისელი მძლეოსანი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი 1500 მეტრზე სირბილში; 3. კოლონიალური დამოკიდებულების ერთ-ერთი ფორმა; 4. ადამიანის პარაზიტი ჭია; 5. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 6. შინაური ცხოველი; 7. პერსონაჟი მოთხრობიდან "კუკარაჩა"; 8. მარადმწვანე, მაგარმერქნიანი ხე ან ბუჩქი; 9. ქალაქი ჩრდილოეთ ოსეთში; 10. ჯაზური ანსამბლი აშშ-ში; 11. ქართული საფეხბურთო კლუბი; 12. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 13. მუშაობის შესრულების უნარი, მხნეობა; 14. სიგრძის საზომი ერთეული; 15. საბჭოური წარმოების მსუბუქი ავტომობილი; 16. სიკო დოლიძის ფილმი; 17. მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 18. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი; 19. პ. ჩაიკოვსკის ოპერა; 20. ცხოველების შემსწავლელი მეცნიერება; 21. ბულგარეთის ფულადი ერთეული; 22. ჰიდროიზოლაციური გადასახური მასალა; 23. გ. ბერიკაშვილის როლი ფილმში "თეთრი ბაირაღები"; 24. თევზის ქვირითი, საჭმელად გამზადებული; 25. ქალაქი ფლორიდის შტატში; 26. სომხეთის ფულადი ერთეული; 27. თეატრის ქართველი რეჟისორი; 28. იტალიელი რადიოტექნიკოსი და მეწარმე; 29. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 30. პროგრესის მოწინააღმდეგე, რეაქციონერი; 31. ჩერნოგორის დედაქალაქი; 32. მსხვილი რქოსანი ცხოველი; 33. გეომეტრიული სხეული; 34. სისხლის დაავადება; 35. დამხმარე თეორემა; 36. ქალაქი ესპანეთში.

## ბავშვების განათლების დონის განმსაზღვრელ ცხრილში ჰონგ კონგი და ფინეთი ლიდერობს

PISA-ს, იგივე "მოსწავლეების შეფასების საერთაშორისო პროგრამის" ფარგლებში ტესტირება ჩაუტარდა 41 ქვეყნის 272 ათასზე მეტ 15 წლის ბავშვს. შეფასდა მათი განათლების უნარი და დონე მათემატიკაში, მეცნიერებაში, პრობლემის გადაჭრასა და კითხვაში. გაირკვა, რომ საერთაშორისო ცხრილის სათავეში ჰონგ კონგელი და ფინელი ბავშვები ლიდერობენ.

**საშუალო ქულა მათემატიკაში - ეს გახლდათ კვლევის მთავარი სფერო.**




| | | | |
|---|---|---|---|
| ჰონგ კონგი-ჩინეთი | 550 | საფრანგეთი | 511 |
| ფინეთი | 544 | შვედეთი | 509 |
| კორეა | 542 | ავსტრია | 506 |
| ნიდერლანდები | 538 | გერმანია | 503 |
| ლიხტენშტეინი | 536 | ირლანდია | 503 |
| იაპონია | 534 | სლოვაკეთის რესპუბლიკა | 498 |
| კანადა | 532 | ნორვეგია | 495 |
| ბელგია | 529 | ლუქსემბურგი | 493 |
| მაკაო-ჩინეთი | 527 | პოლონეთი | 490 |
| შვეიცარია | 527 | უნგრეთი | 490 |
| ახალი ზელანდია | 523 | ესპანეთი | 485 |
| ავსტრალია | 524 | ლატვია | 483 |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 516 | აშშ | 483 |
| ისლანდია | 515 | რუსეთი | 468 |
| დანია | 514 | პორტუგალია | 466 |

**წყარო:** ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

## უმა თურმანი ფირმა Louis Vuitton ახალი სახე გახდება



პრესტიჟული მარკა "ლუი ვიტონი" (Louis Vuitton), რომელიც ტყავგალანტერიას, აქსესუარებსა და საიუველირო ნაკეთობებს უშვებს, ამიერიდან ახალი სახე ეყოლება და მას ჰოლივუდის მსახიობი უმა თურმანი წარმოადგენს.

თურმანი ფირმა "ლუი ვიტონის" პარიზის შტაბ-ბინაში, მთავარ მოდელად არანაკლებ ცნობილი მსახიობის ჯენიფერ ლოპესის ნაცვლად გამოჩნდა.

მოსალოდნელია, რომ პირველ სარეკლამო რგოლს, რომელშიც კვენტინ ტარანტინოს საყვარელ მსახიობს, "მანჰეტენის" მარკის ქალის ახალი ჩანთით ვიხილავთ, 2005 წლის თებერვალში გამოვა.

სარეკლამო რგოლის ავტორებს გადაწყვეტილი აქვთ თურმანი ინდუსტრიულ პეიზაჟში მოათავსონ, რაც, მათი აზრით, მსახიობში ქალურობასა და ამასთან "ლუი ვიტონის" ელეგანტურ ქმნილებას გაუსვამს ხაზს.

ერთი წლის წინათ, ფრანგულმა კოსმეტიკურმა ფირმა "ლანკომემ" უარი განაცხადა უმა თურმანის სამსახურზე. "მაკულატურისა" და "მოკალი ბილის"ვარსკვლავი, თითქმის ორი წლის განმავლობაში ამ ცნობილი კომპანიის სახე იყო.

თურმანი "ლანკომეს" სუნამოებს წარმოადგენდა, რომელთა რეალიზაციამ თითქმის ყველა რეკორდი მოხსნა. ამას გარდა მსახიობი რეკლამას უწევდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მარკის თვალის ტუშს. "ლანკომესთან" უმა თურმანის კონტრაქტი 22 მილიონ დოლარს შეადგენდა.

სხვადასხვა ჭორების მიხედვით ამგვარი გადაწყვეტილება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ 33 წლის მსახიობი, ორი შვილის დედა, იმ ფირმის იმიჯს, რომელიც მხოლოდ ახალგაზრდა გოგონებზეა გათვალისწინებული, აღარ შეეფერებოდა.

უკანასკნელ პერიოდში, მსხვილი სამოდელო სახლები, თავიანთი პროდუქციის რეკლამირებისათვის ჰოლივუდის მსახიობებს ეტანებიან. "შანელის" ფირმამ თავის სახედ მსახიობი ნიკოლ კიდმანი აირჩია. შერლიზ ტერონი "დიორის" სახლს წარმოადგენს, ლივ ტაილერი "ჟივანშის" მარკას უწევს რეკლამას, მონიკა ბელუჩი კი "დოლჩე და გაბანას".

# კიდმანი „მსოფლიო მოქალაქეა"



*ცნობილ მსახიობს, ავსტრალიელ ნიკოლ კიდმანს გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა საპატიო წოდება "მსოფლიო მოქალაქეობა" მიანიჭა. ეს პატივი კიდმანს გაეროს ბავშვთა ფონდის "იუნისეფის" მხარდაჭერისთვის ერგო.*

სალი ბოკერია

უკვე ათი წელიწადია, ნიკოლ კიდმანი მსოფლიო ბავშვთა პრობლემებითაა დაკავებული. გარდა ამისა, იგი შვიდი წლის განმავლობაში "იუნისეფის" კეთილი ნების ელჩი გახლდათ სამშობლოში.

ცოტა ხნის წინათ საერთაშორისო თანამეგობრობის შტაბბინაში მიმდინარეობდა მხატვრული ფილმის გადაღებები, სადაც თარჯიმნის როლს ნიკოლ კიდმანი ასრულებდა. გაეროს გენერალურმა მდივანმა გადამღებ ჯგუფს გაეროს შტაბბინა დაუთმო, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ კინოს მეშვეობით შესაძლებელი გახდებოდა, გაეროს როლის შესახებ პლანეტის შორეულ კუთხეებშიც გაეგოთ.

ფილმის რეჟისორს სიდნეი პოლაკს, კოფი ანანის თანხმობის გარდა, გადაღებამდე უსაფრთხოების საბჭოს თხუთმეტი მუდმივი წევრის მხარდაჭერაც უმაგრებდა ზურგს. ამასთან, თითოეულს ამისთვის სტიმული ჰქონდა - უსაფრთხოების საბჭოს მუდმივ წევრებს ხსენებულ ფილმში საკუთარი თავი უნდა განესახიერებინათ. როდესაც მათ ამის შესახებ შეიტყვეს, დაფაცურდნენ და ყველა საკითხი უმალ მოაგვარეს. ამბობენ, ფილმი საერთაშორისო სავაჭრო ქსელში ახალი წლის მიჯნაზე გამოჩნდებაო.

რაც შეეხება "მსოფლიო მოქალაქეობის" წოდებას, რომელსაც გაეროს ჟურნალისტთა ასოციაცია აკუთვნებს, კიდმანის გარდა, იგი მიიღო ერაყში კოფი ანანის სპეციალურმა წარმომადგენელმა სარჟიო ვიეირა დე მელლომ (სიკვდილის შემდეგ).

იგივე წოდება გადაეცათ ატომური ენერგიის მსოფლიო სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელს ჰანს ბლიქსა და გაეროს გენერალური სამდივნოს ყოფილ სპეციალურ ელჩს ავღანეთსა და ერაყში ლახდარ ბრახიმის.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც ჰოლივუდის მსახიობს საპატიო წოდებით აჯილდოებენ. შარშან გაეროს ჟურნალისტთა ასოციაციამ კამბოჯაში კეთილი ნების ელჩის რანგში მუშაობისთვის "მსოფლიო მოქალაქის" წოდება მიანიჭა ანჯელინა ჯოლის.










## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.